საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
21 ნოემბერი **ორშაბათი** 2011
№274(13571) ფასი 80 თეთრი

დინამო 2 ტორპედო 0

# არაკლასიკური

## კლასიკო



დინამო-ტორპედო 2:0. მეორე გოლი გულვერდ თომაშვილმა გაიტანა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 14 | 10 | 2 | 2 | 29 | 14 | 32 |
| 2 | დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 29 | 14 | 29 |
| 3 | ტორპედო | 14 | 9 | 1 | 4 | 17 | 10 | 28 |
| 4 | მერანი | 14 | 8 | 2 | 4 | 19 | 13 | 26 |
| 5 | მეტალურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 20 | 15 | 25 |
| 6 | ბაია | 14 | 6 | 2 | 6 | 16 | 12 | 20 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 14 | 4 | 4 | 6 | 13 | 20 | 16 |
| 8 | გაგრა | 14 | 4 | 3 | 7 | 13 | 18 | 15 |
| 9 | კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 20 | 13 |
| 10 | სპარტაკი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 21 | 13 |
| 11 | დილა | 14 | 3 | 2 | 9 | 17 | 23 | 11 |
| 12 | სიონი | 14 | 1 | 4 | 9 | 9 | 24 | 7 |

**ბომბარდირები**

ჩისკო (დინამო) 9
დვალი (ზესტაფონი) 8
ტატანაშვილი (მეტალურგი) 8

**საქართველოს თასი**

**24 ნოემბერი, ხუთშაბათი**

1/4 ფინალური მატჩები
*პირველი მატჩები*

**XV ტური**

**27 ნოემბერი, კვირა**

დილა-კოლხეთი
ზესტაფონი-დინამო *Live*
ტორპედო-მერანი
ვიტ ჯორჯია-სიონი
სპარტაკი-მეტალურგი
გაგრა-ბაია

# გადათამაშება უეფაში

## მოლდოვა-საქართველო 1:0

### ჯერი ქართველებზეა

## ერთი კაცის არეული ორმა ქვეყანამ და უეფამ ვერ დაალაგეს

### არადა, ჩაეხედა იმ დალოცვილს დებულებაში

უეფამ მოლდოვის ფუტსალის ასოციაციის აპელაცია დააკმაყოფილა და თბილისში გამართული მატჩის გამარჯვებულად ამ ქვეყნის ნაკრები გამოაცხადა. შეგახსენებთ, ფუტსალის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთ ჯგუფს ჩვენმა დედაქალაქმა უმასპინძლა. ბოლო ტურში ერთმანეთს საქართველოსა და მოლდოვის ეროვნული ნაკრებები შეხვდნენ. მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა და იმის მაგივრად, რომ აბსოლუტურად იდენტური მაჩვენებლების მქონე ორ გუნდს შორის პრიორიტეტი უკეთესი რეიტინგის მქონე მოლდოველებისთვის მიენიჭებინა, შეხვედრის დელეგატმა პენალტების სერია დანიშნა, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს.
საქართველოს ფუტსალის ასოციაციას უეფაში საპასუხო აპელაცია შეაქვს და ვნახოთ, ქართული მხარე კიდევ ერთხელ თუ შეძლებს საქმის საჩვენოდ შემოტრიალებას.


ქართველების სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა

# სამი ქართული მოგება იტალიაში

## ვიქტორ სანიკიძემ მონტეგრანაროს დუბლი უთავაზა



ვიქტორ სანიკიძემ იტალიის ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ მიითვალა ორმაგი დუბლი. „მონტეგრანაროსთან“ სტუმრად გამართულ შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა 33 წუთში 14 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა. მისი დამაჯერებელი თამაში „ვირტუსის“ გამარჯვების საწინდარი გახდა - 80:74.
მესამე პერიოდშივე ასცდნენ 9-ქულიან ნიშნულს კანტუელი ქართველები მანუჩარ მარკოიშვილი და გიორგი შერმადინი. მათმა გუნდმა სეზონში მეხუთედ მოიგო - „კასერტა“ 86:75 დაამარცხა.
მანუმ 22 წუთში 11 ქულა მოაგროვა, შერმადინმა - 21 წუთში 10 ქულა და 2 მოხსნა.
შაბათს ნიკა მეტრეველის „დინამო სასარიმ“ „რომას“ სძლია (80:68). ქართველმა ახალგაზრდამ 10 წუთში 7 ქულა მიითვალა.

ᲤᲣᲢᲡᲐᲚᲘ. ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

# ᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲠᲐ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲓᲐ... ᲠᲐ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲐ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐᲛ

**ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ–ᲘᲑᲔᲠᲘᲐ ᲡᲢᲐᲠᲘ 5:5**

19.11. ოდიველაში (პორტუგალია)

0:1 ბრუნო მელო (7), 0:2 ლუიშ ბატპისტა (8), 0:3 ჟოაო მატოში (15. ს.კ.), 1:3 მარსელინიო (21), 1:4 ლუიშ ბაპტისტა (26), 2:4 დეო (28), 3:4 ალექსი (29), 4:4 დეო (31), 4:5 დანიელ შაკაი (37), 5:5 ლეიტაო (39)

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ: ჟოაო ბენედიტო, ლაიტაო, პედრო, ჟოაო მატოსი, დეო, პაულინიო, მარსელინიო, საიო, ალექსი, ანდრე გალვაო, ბუიუ, კრისტიანო.

*ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ო. დუარტე*

ᲘᲑᲔᲠᲘᲐ სტარი: ტონი, ბეტინიო, რონინიო, ბრუნო მელო, რომარიო, ედუ, ძაბირაძე, ალთუნაშვილი, ლუიშ ბაპტისტა, დანიელ შაკაი, ფუტი, აკოპოვი.

*ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ო. სოლოდოვნიკი*

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ბეტინიო (9), რონინიო (20), ლუიშ ბაპტისტა (22), ჟოაო მატოსი (36), დეო (38)

ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲔᲑᲘ: ფ. მასინი (იტალია), ბ. სივიჩი (სლოვენია)

3:0, 4:1 და მაინც 5:5 – აი, ასეთი იყო "იბერია სტარისა" და ლისაბონის "სპორტინგის" მატჩის მიმდინარეობა, სადაც ჯგუფში გასამარჯვებლად საქართველოს ჩემპიონებს ნებისმიერი ანგარიშით მოგება სჭირდებოდათ. ამ შეხვედრას ინტრიგა იმიტომ გაუჩნდა, რომ "იბერია სტარის" 9:2 გამანადგურებელი უნგრული "დიორი ეტო" რუმინულ "ტარგუ მურეშთან" 3:8 შერცხვა.

რა გვეთქმის, ძალიან დასანანია, ზედიზედ მეორედ "იბერია სტარს" ასე მცირედი რომ დააკლდა ევროპის ფუტსალის თასის ფინალურ ოთხეულში მოსახვედრად. მასპინძელმა პორტუგალიელებმა ქართველებს გადამწყვეტი გოლი ბოლოსწინა წუთზე გაუტანეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ | 3 | 2 | 1 | 0 | 13-9 | 7 |
| 2. ᲘᲑᲔᲠᲘᲐ ᲡᲢᲐᲠᲘ | 3 | 1 | 1 | 1 | 14-17 | 4 |
| 3. ᲢᲐᲠᲒᲣ ᲛᲣᲠᲔᲨᲘ | 3 | 1 | 0 | 2 | 14-15 | 3 |
| 4. ᲓᲘᲝᲠᲘ ᲔᲢᲝ | 3 | 1 | 0 | 2 | 13-13 | 3 |



იბერიასთან ბოლო წუთებზე მიღწეული ფრით პორტუგალიელები მომდევნო ეტაპზე გავიდნენ

20.11. ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ. Თ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ
500 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

**ᲡᲘᲝᲜᲘ 1**
**ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ 2**

1:0 ქუცურუა (1:0), 1:1 შონია (58. შარაშენიძის პასით) 1:2 მეტრეველი (62. შარაშენიძის პასით)

| ᲡᲘᲝᲜᲘ | ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ |
|---|---|
| 4-4-2 | 4-3-2-1 |
| ᲚᲝᲑᲟᲐᲜᲘᲫᲔ | ᲫᲐᲒᲜᲘᲐ |
| ᲙᲝᲑᲐᲣᲠᲘ | Გ. ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ |
| Გ. ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ | ᲢᲔᲢᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ |
| ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔ | ᲚᲝᲑᲯᲐᲜᲘᲫᲔ |
| ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ | ᲛᲔᲠᲔᲩᲙᲝ |
| ᲤᲔᲘᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ | ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ |
| ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ | ᲗᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ |
| Ვ. ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ | Თ. ᲨᲝᲜᲘᲐ |
| ᲥᲣᲪᲣᲠᲣᲐ | Რ. ᲯᲘᲥᲘᲐ |
| ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ | ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲔ |
| ᲙᲔᲛᲣᲮᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ | ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ |
| ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: | ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: |
| Ვ. ᲩᲐᲒᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ | Ვ. ᲮᲐᲩᲘᲫᲔ |

**ᲡᲘᲝᲜᲘ**

58. ფეიქრიშვილი - ᲘᲡᲘᲐᲜᲘ
67. გაბრიჭიძე - ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ
67. კემუხტაშვილი - ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ

*ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝᲔᲑᲘ: ზუხბაია, ადამაშვილი, ხურციძე, გიორბელიძე.*

**ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ**

58. სეფიაშვილი - ᲛᲐᲛᲣᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ
76. თიბილაშვილი - Ნ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ
90. მეტრეველი - Ვ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

*ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝᲔᲑᲘ: ნ. დაუშვილი, ბურძენაძე, დეკანოიძე, ბუზალაძე.*

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: გაბრიჭიძე (24), გ. რეხვიაშვილი (68), კაციტაძე (74), შარაშნიძე (83), კობაური (90), რ. ჯიქია (90+4)

ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘ: თ. გვანცელაძე (სამტრედია)



ბურთით გამარჯვების გოლი ავტორი ზვიად მეტრეველი



ჩისკო და მისი გოლი ტორპედოს კარში
ფოტო: www.fcdinamo.ge

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝ ᲐᲠᲐᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲗ

20.11. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲐᲠᲔᲜᲐ
1 200 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2**
**ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ 0**

1:0 ჩისკო (45. ჯილაურის პასით), 2:0 თომაშვილი (55)

| ᲓᲘᲜᲐᲛᲝ | ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ |
|---|---|
| 4-3-3 | 4-4-1-1 |
| ᲤᲠᲘᲖᲘᲜᲒᲘ | ᲚᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ |
| ᲛᲝᲠᲘᲡᲘ | ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ |
| ᲨᲞᲔᲚᲔᲠᲘ | ᲮᲝᲯᲝᲚᲐᲕᲐ |
| ᲖᲘᲜᲐᲒᲔᲚᲔᲠᲘ | ᲡᲐᲜᲓᲝᲮᲐᲫᲔ |
| ᲤᲘᲚᲘᲞᲡᲘ | ᲢᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘ |
| ᲛᲐᲡᲢᲠᲐᲜᲒᲔᲚᲝ | ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ |
| ᲑᲐᲡᲢᲝᲡᲘ | ᲠᲣᲮᲐᲫᲔ |
| ᲓᲠᲐᲒᲝᲕᲘᲩᲘ | ᲞᲐᲠᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ |
| ᲓᲔᲘᲓᲐ | ᲞᲐᲐᲙᲐᲕᲐ |
| ᲓᲔ ᲡᲝᲣᲖᲐ | ᲧᲐᲖᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ |
| ᲯᲔᲙᲡᲝᲜᲘ | ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔ |
| ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: | ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: |
| Რ. ᲑᲠᲝᲘ | Გ. ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ |

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**

81. კოტო – ᲘᲐᲒᲣᲔ
87. ჯილაური – ᲗᲔᲥᲗᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔ
90. კახელიშვილი – ᲚᲔᲥᲕᲗᲐᲫᲔ

*ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝᲔᲑᲘ: ნადირაძე, კაკუბავა, გ. ბერაია, რობერტინიო*

**ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ**

54. ჩიკვილაძე – ᲙᲣᲮᲘᲐᲜᲘᲫᲔ
68. დოლიძე – ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲫᲔ
81. მეგრელაძე – Დ. ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ

*ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝᲔᲑᲘ: ქვილითაია, ფარულავა, ტაბატაძე, რ. გოცირიძე*

ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘ: ლ. სილაგავა

"ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" აშკარა უპირატესობა, ორი გოლი, ოთხი ძელი და კიდევ უამრავი გამოუყენებელი საგოლე მომენტი "ტორპედოს" ერთადერთი შანსის წინააღმდეგ – აი, ასეთი იყო გუშინდელი "ქართული კლასიკოს" საერთო სურათი. მოსალოდნელი ინტრიგა მხოლოდ სანახევროდ გამართლდა – "დინამომ" მიმდინარე ჩემპიონატში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, "ტორპედომ" კი პირიქით — ერთ-ერთი უსუსტესი და, შესაბამისად, 2:0-იც არ არის ამ შეხვედრის ლოგიკური შედეგი – დედაქალაქელებს უფრო სოლიდური სხვაობით გამარჯვება მართებდათ.

გარკვეული პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატი ეროვნულ სტადიონზე, იმავე "დინამო არენაზე" დაბრუნდა და, იმის მიუხედავად, რომ მაყურებელთა რაოდენობა ჩვენი უმაღლესი ლიგისთვის ჩვეული იყო, საფეხბურთო ზეიმი მაინც შედგა. ახალი გაზონი მხოლოდ ვიზუალურად კი არ იყო მიმზიდველი, თამაშის ცქერისასაც ცხადი იყო, რომ ფეხბურთელები მასზე თავს კომფორტულად გრძნობდნენ.

"დინამომ" კაპიტანი **ალექსანდრე კოშკაძე** ავადმყოფობის გამო მოისაკლისა, "ტორპედოს" კი ორი მნიშვნელოვანი მოთამაშე, ნახევარმცველები **დავით დიღმელაშვილი** და **თორნიკე თარხნიშვილი** დისკვალიფიკაციის გამო აკლდა. გარკვეულწილად, სწორედ ამის ბრალიც იყო, რომ სტუმრებმა მოედნის ცენტრი პირწმინდად დათმეს და "დინამოს" წამლეკავი უპირატესობაც, უპირველესად, ამან განაპირობა. იმერლებმა თბილისელებს მეტ-ნაკლებად ტოლსწორი ბრძოლა მხოლოდ მატჩის საწყის ნახევარ საათში გაუმართეს, რის შემდეგაც მოედანზე ერთი გუნდი დომინირებდა.

დებიუტში გუნდებმა რამდენიმე "ჩხვლეტა" გაცვალეს, რის შემდეგაც ნამდვილი მომენტების დრო დადგა. მე-17 წუთზე **მიკელ ალვაროს** ძლიერი დარტყმა სტუმართაგან უდავოდ საუკეთესომ, **ომარ მიგინეიშვილმა** მოიგერია, ხუთიოდე წუთში კი დინამოელთაგან ერთ-ერთმა გამორჩეულმა (**ჯაბა ჯილაურთან** ერთად) - ალვარომ ბურთი ხარიხას გაარტყა. 39-ე წუთზე **კარლეს კოტოს** დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს, ზედ შესვენების წინ კი ჯილაურმა ითამაშა ეფექტურად, მისი ფლანგური გადაცემით ჩისკომ ანგარიში ერთი შეხებით გახსნა და ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად გალიდერდა.

თუკი შესვენებამდე "ტორპედო" ჯერ კიდევ არ ჰგავდა წასაგებად განწირულს, მეორე ტაიმში სტუმართა საჯარიმოში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. მეორე ნახევრის დასაწყისში პუბლიკა მოედანზე გადამხტარმა ქომაგმა გაახალისა, თუმცა მალე ეს ამბავი აღარავის ახსოვდა, რადგან დინამოელები მეტოქეს ერთი მეორის მიყოლებით უქმნიდნენ ხიფათს.

53-ე წუთზე **ჩისკოს** ულამაზესი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მის მიერ კუთხურიდან ჩახვეული ბურთი ძელმა მოიგერია, ერთ წუთში ალვაროს მიგინეიშვილმა არ გაატანინა, კიდევ ერთ წუთში კი მოსახდენი მაინც მოხდა – კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი "ტორპედოს" მეკარემ ვერ მოიხელთა, გუშინდელ მატჩში ყველაზე უიღბლო ალვარომ ბურთი ხარიხას გაარტყა, დამატებაზე კი ყველას **გულვერდ თომაშვილმა** დაასწრო – 2:0.

"ტორპედო" ბოლომდე მოიშალა, დინამოელებმა კი რამდენიმე სწრაფი იერიში და მომენტი გაანიავეს. იმის მიუხედავად, რომ სტუმრებს თამაშის გადასარჩენი დრო ჯერ კიდევ ჰქონდათ, შეტევაში სახეირო ვერაფერი გაახერხეს და ისიც საკვირველი იყო, მხოლოდ ორბურთიანი სხვაობით მარცხს რომ დასჯერდნენ.

"დინამომ" გვიჩვენა, რომ კრიზისის დაძლევის გზაზეა და ახლა საინტერესო ის არის, რას იზამს **ალექს გარსიას** გუნდი ერთი კვირის შემდეგ ზესტაფონში, "ტორპედომ" კი შთამბეჭდავი სერია შეწყვიტა და ნათლად დაგვანახვა ის, რის თაობაზეც გუნდში **გია გეგუჩაძის** მისვლამდე ბევრს ლაპარაკობდნენ – ქუთაისელებს შემადგენლობის მნიშვნელოვნად გაძლიერება ესაჭიროებათ.

**ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ**

**ალექს გარსია** (დინამო): *"ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. პირველი გოლის შემდეგ "დინამოს" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და ლოგიკური და დამსახურებული გამარჯვება ვიზეიმეთ. მატჩამდე ბიჭებს ვუთხარი, რომ ის ფორმა უნდა დაგვებრუნებინა, რითაც გულშემატკივრებს თავი ევროტურნირებზე დავამახსოვრეთ. ვფიქრობ, ამ მიზნისკენ დამაჯერებლად მივდივართ".*

**გია გეგუჩაძე** (ტორპედო): *"დღეს მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო – "დინამო". მეტოქემ მეორე ტაიმში გვარიანად დაგვჯაბნა და უფრო დიდი სხვაობით გამარჯვებაც შეეძლო. კმაყოფილი მხოლოდ ერთი რამით შეიძლება ვიყო – ამ შეხვედრამ ჩვენი ყველა ნაკლოვანება თვალნათლივ დაგვანახვა და ახლა ყოველივე აქედან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ".*

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

ლელო

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ
ᲨᲞᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲚᲔᲚᲝ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ: 383-384. ᲔᲚᲤᲝᲡᲢᲐ: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲣᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა




ამ ეპიზოდში მეკარე ბექა შეყრილაძემ დილა გადაარჩინა

# ხარიტონ, გამოასწორე!

20.11. გორი. ქართლი
700 მაყურებელი

**დილა 0**
**ზესტაფონი 2**

0:1 გელაშვილი (30 პენ.), 0:2 ლომია (90)

| დილა 4-5-1 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| შეყრილაძე | მამალაძე |
| ლომიძე | ლონდაძე |
| ბაქრაძე | ონიანი |
| ქარქუზაშვილი | საჯაია |
| გველესიანი | ელიავა |
| რაჭამაშვილი | აფციაური |
| ვ. ხორგუაშვილი | გორგიაშვილი |
| პ. ხორგუაშვილი | შ. გრიგალაშვილი |
| გოგინაშვილი | ბაბუნაშვილი |
| ახალკაცი | დვალი |
| დ. ჩაგელიშვილი | გელაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| თ. მახარაძე | გ. ქიაბრიშვილი |

**დილა**

76. დ. ჩაგელიშვილი — **სადაღაშვილი**
57. გველესიანი — **გ. თოდუა**
*სათადარიგოები: მერლანი, მაჭავარიანი, ჭითანავა, ნემსაძე, ნოზაძე*

**ზესტაფონი**

57. აფციაური — **ძარია**
65. გორგიაშვილი — **ბენაშვილი**
71. გელაშვილი — **ს. ლომია**
*სათადარიგოები: მეშველიანი, სარდალიშვილი, ჭანკოტაძე, ფიფია*

გაფრთხილება: **პ. ხორგუაშვილი (28), ბაქრაძე (36), ძარია (68), ლონლაძე (74), ბენაშვილი (80)**

არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

ზესტაფონურ დაპირისპირებაში „დილას" სენსაციურად — 4:0 — გამარჯვების შემდეგ ამ მატჩს ორივე გუნდი მოუთმენლად ელოდა. „ზესტაფონს" უნდა დაემტკიცებინა, რომ გორელებთან მარცხი სხვა არაფერი იყო, თუ არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ მატჩში წაფორხილება, „დილა" კი, მოქმედ ჩემპიონთან არწაგებით წლევანდელ სეზონში მათი პირველი შეხვედრის შედეგს მინიმუმ სენსაციის იარლიყს მოაშორებდა. თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე ამ ყოველივეს კიდევ ერთი ინტრიგა დაემატა — ზესტაფონელთა ყოფილი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** ახლა „დილას" თავკაცია, თუმცა მისი ხელი „დილას" ჯერჯერობით ნაკლებად ეტყობა. გორელების არც შემადგენლობაში და არც თამაშში ამ ეტაპზე თითქმის არაფერი შეცვლილა. ნამატჩევს გამოცდილმა სპეციალისტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონთან მარცხში დიდი ტრაგედია ვერ დაინახა, თუმცა შენიშნა, რომ გუნდში ხედავს საიმისო პოტენციალს, რომელიც რვა საუკეთესოს შორის მოხვედრის დიდ იმედს აძლევს.

უშუალოდ შეხვედრა კი ვერ გამოდგა სახარბიელო სანახავი. მეორე ტაიმში, გოლს თუ არ ჩავთვლით, სხვა საგოლე მომენტები არ შექმნილა. შესვენებამდე კი ამ მხრივ თამაშს კიდევ არაუშავდა. პირველი რეალური ხიფათი მე-16 წუთზე **თორნიკე აფციაურის** მიერ მასპინძელთა კარის მიმართულებით დარტყმული და ხარიხას გარტყმული ბურთი იყო. ზუსტად სამ წუთში **დავით რაჭამაშვილს** აულო ახლოდან სტუმართა გოლკიპერმა, დამატებაზე კი ცარიელ კართან მყოფმა **ჩაგელიშვილმა** რანაირად ააცილა, მხოლოდ თვითონ თუ იცის.. დასაწყისიდან იმერლები უფრო დამაჯერებლად მოქმედებდნენ, მაგრამ ტაიმის შუაწელისკენ გორელთა გარჯაში სითამამემ იმატა და უკვე ნახსენები საგოლე ეპიზოდიდან მალევე **პავლე ხორგუაშვილსაც** მიეცა გატანის შანსი. ამ დროს ჩემპიონები **მამალაძემ** იხსნა. 28-ე წუთზე **ნიკოლოზ გელაშვილის** აქტიურობამ შედეგი მოიტანა, ფლანგიდან **შეყრილაძის** საჯარიმოში შეჭრილმა სტუმართა ფორვარდმა კარის გასწვრივ ჩააწოდა, მცველებმა ხეირიანად ვერ გამოიტანეს ბურთი, რომელიც საბოლოოდ **ბაბუნაშვილს** მიუვიდა, ის კი მინდორზე აღმოჩნდა და მსაჯმაც პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, **ხარიტონაშვილს** რომ არ დაესტვინა, სტუმრები არც გააპროტესტებდნენ, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, 11-მეტრიანი დაინიშნა და გელაშვილმა გაიტანა კიდეც. დარჩენილი დროის განმავლობაში „დილას" გულშემატკივარს და, შესაძლოა, ფეხბურთელებსაც სჯეროდათ, რომ ხარიტონაშვილი მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მიხვდა პენალტის დანიშვნისას დაშვებულ შეცდომას და საპირისპირო კართან შანსის მიცემის შემთხვევაში იმავეს იზამდა. ამიტომაც მატჩის ბოლომდე, ვიდრე თანაგუნდელის შორეულ ჩაწოდებულზე **საბა ლომიამ** არ იყოჩაღა და ანგარიშში სხვაობა ორამდე არ გაზარდა, მასპინძელთა გულშემატკივრები ხშირად „ახსენებდნენ" არბიტრს, ხარიტონ, გამოასწორეო! თუმცა **ხარიტონაშვილს** არ ჩაუთვლია, რომ პენალტის დანიშვნისას შეცდა, თორემ „გამოსწორების" შანსი არაერთხელ მიეცა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში **ახალკაცის** საჯარიმოში წაქცევის ეპიზოდი ჰგავდა „დილას" კართან დანიშნულ 11-მეტრიანს...

საბოლოოდ, სანახაობრივი და საგოლე მომენტების თვალსაზრისით ამ ღარიბ შეხვედრაში ტერიტორიულ ან ბურთის ფლობაში უპირატესობას, მართალია, ვერც ერთი გუნდი ვერ დაიჩემებს, მაგრამ „ზესტაფონი" მოწინააღმდეგეს საშემსრულებლო ოსტატობასა და სათამაშო კლასში აღემატებოდა და დამსახურებული სამი ქულაც პირველ ყოვლისა ამის წყალობით მოიპოვა.

გვერდს ვერ ავუვლით მატჩზე შიდა ქართლის გუბერნატორის **გიგა ტატიშვილის** სტუმრობის ფაქტს. თანაც, რეგიონის პირველმა პირმა თამაშზე ადგილობრივი ხელისუფლების ლამის ყველა საფეხურის ისეთი წარმომადგენლები იახლა, რომლებიც აქამდე, „ქუდი რომ შეგეგდოთ", სტადიონზე არ შემოდიოდნენ. შედეგად, „ქართლის" 500-კაციან ტრიბუნას ორასამდე მოედანს გარშემორტყმული მაყურებელი მიემატა. მოგეხსენებათ, „დილას" მდგომარეობა მუდამ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული და რეგიონის ხელმძღვანელთა მიერ გატარებული ბოლოდროინდელი ღონისძიებები, პლუს ცოტა ხნის წინ თემურ მახარაძის მწვრთნელად დანიშვნა და ჩინოსანთა ეს მასობრივი სტუმრობა სტადიონზე „დილას" საქომაგოდ, გვაფიქრებინებს, რომ ამ გუნდის კეთილდღეობას საფრთხე აღარ ემუქრება.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

დავით ასპანიძის ფოტო

# მოგებასაც იმსახურებდნენ...

20.11. რუსთავი. ფოლადი
700 მაყურებელი

**მეტალურგი 1**
**გაგრა 1**

0:1 ჯერემია (5, შარიქაძის პასით), 1:1 მოდებაძე (90, მაისურაძის პასით)

| მეტალურგი 4-2-3-1 | გაგრა 4-4-1-1 |
|---|---|
| ბედიაშვილი | კ. სეფიაშვილი |
| მახვილაძე | ჩხეტიანი |
| კვარაცხელია | კალანდაძე |
| კვახაძე | ტყეშელაშვილი |
| ჯაფარიძე | ჯგერენაია |
| ი. მაისურაძე | ხუციძე |
| რაზმაძე | ნაკონეჩნი |
| ჭედია | ყურულაშვილი |
| მიქაბერიძე | ნ. ჯიშკარიანი |
| მოდებაძე | შარიქაძე |
| ტატანაშვილი | ჯერემია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. ყორყიკაშვილი | ზ. ჯელაძე |

**მეტალურგი**

27. ჭედია — **ქავთარაძე**
76. მიქაბერიძე — **პავლიაშვილი**
*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჩადუნელი, წენგუაშვილი, დობროვოლსკი, გავაშელიშვილი*

**გაგრა**

85. ყურულაშვილი — **სიჭინავა**
90. შარიქაძე — **გაბედავა**
*სათადარიგოები: ბეგაშვილი, ხოჯაშვილი, ჭკუასელი, კვანტალიანი*

გაფრთხილება: **კალანდაძე (66), კვარაცხელია (69), ნაკონეჩნი (90)**

არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**

რამდენიმე წამიც და XIV ტურის მთავარი სენსაციაც მოხდებოდა, მაგრამ ახალგაზრდული „გაგრას" რამდენიმე ფეხბურთელმა საკუთარ საჯარიმოში პოზიციური შეცდომა დაუშვა და **ირაკლი მოდებაძემაც** ახლო მანძილიდან მასპინძლები წაგებისაგან იხსნა. ისე, ძნელი სათქმელია, თუ რომელმა გუნდმა მოიპოვა ქულა და რომელმა დაკარგა ორი; ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ შეხვედრაში თუ რომელიმე გუნდი იმსახურებდა გამარჯვებას, ეს სტუმრებზე უფრო ითქმის - ახალგაზრდა სპეციალისტის **ზვიად ჯელაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „გაგრას" ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია და ერთი-ორ ეპიზოდში „მეტალურგის" მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილს** რომ არ ევაჟკაცა, რუსთაველთა გუნდი პირველ საშინაო მარცხსაც იწვნევდა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსაჯის მიერ კომპენსირებული დრო იწურებოდა, როცა **ირაკლი მაისურაძის** „სტანდარტულს" ირაკლი მოდებაძის ზუსტი დარტყმა მოჰყვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ტაიმში მასპინძლებს, მეტოქის კართან რეალური მომენტი რასაც ჰქვია, ფაქტობრივად, არც ერთხელ არ შეუქმნია! სამაგიეროდ, „გაგრას" ფეხბურთელები რამდენჯერმე იყვნენ ძალიან ახლოს, პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა განემტკიცებინათ, თუმცა, სჯობს, თანმიმდევრულად მივყვეთ.

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს: **ირაკლი ხუციძის** კუთხურის მერე რუსთაველთა მეკარემ ბურთი კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა. აი, „გაგრას" მომდევნო შეტევა კი შედეგიანიც იყო და არც კომბინაციას დაეწუნებოდა არაფერი: **ლევან შარიქაძემ** მართლაც ჩინებული პასით **ჯონ ჯერემია** მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დატოვა და სტუმართა ნიგერიელმა ლეგიონერმაც ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. პირველ ტაიმში „გაგრას" კიდევ ერთი ჩინებული შანსი ჰქონდა, როცა ნაკონეჩნი-ჯერემიას კომბინაციას კვლავაც **ნაკონეჩნი** აგვირგვინებდა, მაგრამ უკრაინელი ნახევარმცველის ძლიერი დარტყმა გრიგოლ ბედიაშვილმა მოიგერია. საერთოდაც, სტუმრებს სწორი ტაქტიკა ჰქონდათ არჩეული: სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და ასევე სწრაფ კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ. უჩვეულოდ „დამძიმებულ" მასპინძელთა უკანახაზელებს კი განსაკუთრებულ პრობლემებს სტუმართა ახალგაზრდა შემტევები უქმნიდნენ: ლევან შარიქაძე ასაკთან შეუფერებელ დიდოსტატურ პასებს „აქეთ-იქით არიგებდა", სწრაფი ჯონ ჯერემია კი ხშირად მანევრირებდა და „ცოტა" საშემსრულებლო ოსტატობა რომ ჰქონოდა, მატჩის გმირიც გახდებოდა. აი, მასპინძლები კი, ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში ქაოტურად უტევდნენ და „გაგრას" მეკარე **კოკა სეფიაშვილს** თავისი რეაქციის გამოვლენის საშუალება არც მისცემია. მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს იყო, „მეტალურგმა" სახიფათო მომენტების მსგავსი რომ შექმნა: პირველ ეპიზოდში **გიორგი ქავთარაძემ** და ირაკლი მაისურაძემ ვერ „გაიყვეს", თუ რომელს უნდა შეესრულებინა საბოლოო დარტყმა, მეორე ჯერზე კი **გიორგი მიქაბერიძე** არ ელოდა მეტოქის მეკარესთან ასე ახლოს თუ აღმოჩნდებოდა და არაზუსტად დაარტყა.

შესვენების შემდეგ თუ რაიმე ხიფათი იქმნებოდა, მხოლოდ და მხოლოდ, მასპინძელთა კართან. სტუმართა კაპიტანმა **გიორგი ტყეშელაშვილმა** შორეული საჯარიმო დარტყმიდან ხარიხა შეაზანზარა, მერე ბედიაშვილმაც იყოჩაღა და ჯერემიას ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მოიგერია; ამას გარდა, ის კომბინაციაც უნდა აღვნიშნოთ, ლევან შარიქაძემ და **ნიკა ჯიშკარიანმა** რომ წამოიწყეს: ირაკლი ხუციძე მარჯვენა ფლანგიდან ძლიერად ურტყამდა, მაგრამ ბურთი მიზანს მცირე მანძილით აცდა. ბოლოს კი ის ჯარიმაც იყო, მასპინძლებს ქულა რომ მოუტანა...

**P.S.** *მატჩის ოფიციალურ ოქმშიც და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ საიტზეც რუსთაველთა შემადგენლობიდან გოლის ავტორად დასახელებულია დიმიტრი ცაცანაშვილი. ამ დროის, ჩვენი (და არამხოლოდ ჩვენი) აზრით, "გაგრას" კარში გოლი გაიტანა ირაკლი მოდებაძემ.*

**გია ტუხაშვილი**

# მერანი ყოფილან ეს მარტვილელები?!

## გუნდი იგებს, ხალხი ხარობს

20.11. მარტვილი. ცენტრალური
1500 მაყურებელი

**მერანი 3**
**ვიტ ჯორჯია 0**

1:0 ტაპე (40. სუხიაშვილის პასით), 2:0 მანწკავა (43), 3:0 მანწკავა (53. ამბროლაძის პასით)

| მერანი 4-4-2 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| შეროზია | ძაძამია |
| კაკუშაძე | ხურცილავა |
| ქვანია | გოგიაშვილი |
| შალიკაშვილი | ადამაძე |
| სუხიაშვილი | ლანიაშვილი |
| დიდავა | გიორ. გურეშიძე |
| ე. გრიგალაშვილი | ვასაძე |
| მანწკავა | კორიფაძე |
| ჩალაძე | გურამ გურეშიძე |
| ამბროლაძე | ზაქრაძე |
| ტაპე | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ა. ჩხაბერიძე | ზ. ბერიძე |

**მერანი**

61. ამბროლაძე - **სამადაშვილი**
65. ტაპე - **კუჭუხიძე**
79. ე. გრიგალაშვილი - **წოწორია**
*სათადარიგოები: ჭაფოძე, ქამუშაძე, იატრო, შენგელია*

**ვიტ ჯორჯია**

46. ზაქრაძე - **სიხარულიძე**
60. კორიფაძე - **ვაშაკიძე**
68. ვასაძე - **მაისაშვილი**
*სათადარიგოები: რეჭია, კასრაძე, გეთიაშვილი, ჯულელი*

გაფრთხილება: **ლანიაშვილი (85)**

არბიტრი: **ა. ნონიკაშვილი**




ასე გაიხსნა ანგარიში

ავტორის ფოტო

მარტვილელებმა წლეულს უკვე ბევრჯერ გაგვაკვირვეს და „ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო დაპირისპირებაშიც ისინი იყვნენ ფავორიტები. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჯერადაც ლაღი, სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს.

მასპინძლები დასაწყისშივე დაემუქრნენ ვიტელთა კარს: ჯერ **მანწკავას** დიაგონალური გადაცემის შემდეგ შეეძლო **ლაშა ჩალაძეს** გატანა, თუმცა საჯარიმოში მოულოდნელად წაიქცა, შემდეგ კი **ამბროლაძე** გასცდა რამდენიმე მცველს, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ბურთი მცველს მოხვდა და მერანელები კუთხურს დასჯერდნენ.

მე-13 წუთზე **გრიგალაშვილს** შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. საპასუხოდ ვიტელებმაც შექმნეს მომენტები, მაგრამ **რევაზ ლანიაშვილისა** და **გურამ ადამაძის** (თავური) დარტყმები უზუსტო გამოდგა.

შემდეგ ისევ მარტვილელთა ჯერი დადგა და ტაიმის ბოლოს იხეირეს კიდეც: მოედნის ცენტრის სიახლოვიდან ელგუჯა გრიგალაშვილმა მარცხენა ფრთაზე მოძრავ **ანზორ სუხიაშვილს** გადააწოდა, მან კი გამჭოლი გადაცემით მოძებნა ტაპე, რომელმაც შანსი არ დაუტოვა **ძაძამიას** — 1:0. გაშვებულმა გოლმა ახალგაზრდა ვიტჯორჯიელები დააბნია, მარტვილელებმა კი თამაშის სადავეები სრულად იგდეს ხელთ და 43-ე წუთზე მათი შეტევა გოლით დასრულდა: ძალზე აქტიური დუეტის, გრიგალაშვილ-მანწკავას კომბინაცია უკანასკნელის დარტყმით დასრულდა, ნარიკოშეტალმა ბურთმა კი ბადე მეორედ შეარხია — 2:0.

შესვენების შემდეგ სტუმრები ბევრს ეცადნენ, მაგრამ აშკარად აკლდათ კლასი. ახალშემოსული **ირაკლი სიხარულიძე** საკმაოდაც აქტიურობდა, თუმცა რეალური ხიფათის შექმნა ვერც მან მოახერხა.

53-ე წუთზე კი **გიგა ამბროლაძემ** ჩინებული პასით მოძებნა საჯარიმოს სიახლოვეს მყოფი **გიორგი მანწკავა,** რომელმაც ერთი შეხებით ზუსტად, ძლიერად დაარტყა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა 3:0. აუცილებლად სათქმელია, რომ მანწკავას მიერ დაახლოებით 25 მეტრიდან გატანილი ეს ბურთი ტურსა და ჩემპიონატშიც აქამდე გატანილთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა.

ამ გამარჯვებით „მერანმა" სერიოზული განაცხადი გააკეთა ზედა ეშელონში დასამკვიდრებლად. სხვათა შორის, მარტვილელები შინ კვლავაც დაუმარცხებლად ასპარეზობენ - 7 მატჩიდან 6 მოიგეს, „დილასთან" კი ფრედ ითამაშეს.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

ეროვნული

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# დრონი მეფობენ და არა... კოლხეთი!

## მეგრული დერბის გურული ახსნა: დათვი რომ მოგერევა, (ბა)ბაია უნდა დაუძახო!

20.11. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |
| ბაია | 0 |

| კოლხეთი 4-4-2 | ბაია 4-2-3-1 |
|---|---|
| ბოგლიაშვილი | სომხიშვილი |
| გ. კილასონია | რიგვავა |
| ლომაშვილი | ნ. შონია |
| ინწკირველი | მგელაძე |
| მეგრელიშვილი | აკობია |
| შავგულიძე | ტყემალაძე |
| გოგონაია | გუგუჩია |
| ცხადაია | სიხარულია |
| გვალია | წურწუმია |
| მდივნიშვილი | ეხვაია |
| ციცხვაია | ქვარცხავა |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| დ. მახარაძე | ე. ძოძუაშვილი |

**კოლხეთი**

60. შავგულიძე - პ. დათუნაიშვილი
77. ცხადაია - ქებაძე
85. მდივნიშვილი - წიქარიშვილი

სათადარიგოები: ნადირაშვილი, ცხვიტარია, ლემონჯავა, გულუა

**ბაია**

69. წურწუმია - სამუშია
85. სიხარულია - კუკავა
87. გუგუჩია - ენდელაძე

სათადარიგოები: ჯომიდავა, გამრეკლიძე, ვეკუა, ფარჯიკია

გაფრთხილება: გოგონაია (25), გუგუჩია (25), მეგრელიშვილი (82), ინწკირველი (86).
არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ლანჩხუთმა ამ სეზონში უკვე მეორედ უმასპინძლა მეგრულ დერბის. პირველში „კოლხეთმა" მარტვილელებთან წააგო. მართალია, ამჯერად „ბიასთან" არ დამარცხებულა, მაგრამ შედეგს „მასპინძელთათვის" სასურველი ნამდვილად არ ეთქმის — მოგებით ხომ ფოთელები მოწინავე 8 გუნდს შორის მოხვდებოდნენ და, მართალია, ფინიშამდე ჯერ კიდევ ადრეა, მაგრამ მათთვის ყოველი ქულა ძალიან ძვირფასია და მოგება ფსიქოლოგიურადაც წაადგებოდათ.

სამაგიეროდ, ზუგდიდელთათვის პოტენციურ კონკურენტთან „გასვლაზე" აღებული ქულა დამაკმაყოფილი შედეგი უნდა იყოს. „ბაიამ" ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ზედა 8 გუნდში მოსახვედრად, სადაც თითქმის განაღდებული აქვს ადგილი მარტვილის „მერანს". ფოთელებს კი ამის გაკეთება გაუჭირდებათ — ამ სეზონში მათი ორივე თანაკუთხელი უკეთეს ფეხბურთს თამაშობს და ქულებსაც უფრო იოლად უყრიან თავს.

მართალია, სახიფათო მომენტები ნაკლებად იქმნებოდა, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში გუნდებმა ფიცხლად იბრძოლეს — მათ მონდომება არ დაუკლიათ, თუმცა საშემსრულებლო ოსტატობა ნამდვილად არ იყო სასურველი დონისა — ამაში „წვლილი" მინდვრის საფარმაც შეიტანა. „მასპინძლების" მცირეოდენი უპირატესობა, მათ მიერვე შექმნილი ორიოდე სახიფათო მომენტი და კოლხთა მცველის მიერ ცარიელი კარიდან გამოტანილი ბურთი — ეს „ყველაფერი" პირველმა ტაიმმა „დაიტია". არც მეორე ნახევარი იყო საგოლე მომენტებით დატვირთული — „კოლხეთი" უფრო ცდილობდა გატანას, მაგრამ სტუმრებს აქცენტი დაცვაზე ჰქონდათ გადატანილი და ეს საქმე კარგადაც გამოსდიოდათ. მათ მხოლოდ ორჯერ „გაეპარნენ" კოლხები, თუმცა ფოთელმა ფორვარდებმა ხელსაყრელი მომენტები ქარს გაატანეს. რა თქმა უნდა, „ბაიაც" „იჩხვლიტებოდა" კონტრშეტევებით, რომელთაგან გამორჩეული ბოლო წუთებში იყო — კოლხთა ბედად **ლექსო ინწკირველმა** მეტოქის შეჩერება მაშინ მოახერხა, როცა ფორვარდის დაცემა უკანასკნელი იმედის ჯარიმად არ შეფასდებოდა და მიღებული ყვითელი ბარათით გუნდს ქულა გადაურჩინა.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

ლეგიონი

# ლატვიური ამბები: კარგი და უცნაური

ინტერნეტგაზეთმა sportacentrs.com-მა ლატვიელ გულშემატკივრებში ჩაატარა გამოკითხვა 2011 წლის უმაღლესი ლიგის სიმბოლური ნაკრებისა და საუკეთესო მწვრთნელის გამოსავლენად. შედეგები ფეხბურთის ქართველ მოყვარულებსაც დააინტერესებთ.

წლის სიმბოლურ ნაკრებში "დაუგავას" ორი ქართველი მოხვდა: მარცხენა მცველის პოზიციაზე **გიორგი ჩიხრაძე**, ცენტრალური თავდამსხმელისა — **მამუკა ლონლაძე.**

ჩიხრაძემ წინა სეზონიც ჩინებულად ჩაატარა და იმავე ინტერნეტგაზეთმა შარშანაც სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. გიორგიმ წლეულს 26 შეხვედრა და ერთი გოლი მიითვალა.

"დაუგავას" წარმატებაში ლომის წილი დაიდო მამუკა ლონლაძემ, საერთო გუნდური 58 გოლიდან 21 მის ანგარიშზეა. გოლების ეს რაოდენობა 26 წლის თავდამსხმელმა 25 შეხვედრაში გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ რიგის "სკონტოს" თავდამსხმელ **ნათან ჟუნიორს** ჩამორჩა.

გაგიკვირდებათ და, ამ გამოკითხვით საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა **თამაზ პერტია**, რომლის „ოლიმპსი" უმაღლესი ლიგიდან გავარდა. 35 წლის პერტია გასულ სეზონშიც საუკეთესო იყო, ოღონდ ახალგაზრდა მწვრთნელების კატეგორიაში, წლეულს კი სულაც საუკეთესოდ მიიჩნიეს, რაც, ვიმეორებთ, უცნაურია იმის კვალობაზე, რომ მისი გუნდი უმაღლესიდან დაქვეითდა.

პერტია სეზონის დასაწყისში "დაუგავას" მთავარი მწვრთნელი იყო და მისი ხელმძღვანელობით გუნდი პირველ ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა კლუბის მეპატრონესთან კონფლიქტის გამო დაუგავპილსიდან წავიდა. პერტია დიდხანს არ ყოფილა უმუშევარი, რიგის "ოლიმპსში" რეკომენდაცია გუნდის დირექტორმა **ალექსანდრე რეხვიაშვილმა** გაუწია, რომელიც ახალგაზრდა მწვრთნელის ყოფილი თანაგუნდელი და მეგობარია.

გიორგი ჩიხრაძე ორი წლის წინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი იყო. 24 წლის მცველი აღიარებით კმაყოფილია: *"გასულ წელს ცენტრალურ მცველებში გამომარჩიეს, წლეულს კი უფრო მარცხენა მცველად მათამაშებდნენ და ამჯერად ამ პოზიციაზე გავხდი გულშემატკივართა რჩეული. ლონლაძისა და პერტიას დასახელებაც დამსახურებულია. პერტია რომ არ წასულიყო, "დაუგავა" ჩემპიონი გახდებოდა, "ოლიმპსში" კი იმ დროს მივიდა, როცა ამ გუნდის ბედი გადაწყვეტილი იყო და ვერაფერს შეცვლიდა. მაგრამ იქაც რამდენიმე შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა. ლონლაძე სწორედ მის ხელში გაიხსნა და ლატვია აალაპარაკა".*

ჩიხრაძე ამბობს, რომ შესაძლოა, მალე უკეთეს ლიგაში ითამაშოს: *"გუნდთან კონტრაქტი უკვე დამისრულდა და დარჩენას აღარ ვაპირებ. წინადადებები უკვე მაქვს, ლაპარაკია უკრაინულ, სხვა ევროპულ კლუბებზე, მაგრამ სანამ ყველაფერი არ გადაწყდება, მანამდე გუნდებს არ დავაკონკრეტებ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ვეტერანები და პენალტები

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია. I ბუნდესლიგა. XIII ტური | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | ფრაიბურგი | 2:2 (ფ) | 90 წუთი, გააფრთხილეს | 13 თ, 1გ |
| გერმანია. II ბუნდესლიგა. XVI ტური | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | პადერბორნი | 1:2 (ფ) | 83 წთ (შეცვ), 1 გოლი, გააფრ. | 14 თ, 5 გ. |
| იტალია. სერია ა. XI ტური | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ნოვარა | 1:0 (შ) | არ უთამაშია, დისკვალიფ. | 5 თ |
| იტალია. სერია ბ. XVI ტური | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | ვერონა | 1:3 (შ) | სათადარიგო | 6 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 18 | ემპოლი | ვერონა | 1:3 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| საფრანგეთი. ლიგა 2. საფრ. თასი | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | პლუინეკი | 3:0 (გ) | 90 წუთი | 9 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | გინგამი | 22 ნოემბერი | | 1 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა. I-VIII ადგილები. I ტური | | | | | | |
| საბა კვერკველია | 19 | რუბინი | ცსკა | 2:1 (გ) | არ უთამაშია, დუბლები | 5 თ 1 გ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | ლოკომოტ. | 2:0 (შ) | არ უთამაშია, დუბლები | 10 თ, 1 გ |
| IX-XVI ადგილები. I ტური | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდ. | ნალჩიკი | 3:2 (შ) | 29 (შეცვლაზე) | 24 თ, 7 გ |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდ. | ნალჩიკი | 3:2 (შ) | 90 წუთი, 1 პასი | 25 თ, 1 გ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | კრილია | 0:0 (შ) | 60 წთ (შეცვალეს) | 21 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | ამკარი | 1:2 (შ) | 51 წთ. გააძევეს | 21 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | ამკარი | 1:2 (შ) | არ უთამაშია, დუბლი | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | ამკარი | 1:2 (შ) | არ უთამაშია, დუბლი | 10 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | ამკარი | 1:2 (შ) | არ უთამაშია | 18 თ, 1 გ |
| ზურაბ არზიანი | 23 | ვოლგა | ამკარი | 1:2 (შ) | სათადარიგო | 4 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | კრასნოდარი | 2:3 (გ) | 17 წთ (შეცვლაზე) | 23 თ, 2 გ |
| გუჯა რუხაია | 24 | ნალჩიკი | კრასნოდარი | 2:3 (გ) | 90 წუთი | 10 თ |
| ზურაბ ცისკარიძე | 24 | ამკარი | ნალჩიკი | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| უკრაინა. პრემიერლიგა. XVII ტური | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | დნიპრო | 2:0 (გ) | არ უთამაშია | 11 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | დნიპრო | 2:0 (გ) | არ უთამაშია | 11 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | ილიჩივეცი | 0:0 (გ) | 27 წთ (შეცვლაზე) | 12 თ, 2 გ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | ვოლინი | 1:0 (შ) | სათადარიგო | 8 თ, 3 გ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | კრივბასი | 0:2 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | არსენალი | 0:0 (შ) | სათადარიგო | 7 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | მეტალისტი | 1:5 (შ) | დისკვალიფიკაცია | 15 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ოლექსანდ. | დინამო | 0:4 (გ) | 90 წთ | 14 თ, 3 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | ჩერნომორ. | 2:2 (გ) | არ უთამაშია | 5 თ |
| ჰოლანდია. ერედივიზიე. XIII ტური | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | ფეიენოორდი | 0:4 (შ) | 90 წუთი | 13 თ, 1 გ |
| გიორგი ჟანტურია | 18 | ვიტესი | ფეიენოორდი | 0:4 (შ) | 90 წუთი | 12 თ 3 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 18 | ვიტესი | ფეიენოორდი | 0:4 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| საბერძნეთი. სუპერლიგა. X ტური | | | | | | |
| დავით კვირკველია | 31 | პანიონიოსი | დრამასი | 0:0 (გ) | არ უთამაშია | 8 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 32 | ერგოტელისი | კერკირა | 1:2 (გ) | 90 წუთი, 1 გ. საკუთარ კარში | 7 თ, 1გ |
| თურქეთი. სუპერლიგა. XI ტური | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | სამსუნი | ბურსა | დღეს | | 3 თ |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | ქაისერი | ორდუ | 1:0 (შ) | 90 წუთი | 8 თ |
| ავსტრია. ბუნდესლიგა. XV ტური | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | ნოიშტადტი | 1:3 (გ) | არ უთამაშია | 10 თ |
| კვიპროსი. I დივიზიონი. X ტური | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ეთნიკოსი | ომონია | 0:1 (შ) | 90 წთ | 9 თ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | ომონია | 0:1 (შ) | 90 წთ | 9 თ |
| კლიმენტი წიტაიშვილი | 36 | ნეა სალამინა | პარალიმნი | 1:1 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| ისრაელი. ლიგატ ჰაალი. XII ტური | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 25 | მაქაბი ჰ. | ბეითარი | დღეს | | 4 თ |
| შვეიცარია. სუპერ ლიგა. XVI ტური | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | სიონი | 0:2 (გ) | არ უთამაშია | 5 თ |
| დანია. სასლიგა. XVI ტური | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | სილკებორგი | დღეს | | 4 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | სილკებორგი | დღეს | | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | სილკებორგი | დღეს | | 4 თ |
| პოლონეთი. ექსტრაკლასა. XIV ტური | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | კორონა | 0:0 (შ) | 82 წთ (შეცვალეს) | 13 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | 18 | იაგიელონია | სლასკი | 0:2 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| სერბეთი. სუპერლიგა. XII ტური | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | სმედერევო | 2:0 (შ) | 90 წუთი | 10 თ, 2 გ |
| უნგრეთი. NB-1. XVI ტური | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | 23 | ლომბარდი | უიპეშტი | 0:1 (შ) | 57 წთ (შეცვალეს) | 15 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | უიპეშტი | 0:1 (შ) | არ უთამაშია, დისკვ. | 14 თ |
| რატი ალექსიძე | 33 | დიორი | ჰონვედი | 1:3 (შ) | 29 წთ (შეცვლაზე) | 16 თ 2 გ |
| იაპონია. ჯეილიგა. XXXIII ტური | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | კავასაკი | 2:3 (შ) | 4 წთ (შეცვლაზე) | 32 თ, 6 გ |
| სამხ. აფრიკა. პსლ. XI ტური | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 28 | მოროკა | ბლოემი | 0:0 (შ) | 90 წუთი | 9 თ, 1 გ |



ალექსანდრე იაშვილი

34 წლის **ალექსანდრე იაშვილი** და 40 წლის **ვაჟა თარხნიშვილი** - მხოლოდ ამათ გაგვახარეს ქართული ლეგიონის კოჰორტიდან (კიდევ ერთი ქართული გოლი უკრაინის რანგით მეორე ლიგაში გავიდა). ორივე მათგანმა პენალტით გამოიჩინა თავი. იაშვილმა „პადერბორნთან" მატჩის 39-ე წუთზე გაიტანა 11-მეტრიანი, შემდეგ კიდევ ერთი შანსი მიეცა, მაგრამ 52-ეზე პენალტი უკვე ვეღარ შეაგდო, მისმა „კალსრუემ" კი კვლავ წააგო. ეს ქართველი ვეტერანის მე-5 გოლია ჩემპიონატში, „კარლსრუე" კი 12 ქულით გასავარდნ ზონასთან სახიფათო სიახლოვესაა (მე-15 ადგილზეა). „შპორტალმა" ჩვენებურის გარჯა 3 ბალით შეაფასა. იაშვილზე 6 წლით უფროსმა თარხნიშვილმა „ისკა-სტალის" კარში 89-ე წუთზე გაიტანა გამარჯვების გოლი (2:1) და „შერიფი" კვლავ ლიდერად დატოვა. ეს ვაჟას მე-4 გოლია ჩემპიონატში. ამას დავუმატოთ პერმა ლიგაში „სევასტოპოლის" 24 წლის მცველ **მათე ლვინიანიძის** ჩემპიონატში მეორე გოლი. მისმა გუნდმა არმიანსკის „ტიტანს" 2:0 მოუგო.

რუსეთის ჩემპიონატში ახალი ეტაპი დაიწყო. პირველ-მერვე ადგილებზე გასულებს ამიერიდან შეხება აღარ ექნებათ „მეორე ეშელონის" გუნდებთან". ზედა რვაში კი მხოლოდ ორი ჩვენებურია, ორივე ახალგაზრდა და პერსპექტიული, მაგრამ ორივეს უჭირს ძირითადში მოხვედრა. ამ ტურშიც ასე იყო, **საბა კვერკველიამ** (რუბინი) და **ჯანო ანანიძემ** (სპარტაკი) დუბლებში ითამაშეს. მე-9-მე-16 ადგილებზე გასული გუნდების ტურნირში კი აღვნიშნავთ „კრასნოდარის" მოგებას ნალჩიკის „სპარტაკთან" — ამ შეხვედრაში ერთდროულად 4 ქართველი ვიხილეთ (3:2). ამ მატჩში **ალექსანდრე ამისულაშვილმა** საგოლე პასი მიითვალა, ხოლო **ოთარ მარცვალაძემ** კარგი თამაშისთვის 6 ბალი მიიღო „ჩემპიონატისგან". ნალჩიკელთა რიგებში ითამაშეს **დავით სირაძემ** და **გუჯა რუხაიამ.**

კიდევ ერთმა ჩვენებურმა „გამოიჩინა" თავი - საბერძნეთში **გიორგი შაშიაშვილმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ჰოლანდიაში კი **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესი" „ფეიენოორდთან" 0:4 შერცხვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მათე ლვინიანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნორვიჩი-არსენალი 1:2

ნორვიჩი (4-5-1): რადი – ნაფტონი, მარტინი, ბერნეტი, ტიერნი – ჰულაჰანი (69. ჰოლტი), ბ. ჯონსონი, კროფტსი, ფოქსი (45. ბენეტი), პილკინგტონი (82. ს. ჯეკსონი) - მორისონი

არსენალი (4-4-2): შჩესნი – კოშელნი, ვერმაელენი, მერტეზაკერი, სანტოსი – უოლკოტი (90. ჯურუ), არტეტა, სონგი, ყერვინიო (78. ბენაიუნი) – რემსი, ვან პერსი

გოლები: 1:0 მორისონი (16), 1:1 ვან პერსი (27), 1:2 ვან პერსი (59)

გაფრთხილება: ელიოტი, ტიერნი, ჰოლტი (სამივე ნორვიჩი)

კუთხური: 1-6; ჯარიმა: 12-11; კარში დარტყმა: 9-20 (2-11); თამაშგარე: 1-3; ბურთის ფლობა: 43%-57%

მაყურებელი: 26 801

## ევერტონი-ვულვერჰემპტონი 2:1

ევერტონი (4-5-1): ჰოვარდი – ჰიბერტი, ჰეიტინგა, ჯეგიელკა, ბეინესი – კოულმენი, ფელაინი, ოსმანი, ტ. კეჰილი (73. ველიოსი), დრენტე (86. ბელიალეტდინოვი) – საა (90. სტრაკუალურსი)

ვულვერჰემპტონი (4-5-1): ჰენესი – სტირმენი (59. ელოკობი), ბერა, რ. ჯონსონი, უორდი – ედუარდსი (86. ფლეტჩერი), ჰენრი, ო'ჰარა, მილიაში (80. ჯერვისი), ჰანტი - დოილი

გოლები: 0:1 ჰანტი (37-პენ), 1:1 ჯეგიელკა (44), 2:1 ბეინესი (83-პენ)

გაფრთხილება: ბეინესი – ჰანტი, ო'ჰარა

კუთხური: 9-1; ჯარიმა: 14-13; კარში დარტყმა: 15-5 (5-1); თამაშგარე: 1-4; ბურთის ფლობა: 48%-52%

მაყურებელი: 33 953

## მანჩესტერ სითი-ნიუკასლი 3:1

მანჩესტერ სიტი (4-4-2): ჰარტი – რიჩარდსი, ლესკოტი, კომპანი, კლიში – მილნერი, ი.ტურე (85. ბერი), დე იონგი, ნასრი – აგუერო (76. ა. ჯონსონი), ბალოტელი (69. სილვა)

ნიუკასლი (4-4-2): კრული – სიმპსონი, კოლოჩინი, ს. ტეილორი, რ. ტეილორი – ს. ამეობი (79. გოსლინგი), გათრი, კაბაიე (85. პერჩი), ხონასი – ბენ არფა (76. ლოვენკრანდსი), ბა

გოლები: 1:0 ბალოტელი (41-პენ), 2:0 რიჩარდსი (44), 3:0 აგუერო (72-პენ), 3:1 გოსლინგი (89)

კუთხური: 4-5; ჯარიმა: 12-8; კარში დარტყმა: 14-9 (5-4); თამაშგარე: 6-1; ბურთის ფლობა: 64%-36%

მაყურებელი: 47 408

## სტოკი-ქუინზ პარკი 2:3

სტოკი (4-4-2): სიორენსენი – უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, ჰიგინბოთემი – პენანტი (69. ფულერი), უაიტჰედი (85. უილენი), დილეპი, ეზერინგტონი – უოლტერსი, კრაუჩი (64. კ. ჯონსი)

ქუინზ პარკი (4-4-2): კენი – ლ. იანგი (77. ორი), გებიდონი, ა.ფერდინანდი, ჰილი – რაიტ-ფილიპსი, ფაურლინი, ბარტონი, ტრაორე – მეკი, ჰელგიუსონი

გოლები: 1:0 უოლტერსი (8), 1:1 ჰელგიუსონი (22), 1:2 ლ. იანგი (44), 1:3 ჰელგიუსონი (54), 2:3 შოუკროსი (64)

გაფრთხილება: უილკინსონი, შოუკროსი, დილეპი, ფულერი (ყველა სტოკი)

კუთხური: 9-5; ჯარიმა: 17-11; კარში დარტყმა: 20-8 (5-5); თამაშგარე: 2-3; ბურთის ფლობა: 42%-58%

მაყურებელი: 27 618

## სანდერლენდი-ფულჰემი 0:0

სანდერლენდი (4-4-2): ვესტვუდი – ო'ში, ბრაუნი, ტერნერი, ბერდსლი – ელმოჰამადი (88. ნობლი), კოლბეკი (73. ჯი), კეტერმოლი, რიჩარდსონი – სესენიონი, ბენდტნერი

ფულჰემი (4-4-2): შვარცერი – ჰიუზი, ჰანგელანდი, სენდეროსი, ბეირდი – დაფი (87. რუისი), მერფი, ეტუჰუ, დემპსი (90. ბრიგსი) – დემბელე, ზამორა (68. ე. ჯონსონი)

გაფრთხილება: კეტერმოლი-ეტუჰუ

კუთხური: 11-4; ჯარიმა: 15-5; კარში დარტყმა: 25-12 (5-3); თამაშგარე: 2-4; ბურთის ფლობა: 52%-48%

მაყურებელი: 37 688

## ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი 2:1

ვესტ ბრომვიჩი (4-5-1): ფოსტერი – რიდი, ოლსონი, მაკოლი, შორი – ბრანტი, მორისონი, მულუმბუ (90. კოქსი), გერა, ტომასი (80. დორანსი) - ლონგი

ბოლტონი (4-4-2): იაასკელაინენი - რაილი, უიტერი, გ. კეჰილი, რობინსონი – მ. დევისი, მუამბა (81. კაკუტა), რიო-კოკერი, იგლზი (70. მ. პეტროვი) – კ. დევისი (70. ნგოგი), კლასნიჩი

გოლები: 1:0 ტომასი (16), 1:1 კლასნიჩი (21-პენ), 2:1 ლონგი (56)

გაფრთხილება: ტომასი (ვესტ ბრომვიჩი)

კუთხური: 7-5; ; ჯარიმა: 13-14; კარში დარტყმა: 16-10 (6-4); თამაშგარე: 2-0; ბურთის ფლობა: 54%-46%

მაყურებელი: 26 221

## უიგანი-ბლექბერნი 3:3

უიგანი (4-3-3): ალ ჰაბსი – სტამი (90. მაკარტური), გოჰური, კოლდუელი, ფიგეროა – დიამე, მაკარტი, დ. ჯონსი – გომესი (68. კრუსატი), მოზესი, სემონი (68. როდალეგა)

ბლექბერნი (4-4-2): რობინსონი – სალგადო (45. ა. ჰენლი), დანი, გ. ჰენლი, ჟივე (90. რობერტსი) – როჩინა (84. ფორმიცა), პედერსენი, ნ'ზონზი, ჰოილეტი – დანი, იაკუბუ

გოლები: 0:1 იაკუბუ (2), 1:1 გომესი (7), 2:1 კოლდუელი (31), 2:2 ჰოილეტი (59), 3:2 კრუსატი (88), 3:3 იაკუბუ (90-პენ)

გაფრთხილება: გომესი, სტამი – როჩინა, დანი, ნზონზი

გაძევება: დანი (48 – ბლექბერნი)

კუთხური: 7-3; ჯარიმა: 14-15; კარში დარტყმა: 26-9 (6-3); თამაშგარე: 2-0; ბურთის ფლობა: 59%-41%

მაყურებელი: 17 392

## სუონსი-მანჩესტერ იუნ. 0:1

სუონსი (4-5-1): ვორმი – რანგელი, უილიამსი, მონკი, ნ. ტეილორი – დაიერი, ბრიტონი, გოვერი (79. დობი), რუტლიჯი (45. ალენი), სინკლერი - გრემი

მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2): დე ხეა – ჯონსი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (51. ფაბიო) – ნანი, გიგზი (76. ფლეტჩერი), ქერიკი, პარკი – ერნანდესი (84. ვალენსია), რუნი

გოლი: 0:1 ერნანდესი (11)

გაფრთხილება: ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი)

კუთხური: 6-2; ჯარიმა: 12-7; კარში დარტყმა: 4-9 (1-6); თამაშგარე: 1-3; ბურთის ფლობა: 50%-50%

მაყურებელი: 20 295

## ჩელსი-ლივერპული 1:2

ჩელსი (4-3-3): ჩეხი – ივანოვიჩი, ტერი, ლუიზი, ე. კოული – რამირესი (84. მეირელეში), მიკელი (46. სტარიჯი), ლემპარდი – მატა, მალუდა, დროგბა (84. ტორესი)

ლივერპული (4-4-2): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ენრიკე – კუიტი, ადამი, ლუკასი, მაქსი როდრიგესი (77. დაუნინგი) – სუარესი (90. ქეროლი), ბელამი (66. ჰენდერსონი)

გოლები: 0:1 მაქსი როდრიგესი (34), 1:1 სტარიჯი (55), 1:2 გ. ჯონსონი (87)

გაფრთხილება: ლუიზი, რამირესი, ივანოვიჩი – ლუკასი, კუიტი

კუთხური: 6-5; ჯარიმა: 14-14; კარში დარტყმა: 15-6 (4-2); თამაშგარე: 2-2; ბურთის ფლობა: 56%-44%

მაყურებელი: 41 820

**ტოტენჰემი-ასტონ ვილა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 42-11 | 34 |
| 2. იუნაიტედი | 12 | 9 | 2 | 1 | 29-12 | 29 |
| 3. ნიუკასლი | 12 | 7 | 4 | 1 | 18-11 | 25 |
| 4. ჩელსი | 12 | 7 | 1 | 4 | 25-17 | 22 |
| 5. ტოტენჰემი | 10 | 7 | 1 | 2 | 21-15 | 22 |
| 6. ლივერპული | 12 | 6 | 4 | 2 | 16-11 | 22 |
| 7. არსენალი | 12 | 7 | 1 | 4 | 25-22 | 22 |
| 8. ასტონ ვილა | 11 | 3 | 6 | 2 | 16-15 | 15 |
| 9. ქუინზ პარკი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-22 | 15 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-17 | 14 |
| 11. ნორვიჩი | 12 | 3 | 4 | 5 | 17-20 | 13 |
| 12. ევერტონი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-16 | 13 |
| 13. სუონსი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-16 | 13 |
| 14. სტოკი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-22 | 12 |
| 15. სანდერლენდი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-13 | 11 |
| 16. ფულჰემი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-15 | 11 |
| 17. ვულვზი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-20 | 11 |
| 18. ბოლტონი | 12 | 3 | 0 | 9 | 19-29 | 9 |
| 19. ბლექბერნი | 12 | 1 | 4 | 7 | 16-27 | 7 |
| 20. უიგანი | 12 | 1 | 3 | 8 | 10-23 | 6 |

ბომბარდირები: 13 — ვან პერსი (არსენალი); 10 - ჯეკო (სიტი), აგუერო (სიტი); 9 - რუნი (იუნაიტედი); 8 - ბა (ნიუკასლი); 6 - ბალოტელი (სიტი), კლასნიჩი (ბოლტონი), ლემპარდი (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი)

## ინგლისი. ჩემპიონშიპი. XVII ტური

**ბარნლი-ლიდსი** 1:2

გოლები: 1:0 როდრიგესი (10), 1:1 სნოდგრასი (76), 1:2 სნოდგრასი (89)

**ბარნსლი-დონკასტერი** 2:0

გოლები: 1:0 კ. დევისი (30), 2:0 კ. დევისი (64)

**ბირმინგემი-პიტერბორო** 1:1

გოლები: 1:0 კინგი (22), 1:1 მაკკენი (61)

**ქოვენთრი-ვესტ ჰემი** 1:2

გოლები: 1:0 პლატი (33), 1:1 კ. კოული (69), 1:2 პიქვიონი (75)

**დერბი-ჰალი** 0:2

გოლები: 0:1 ფრაიატი (17), 0:2 სტიუარტი (23)

**მიდლსბრო-ბლექპული** 2:2

გოლები: 1:0 მაკდონალდი (15), 1:1 სილვესტრი (21), 2:1 მაკდონალდი (73), 2:2 შილვი (78)

**ნოტინგემი-იფსვიჩი** 3:2

გოლები: 0:1 კოლინზი (25), 1:1 ფინდლი (42), 1:2 კოლინზი (62), 2:2 ლინჩი (84), 3:2 თაჯი (84)

**რედინგი-კარდიფ სიტი** 1:2

გოლები: 0:1 უიტინგემი (2), 0:2 ჰაჯსონი (70), 1:2 კებე (77)

**საუთჰემპტონი-ბრაიტონი** 3:0

გოლები: 1:0 ლამბერტი (49), 2:0 ლამბერტი (58-პენ), 3:0 ლამბერტი (69-პენ)

**უოტფორდი-პორტსმუთი** 2:0

გოლები: 1:0 ნაითლი (2), 2:0 სორდელი (45)

**მილუოლი-ბრისტოლი** 1:2

გოლები: 0:1 მეინარდი (14), 1:1 სიმპსონი (57), 1:2 მეინარდი (63)

**ლესტერი-კრისტალ პალასი** 3:0

გოლები: 1:0 ბეკფორდი (55), 2:0 გალაჰერი (71), 3:0 გალაჰერი (74)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 17 | 12 | 3 | 2 | 40-17 | 39 |
| 2. ვესტ ჰემი | 17 | 10 | 4 | 3 | 30-14 | 34 |
| 3. მიდლსბრო | 17 | 8 | 7 | 2 | 22-14 | 31 |
| 4. კარდიფი | 17 | 8 | 6 | 3 | 31-21 | 30 |
| 5. ლიდსი | 17 | 8 | 4 | 5 | 28-26 | 28 |
| 6. ჰალი | 16 | 8 | 3 | 5 | 16-15 | 27 |
| 7. ბლექპული | 17 | 7 | 5 | 5 | 28-21 | 26 |
| 8. ლესტერი | 17 | 7 | 4 | 6 | 23-19 | 25 |
| 9. კრ. პალასი | 17 | 7 | 4 | 6 | 18-17 | 25 |
| 10. დერბი | 17 | 7 | 3 | 7 | 22-25 | 24 |
| 11. პიტერბორო | 17 | 7 | 2 | 8 | 33-30 | 23 |
| 12. ბრაიტონი | 17 | 6 | 5 | 6 | 19-20 | 23 |
| 13. ბირმინგემი | 14 | 6 | 4 | 4 | 19-15 | 22 |
| 14. რედინგი | 17 | 5 | 6 | 6 | 17-17 | 21 |
| 15. ბარნსლი | 17 | 5 | 6 | 6 | 19-21 | 21 |
| 16. იფსვიჩი | 16 | 6 | 2 | 8 | 23-30 | 20 |
| 17. ნოტინგემი | 17 | 6 | 2 | 9 | 18-29 | 20 |
| 18. პორტსმუთი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-20 | 19 |
| 19. უოტფორდი | 17 | 5 | 4 | 8 | 17-26 | 19 |
| 20. მილუოლი | 17 | 4 | 6 | 7 | 20-20 | 18 |
| 21. ბარნლი | 16 | 5 | 3 | 8 | 21-25 | 18 |
| 22. ბრისტოლი | 17 | 4 | 4 | 9 | 16-28 | 16 |
| 23. ქოვენთრი | 17 | 2 | 6 | 9 | 14-26 | 12 |
| 24. დონკასტერი | 17 | 3 | 3 | 11 | 13-30 | 12 |

ბომბარდირები: 12 – ლამბერტი (საუთჰემპტონი); 9 - მაკკორმაკი (ლიდსი); 8 – ოსტინი (ბარნლი), ჰენდერსონი (მილუოლი), მაკენი (პიტერბორო), ვუდი (ბირმინგემი); 7 – ემნესი (მიდლსბრო), კ. ფილიპსი (ბლექპული).

## პირველი ლიგა. XVIII ტური

ბრენტფორდი-ჩარლტონი 0:1, კოლჩესტერი-მილტონი 1:5, ჰადერსფილდი-ნოთს ქაუნთი 2:1, ლეიტონი-სტივენიჯი 0:0, ოლდჰემი-ჩესტერფილდი 5:2, პრესტონი-როჩდეილი 0:1, სკანთორპი-ჰარტლპული 0:2, შეფილდ იუნაიტედი-კერლისლი 1:0, ტრანმერი-შეფილდ უენსდი 1:2, უოლსოლი-ბერი 2:4, უიკომბი-ბურნმუთი 0:1, იეოვილი-ექსეტერი 2:2.

## მეორე ლიგა. XVIII ტური

უიმბლდონი-სუინდონი 1:1, ოლდერშოტი-ჯილინგემი 1:2, ბრედფორდი-როტერჰემი 2:3, ბრისტოლი-ბერნეტი 0:2, ჩელტენჰემი-პორტ ვეილი 2:0, ქროული-ოქსფორდი 4:1, დაგენჰემი-საუთენდი 2:3, ჰერეფორდი-ბარტონი 2:3, მაკლსფილდი-ეკრინგტონი 1:1, მორკეიმბი-ქრუ 1:2, ნორთემპტონი-შრუსბერი 2:7, თორგუეი-პლიმუთი 3:1.

## კონფერენსი. XX ტური

ტელფორდი-მენსფილდი 0:0, ოლფრეტონი-გეიტსჰედი 1:1, ბეროუ-იორკი 0:0, ბრეინტრი-ფორესტ გრინი 1:5, კემბრიჯი-ლუტონი 1:1, ებსფლიტი-დარლინგტონი 1:3, გრიმსბი-ნიუპორტი 2:2, ჰეიესი-კიდერმინსტერი 1:3, საუთპორტი-ბათი 2:1, ვრექსჰემი-ლინკოლნი 2:0, ფლიტვუდი-სტოკპორტი 2:1.

**ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტური**

# მანჩესტერელები კი გაიჭრნენ

„ჩელსის" თავკაცმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** მთელი მსოფლიოს საფეხბურთო პრესა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, თუმცა საეჭვოა ეს მისი მთავარი ამოცანა ყოფილიყო. პორტუგალიელის მთავარი ამოცანა, ალბათ, უფრო „ლივერპულთან" გამარჯვება უნდა ყოფილიყო, რომელიც ვაგლახ, მისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა — მეორე ტაიმში დიდი სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, დასავლეთ ლონდონის გუნდი **კენი დალგლიშის** შეგირდებთან დამარცხდა. პირში ჩალის გამოვლებაში კი კერძოდ, აი, რა ვიგულისხმეთ: კვირას, „სტემფორდ ბრიჯზე" მთელი მსოფლიო **ფერნანდო ტორესისა** და **რაულ მეირელეშის** თამაშს ელოდა. ყველას აინტერესებდა, რას იზამდნენ ეს ვარსკვლავები თავიანთი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. ხალხი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ტორესს ელოდა — ესპანელის „ლივერპულიდან" „ჩელსიში" 50 მილიონ ფუნტად გადასვლის ისტორია ცნობილია და მისი გამეორებით თავს აღარ შეგაწყენთ. და რა ქნა ვილაშ-ბოაშმა? ყოფილი ლივერპულელები თამაშის დამთავრებამდე მხოლოდ და მხოლოდ 8 წუთით ადრე, ერთად შეუშვა მოედანზე. მოკლედ, „ლურჯების" მწვრთნელმა რაღაც ორიგინალური მოიფიქრა და... სწორედ ტორესისა და მეირელეშის გამოყვანის მერე გაუშვა ის გოლი, რომ-

რიო აუღელვებელია. გამორიცხულია, მან ააცილოს. როგორ ახერხებს ამას მე ვერ გეტყვით, არ ვიცი. ამასთან, ის ზოგადადაც დიდებული ფეხბურთელია და რაც მთავარია, დღითიდღე აუმჯობესებს თამაშს".

„კაჭკაჭების" თავკაცმა **ალან პერდიუმ** კი განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში „სიტის" მსგავს ძლიერ გუნდს არ შეხვედრია:

*„ბოლოს კი ნერვები მომეშალა. იმას არ ვამბობ, რომ მსაჯებმა რომელიმე პენალტი უსამართლოდ დანიშნეს, იმის თქმა მინდა, რომ ამ დღეს მოედანზე ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ ხდებოდა. თან, როდესაც ძლიერ გუნდს ხვდები, სასურველია უძლიერესი შემადგენლობა გყავდეს მწყობრში. ჩვენ ესეც ვერ მოვახერხეთ".*

სუონსის „ლიბერთი სთედიუმზე" კი „მანჩესტერ იუნაიტედმა" **ხავიერ ერნანდესის** მიერ თამაშის დასაწყისში გატანილი გოლით მოიგო და „ხმაურიან თანაქალაქელთან" (ამ ბოლო დროს ინგლისურ პრესაში ასე შეარქვეს „მანჩესტერ სიტის") ხუთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. საინტერესოა, რომ ისტორიის განმავლობაში „იუნაიტედს" რვაჯერ ჰქონდა უელსის ამ ქალაქში ნათამაშები და ერთხელაც ვერ გაემარჯვა. მეცხრე ცდაზე, „სუონსი სიტი" როგორც იქნა გატყდა. ზემოთ ნახსენები ერთადერთი გოლი ერნანდესმა **რაიან**

გახლდათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში არაფერი სტკენოდა, რომ გამაოგნებლად დაიწყო თამაში".

ნორვიჩულ გამარჯვებაში ვენგერს ყველაზე მეტად მისი ფეხბურთელების სულისკვეთება მოეწონა. მან დასძინა: *„დღეს ჩვენი მენტალური სიძლიერე დავამტკიცეთ. ეს კარგის ნიშანია. ესე იგი გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროა".*

მატჩის გმირმა ვან პერსიმ კი თქვა, რომ ცუდი სტარტის მიუხედავად, მიმდინარე სეზონში „არსენალს" ოთხეულში მოხვედრა შეუძლია.

„ევერტონმა" როგორც იქნა გატეხა ნავსი (ბოლო 6 თამაშიდან 5 წაგებული ჰქონდა), შინ, „გუდისონ პარკზე" „ვულვერჰემპტონს" 2:1 მოუგო, მაგრამ ამაში სტუმრების დახმარება დასჭირდა — 83-ე წუთზე, როდესაც თამაში 1:1-ისკენ მიდიოდა, „მგლების" მცველმა **სტივენ უორდმა, ლუი საას** რატომღაც ხელი ჰკრა და მსაჯს პენალტი დაანიშნინა, რომელიც **ლეიტონ ბეინსმა** გოლად გარდასახა.

„მესტალიაზე“ თამაში სრულდებოდა. მასპინძელთა ერთ-ერთ უკანასკნელ შეტევას გოლი აუცილებლად მოყვებოდა, რომ არა **გონსალო იგუაინი**. არგენტინელმა კარგი ჰოკეისტი მეკარესავით მოიგერია ბურთი კარის ხაზიდან კუთხურზე, თუმცა მასპინძლები მიიჩნევდნენ, რომ იგუაინმა ხელით ითამაშა. ასეა თუ ისე, მსაჯმა **ხოსე ანტონიო ტეშეირა ვიტიენესმა** სხვაგვარად განსაჯა - „რეალმა“ ხუთგოლიანი თრილერი „მესტალიაზე“ 3:2 მოიგო და ლიდერობა შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონამ“ ძალზე იოლად მოიგო თავისი მატჩი.

**ჟოზე მოურინიომ** 50-ე მატჩი ლა ლიგაში გამარჯვებით აღნიშნა, თუმცა მისმა გუნდმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა, პირველში „რეალის“ უპირატესობა აშკარა იყო, ლიდერი დამსახურებულად იგებდა, მეორეში კი „ლოს ჩემ“ დაჩაგრა მეტოქე, მაგრამ უშედეგოდ.

ანგარიში მე-19 წუთზე გაიხსნა, **ჩაბი ალონსომ** საჯარიმო ისე ჩააწოდა, რომ **ქარიმ ბენზემა დიეგო ალვეშს** შეატოვა, ფრანგმაც, რომელიც გადაღლილი იგუაინის ადგილს იკავებდა სასტარტო შემადგენლობაში, შესანიშნავად დაამუშავა ბურთი და მიწაზე დაუშვებლად გაიტანა.

მეორე ტაიმი „ვალენსიამ“ გიჟურ ტემპში დაიწყო, პირველ ხუთ წუთში რამდენჯერმე დაემუქრა **იკერ კასილიასის** კარს. ნელ-ნელა თამაშმა ტემპი დაკარგა, ხოლო ფეხბურთელებმა ერთმანეთთან კინკლაობა გააჩაღეს, მსაჯმა ბარათების დარიგებას მიჰყო ხელი, მაგრამ აშკარა იყო, რომ ვიტიენესს მატჩის სადავეები ხელიდან ეცლებოდა.

გოლთა წვიმა კი 71-ე წუთიდან დაიწყო - **მესუთ იოზილმა** კუთხური ჩამოაწოდა და **სერხიო რამოსმა** თავურით „რეალი“ 2:0 დააწინაურა. ეს უკვე დიდი ფორა იყო, თუმცა მასპინძელთა ფორვარდ **რობერტო სოლდადოს** ველარ აჩერებდნენ, სამ წუთში მან ერთი გოლი გაქვითა - კასილიასი ფეხებში ჩაუვარდა **პაბლო ერნანდესს**, მაგრამ სოლდადოს დამატებულს აუღებელი ეთქმოდა. ამის შემდეგ ვალენსიელთა ბრაზილიელი გოლკიპერი დიეგო ალვეში შეცდა, როცა **კრიშტიანო რონალდოსთან** საჰაერო დუელი წააგო, პორტუგალიელმაც მახვილი კუთხიდან დალაშქრა მასპინძელთა კარი.

„ვალენსია“ მაინც არ დანებდა, პაბლო ერნანდესმა კარის ხაზთან მიუსწრო ბურთს, ჩააწოდა და სოლდადოს დუბლი შეასრულებინა. ამის შემდეგ იყო ის საკამათო ეპიზოდი, რითაც ტურის ცენტრალური მატჩის შესახებ თხრობა დავიწყეთ...

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„ეს თამაში ფრედ უნდა დასრულებულიყო, თამაშის მიწურულს ჩვენ პენალტი უნდა დაგვერტყა. ეს იქნებოდა ყველაზე სამართლიანი შედეგი. მარცხმა ძალიან დაგვწყვიტა გულები, მართალია, პირველი ტაიმი ჩავაგდეთ - თამაშს მეტოქე აკონტროლებდა, მაგრამ მას ბევრი საგოლე მომენტი არ შეუქმნია. მეორე ტაიმში ზუსტად ისე ვითამაშეთ, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მაინც უქულოდ დავრჩით. ახლა უკვე ოთხშაბათის მატჩზე უნდა ვიფიქროთ - ადრე ავდგეთ და მოვემზადოთ ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის“.*



ეს წუთია ჟოზე მოურინიო ხოსე კალეხონს ზურგზე მოექცა



საკამათო ეპიზოდი

**აიტორ კარანკა** (რეალი): *„ასეთი გამარჯვებები გუნდის ერთიანობას აძლიერებს. ჩვენ დღეს დავამტკიცეთ, რომ „რეალს“ იმ შემთხვევაშიც შეუძლია მოგება, როცა კარგად თამაშობს და მაშინაც, როცა კარგად თამაში არ გამოსდის. ბოლოსკენ ჩვენივე შეცდომების წყალობით გავირთულეთ საქმე“.*

სხვათა შორის, ჟოზე მოურინიომ რონალდოს გოლი საოცრად აღნიშნა - გახარებული სათადარიგო **ხოსე კალეხონს** შეახტა და „გააჭენა“.

მანამდე ორი საათით ადრე „ბარსელონამ“ მშვიდად და აუღელვებლად 4:0 მოუგო „სარაგოსას“, ორივე ტაიმში 2-2 გოლი გაუტანა ფინანსურ კრიზისში მყოფ არაგონულ კლუბს. მე-18 წუთზე **ჩავიმ** საჯარიმო ჩააწოდა და ყველას თავით **ჟერარდ პიკემ** დაასწრო. მალე ჩემპიონატის ბომბარდირმა **ლიონელ მესიმ** გაიტანა, არგენტინელმა საჯარიმოში **სესკ ფაბრეგასის** პასი მიიღო და დანარჩენი ისე შეასრულა, როგორც სჩვევია - უმაღლეს დონეზე.

მეორე ტაიმში პიკეს მეწყვილე **კარლეს პუიოლმა** გაიტანა. მან ახლო მანძილიდან ორჯერ დაარტყა „სარაგოსას“ კარში, მეორედ მეკარე უძლური იყო. სტუმართა განადგურება **დავიდ ვილიამ** დაასრულა, მას მერე, რაც სტუმართა მცველები შეცდნენ, **ისააკ კვენკამ** ჩააწოდა და „ელ გუახემ“ თავით გაიტანა - 4:0.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„მიუხედავად იმისა, რომ ვილია სასტარტოში არ ყოფილა, მე მას ბოლომდე ვენდობი. რაც შეეხება მესის, ეს ის ფეხბურთელია, რომელსაც მალე შეუძლია გასალები მოარგოს მეტოქის კარს, ამიტომ, როცა შევატყე თამაში შეეძლო, ერთი წამითაც არ მიყოყმანია“.*

„რეალ სოსიედადმა“ და „ესპანიოლმა“ უგოლო ფრე „გამოაცხვეს“, ერთადერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი სტუმარი **სერხიო გარსიას** ტრავმა იყო პირველ ტაიმში, რის გამოც მას მოედნის დატოვებამ მოუწია.

„სანჩეს პისხუანზე“ „ბილბაომ“ მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა „სევილიაზე“. გამარჯვების გოლი კი **ოსკარ დე მარკოსის** ანგარიშზეა.

მადრიდშიც ვიხილეთ 5-გოლიანი თრილერი - ამჯერადაც (როგორც, „ვალენსია“-“რეალის“ შემთხვევაში) მადრიდულ-ვალენსიური დაპირისპირება დედაქალაქელებმა 3:2 მოიგეს - ასე დაამარცხა „ატლეტიკომ“ „ლევანტე“.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

26 ნოემბერი: რაიო ვალეკანო-ვალენსია, რეალი-ატლეტიკო.

27 ნოემბერი: ხეტაფე-ბარსელონა, ბეტისი-რეალ სოსიედადი, ლევანტე-სპორტინგი, მალიორკა-რასინგი, ესპანიოლი-ოსასუნა, ბილბაო-გრანადა, სარაგოსა-სევილია.

28 ნოემბერი: მალაგა-ვილიარეალი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოტლანდია. XV ტური



# ნაკრები რეინჯერსს აბრკოლებს

**ინვერნესი-სელტიკი 0:2**

გოლები: 0:1 სტოკსი (61), 0:2 სტოკსი (62)

**აბერდინი-მოზერუელი 1:2**

გოლები: 0:1 ჰიგდონი (6), 1:1 ვერნონი (10), 1:2 დეილი (53)

**დანდი-ჰართსი 1:0**

გოლი: 1:0 რობერტსონი (24)

**ჰიბერნიანი-კილმარნოკი 1:1**

გოლები: 0:1 პასკალი (37), 1:1 გრიფიტსი (49)

**რეინჯერსი-სტ. ჯონსტონი 0:0**

**სტ. მირენი-დანფერმლაინი 2:1**

გოლები: 1:0 მაკლინი (25), 2:0 ჰასელბაინკი (45), 2:1 კერდლი (63)

„რეინჯერსმა“ „აიბროქსზე“ „სენტ ჯონსტონს“ ვერც გაუტანა და არც გაატანინა. ერთი სიტყვით, შოტლანდიის პრემიერლიგის ლიდერმა ორი ქულა დაკარგა. ცნობისათვის: სანაკრებო წყვეტის შემდეგ „რეინჯერსს“ ასეთი რამ პირველად არ ემართება. ამით ისარგებლა ლიდერის დაუძინებელმა მტერმა, „სელტიკმა“, რომელმაც „ინვერნესს“ 2:0 აჯობა და თანაქალაქელს ცოტათი წამოეწია — ახლა გლაზგოურ გუნდებს შორის სხვაობა 10 ქულაა. სელტიკელთაგან ორივე გოლი **ენტონი სტოკსმა** გაიტანა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამარჯვებულებს ძალიან დაეხმარა ერთი გარემოება: მსაჯმა პირველ ტაიმში, 36-ე წუთზე, „ინვერნესის“ ფეხბურთელი **გრეგ ტენსი** გააძევა მოედნიდან.

„აბერდინთან“ 2:1 გამარჯვების შემდეგ მესამე პოზიციაზე მყარად დამკვიდრდა „მოზერუელი“.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 15 | 12 | 3 | 0 | 30-6 | 39 |
| 2. სელტიკი | 14 | 9 | 2 | 3 | 27-13 | 29 |
| 3. მოზერუელი | 15 | 9 | 2 | 4 | 20-18 | 29 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 15-11 | 20 |
| 5. სტ. მირენი | 15 | 5 | 5 | 5 | 14-14 | 20 |
| 6. ჰართსი | 15 | 5 | 4 | 6 | 13-10 | 19 |
| 7. დანდი | 15 | 4 | 5 | 6 | 21-26 | 17 |
| 8. კილმარნოკი | 15 | 3 | 7 | 5 | 20-25 | 16 |
| 9. ჰიბერნიანი | 15 | 3 | 5 | 7 | 15-23 | 14 |
| 10. დანფერმლაინი | 14 | 3 | 4 | 7 | 15-29 | 13 |
| 11. აბერდინი | 14 | 3 | 3 | 8 | 14-18 | 12 |
| 12. ინვერნესი | 15 | 3 | 3 | 9 | 19-30 | 12 |

ბომბარდირები: 9 – ნეისმითი (რეინჯერსი), იელავიჩი (რეინჯერსი); 8 - სტოკსი (სელტიკი)

### ბელგიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | |
|---|---|
| ლოივენი-სტანდარდი | 1:3 |
| კორტრიიკი-გენტი | 0:4 |
| მეხელენი-ვარეგემი | 1:1 |
| ლოკერენი-ბეერსხოტი | 1:1 |
| მონსი-ლიერსი | 2:1 |
| გენკი-ვესტერლო | 3:0 |
| ანდერლეხტი-სტ. ტრუიდენი | 3:1 |
| ბრიუგე-სერკლ ბრიუგე | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 14 | 10 | 2 | 2 | 29-11 | 32 |
| 2. გენტი | 14 | 9 | 2 | 3 | 36-18 | 29 |
| 3. სერკლ ბრიუგე | 14 | 7 | 5 | 2 | 18-12 | 26 |
| 4. ბრიუგე | 14 | 7 | 4 | 3 | 27-18 | 25 |
| 5. სტანდარდი | 14 | 7 | 4 | 3 | 19-18 | 25 |
| 6. გენკი | 14 | 6 | 5 | 3 | 28-20 | 23 |
| 7. კორტრიიკი | 14 | 6 | 3 | 5 | 20-18 | 21 |
| 8. მონსი | 14 | 5 | 5 | 4 | 27-23 | 20 |
| 9. ბეერსხოტი | 14 | 4 | 6 | 4 | 25-22 | 18 |
| 10. ლოკერენი | 14 | 4 | 4 | 6 | 20-22 | 16 |
| 11. მეხელენი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-27 | 15 |
| 12. ლოივენი | 14 | 4 | 2 | 8 | 16-27 | 14 |
| 13. ვარეგემი | 14 | 2 | 7 | 5 | 12-18 | 13 |
| 14. ლიერსი | 14 | 2 | 6 | 6 | 10-18 | 12 |
| 15. სტ. ტრიდენი | 14 | 1 | 4 | 9 | 20-35 | 7 |
| 16. ვესტერლო | 14 | 1 | 4 | 9 | 11-27 | 7 |

## საფრანგეთი. ლიგა 1. XIV ტური

**ლიონი-რენი 1:2**

გოლები: 1:0 ედერსონი (36), 1:1 პიტროიპა (38), 1:2 ეკოკო (53)

**აიაჩო-კაენი 2:2**

გოლები: 1:0 ილანი (51. პენ.), 1:1 ვაგე (64), 1:2 ნანგისი (71), 2:2 ანდრე (90)

**დიჟონი-ბორდო 2:0**

გოლები: 1:0 ჟოვიალი (69), 2:0 კორგნი (73)
გაძევება: მარკი (84. დიჟონი)

**ევიანი-ლორიანი 2:1**

გოლები: 1:0 საგბო (2. პენ.), 1:1 სუნუ (47), 2:1 ვასი (59)

**ნიცა-სენტ ეტიენი 0:2**

გოლები: 0:1 სინამა-პონგოლე (24), 0:2 კ. ზუმა (39)

გაძევება: ოსპინა (21. ნიცა), მულუნგი (28. ნიცა), სიველი (85. ნიცა)

**მონპელიე-მარსელი 1:0**

გოლი: 1:0 ს. დიავარა (62. ს.კ.)

**ბრესტი-სოშო 2:0**

გოლები: 1:0 გრუჟი (67. პენ.), 2:0 პოიე (81)
გაძევება: პეიბერნსი (66. სოშო)

**ვალანსიენი-ოსერი 2:1**

გოლები: 0:1 ა. ტრაორე (34), 1:1 მირინი (58), 2:1 სამასა (79)

**პსჟ-ნანსი 0:1**

გოლები: 0:1 კალვე (49)

**ტულუზი-ლილი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 14 | 9 | 3 | 2 | 26-12 | 30 |
| 2. მონპელიე | 14 | 9 | 3 | 2 | 29-16 | 30 |
| 3. ლილი | 14 | 6 | 7 | 1 | 22-13 | 25 |
| 4. რენი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-17 | 25 |
| 5. ლიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 22-17 | 23 |
| 6. ტულუზი | 14 | 6 | 5 | 3 | 13-12 | 23 |
| 7. ლორიანი | 14 | 5 | 5 | 4 | 16-14 | 20 |
| 8. სენტ ეტიენი | 14 | 5 | 5 | 4 | 14-16 | 20 |
| 9. კაენი | 14 | 5 | 4 | 5 | 22-21 | 19 |
| 10. მარსელი | 14 | 4 | 6 | 4 | 17-15 | 18 |
| 11. სოშო | 14 | 4 | 5 | 5 | 20-27 | 17 |
| 12. ევიანი | 14 | 3 | 7 | 4 | 17-19 | 16 |
| 13. ბრესტი | 14 | 2 | 9 | 3 | 15-14 | 15 |
| 14. ოსერი | 14 | 3 | 6 | 5 | 20-20 | 15 |
| 15. ვალანსიენი | 14 | 3 | 5 | 6 | 15-15 | 14 |
| 16. ნანსი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-16 | 14 |
| 17. დიჟონი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-28 | 14 |
| 18. ბორდო | 14 | 2 | 7 | 5 | 15-21 | 13 |
| 19. ნიცა | 14 | 2 | 5 | 7 | 12-16 | 11 |
| 20. აიაჩო | 14 | 1 | 5 | 8 | 12-28 | 8 |

ბომბარდირები: 8 – გამეირო (პსჟ), ჟირუ (მონპელიე), 7 – გომისი (ლიონი)

### მომდევნო ტური

26 ნოემბერი: ბორდო-კაენი, ნანსი-დიჟონი, რენი-ევიანი, სენტ ეტიენი-აიაჩო, სოშო-მონპელიე, ტულუზი-ვალანსიენი

27 ნოემბერი: ლილი-ბრესტი, ოსერი-ლიონი, ლორიანი-ნიცა, მარსელი-პსჟ













ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XIV ტური

ვოლფსბურგი II–სტ. პაული II 2:2
ვილჰელმსჰავენი–მაგდებურგი 0:1
გერმანია–მეიზელვიტცი 2:1
ჰალეშერი–კოტბუსი II 2:0
მეპენი–პლაუენი 0:1
ბერლინერი–ლაიფციგი 1:3
ჰამბურგი II–ჰერტა II 0:1
კილი–ჰანოვერი II 3:0
ჰაველსე–ლიუბეკი 2:1

### რეგიონალლიგა (სამ)

XVIII ტური

აინტრახტი II–მიუნხენი II 2:0
ზონენჰოფი–პფიულენდორფი 1:3
ბაიერნი (ა)–ვორმატია 0:1
კარლსრუე II–შტ. კიკერსი 1:2
ვალდჰოფი–ინგოლშტადტი II 0:0
ბაიერნი II–ნიურნბერგი II 0:2
ფრაიბურგი II–კასელი 4:0
ფრანკფურტი II–ჰოფენჰაიმი II 2:0

### რეგიონალლიგა (დას)

XV ტური

დორტმუნდი II–ფერლი 1:1
ვიდენბრუკი–ბოხუმი II 4:0
ტრირი–ვუპერტალი 3:1
ფორტუნა (კ)–ელვერსბერგი 1:1
ფორტუნა II–კობლენცი 2:0
მაინცი II–კიოლნი II 3:1
შალკე II–გლადბახი II 1:1
ლოტე–კაიზერი II 3:2
ობერჰაუზენი–ესენი 2:1

## ბელგია

### II დივიზიონი

XIV ტური

შარლერუა–ვიზე 2:0
ბრიუსელი–დენდერი 2:1
სტანდარდი (ვ)–ლომელი 0:3
ვოლუვე–ტუბიზე 1:0
აალსტი–ეუპენი 0:2
ჰაისტი–ტინენი 1:2
ოსტენდე–სტ. ნიკლაასი 4:1
ბორინაჟი–ანტვერპენი 0:2
ვაასლანდი–რუზელარე 2:1

## პორტუგალიის თასი

### 1/16 ფინალი

ნავალი–ბენფიკა 0:1
მორეირენსე–ლუსადა 7:1
აკადემიკა–პორტუ 3:0
ალკოჩეტენსე–ოლჰანენსე 0:0 პენ. 2:4
ქაო ვერი–ტირსენსე 0:3
მირანდელა–გონდომარი 1:1 პენ. 6:5
ბელენენსეში–ვიზელა 2:0
რიბეირა–კოვილია 0:0 პენ. 5:4
ეშტორილი–პენაფიელი 2:1 დ.დ.
ევორა–მარიტიმუ 0:1
ლეიქსოეში–სანტა მარია 1:0
რიუ ავე–ტორენსე 2:3 დ.დ.
ტონდელა–ოლივეირენსე 0:1
ფერეირა–ნასიონალი 2:2 პენ. 4:5
ავეში–გიმარაეში 0:0 პენ. 3:2
სპორტინგი–ბრაგა 2:0

## შოტლანდიის თასი

### 1/16 ფინალი

კულტერი–პარტიკი 1:1
ბოუნესი–კოუდენბითი 0:3
ტელბოტი–ეილი 3:1
ირვინი–ლივინგსტონი 0:6
ეირდრი–გალა 11:0
ეირი–მონროუზი 2:2
ბრეჩინი–დამბარტონი 3:0
ისტ ფაიფი–ისტ სტირლინგი 5:0
ელჯინი–ქუინზ პარკი 1:1
მორტონი–დევერონვეილი 5:1
ინვერური–პიტერჰედი 2:4
კეიტი–არბროა 0:1
როსი–ალბიონი 4:0
სტენჰაუზმური–ანანი 4:0
სტირლინგი–დანდი 1:2
სტრანრარი–ფორფარი 1:1

## ავსტრია

XV ტური

ვინერი–შტურმი 3:1
ადმირა–აუსტრია 0:3
ტიროლი–მატერსბურგი 1:1
კაპფენბერგი–რიდი 1:3
რაპიდი–ზალცბურგი 4:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადმირა | 15 | 7 | 6 | 2 | 26-20 | 27 |
| 2. აუსტრია | 15 | 7 | 5 | 3 | 31-20 | 26 |
| 3. რაპიდი | 15 | 6 | 6 | 3 | 26-17 | 24 |
| 4. რიდი | 15 | 6 | 6 | 3 | 24-16 | 24 |
| 5. ზალცბურგი | 15 | 5 | 5 | 5 | 21-19 | 20 |
| 6. შტურმი | 15 | 5 | 5 | 5 | 24-24 | 20 |
| 7. ტიროლი | 15 | 3 | 8 | 4 | 18-23 | 17 |
| 8. ვინერი | 15 | 4 | 5 | 6 | 14-23 | 17 |
| 9. მატერსბურგი | 15 | 2 | 7 | 6 | 19-23 | 13 |
| 10. კაპფენბერგი | 15 | 2 | 3 | 10 | 13-31 | 9 |

## სლოვაკეთი

XVII ტური

ბისტრიცა–ჟილინა 1:1
ნიტრა–კოშიცე 1:1
რუჟომბეროკი–ტატრანი 1:1
ტრნავა–ძილინა 1:1
დ. სტრედა–ტრენჩინი 2:0
მორავცე–სლოვანი 1:1

## საფრანგეთის თასი

### I ეტაპი

ტულუზ როდეო–ორილიაკი 1:0
ზუნდჰოფენი–მონაკო 0:3
ლა ვიტრენი–მატური 4:0
რაონი–აბეი 6:0
ვალე–შამალიერი 0:1 დ.დ.
ვერსალი–რომორანტენი 3:1
ვასკეალი–ბულონი 0:0 პენ. 2:4
ლა სეინი–ბასტია 0:8
მეცი–ბოვე 4:1 დ.დ.
მონტელიმარი–ბურჟი 1:4
კლერმონტუა–კევილი 2:5
დურტსელი–რეიმსი 0:2
ფორი–კლერმონი 1:2 დ.დ.
პაგნო–ფორბახი 1:5 დ.დ.
პონტარლიე–ამიენი 3:1
სანუა–ლანსი 2:1 დ.დ.
შილტიგჰაიმი–სტ. დიე 2:1
დრაპო–ვანი 0:1 დ.დ.
ალენკონი–მანეი 1:2 დ.დ.
ამიენი აც–ჰავრი 1:3
არასი–სტ. დიზიე 3:1
ობანი–ფრეჟუსი 0:1
ავიონი–ტური 0:1
ბონი–სავერნი 4:0
ბელფორტი–მულუზი 0:1 დ.დ.
ბურჟე 18–ისტრი 0:3
დუნკერკი–რუანი 1:0
ფეინიე–სენტ კანტენი 3:2 დ.დ.
შატენრე–ლუკონი 0:1
სუზი–ლავალი 0:1 დ.დ.
ბუსკა–ნანტი 1:3 დ.დ.
საბლე–პონტივი 2:1 დ.დ.
ლონგვენესი–კალე 1:3 დ.დ.
მანი–ქარვილი 0:1
მონბანარდე–მონდევილი 1:1 პენ. 3:1
ნუაი–ტრუა 0:2
ოლონი–ლოკმენი 2:7 დ.დ.
საბლე სურ სარტი–ლე პუარი 4:2
სარლა–მონ დე მარსანი 0:2
სტ. მალო–გინგამი 1:2
იტრასი–შატორუ 0:4
ალე–მონაკო 0:5
კომპეინი–გაიშა 9:0
დომერა–დესინე 1:1 პენ. 3:4
ბრივე–ლუზენაკი 0:0 პენ. 4:2
სესონი–ვიტრი 2:3 დ.დ.
გიერესი–გუკო აიჩო 2:9
ლეტრა–გრენობლი 0:6
ტარბი–ნიორი 1:4
ტრელისა–ბალმა 3:1
მაკონე–სედანი 0:1
ვერდუნი–სტრასბური 0:2 დ.დ.
ვალანსი–არლი 2:0 დ.დ.
რასინგი 96–ლუანი 0:3
ნაზორიანი–პრი ლე მეზიერი 1:3
ორნანი–კრეტეი 0:4
რაშე–ტიერი 1:3
სტ. ვიტი–დინშაიმი 2:1 დ.დ.
იუტცი–პარიზი 0:3
ერი–მარკსი 0:1
პლუინეკი–ლე მანი 0:3
ავრილი–ვენდე 0:8
შაორეი–შერბური 2:3
დრანსი–სეზანი 3:0
ევრი–მულენი 2:0
ფეიტია–ორლეანი 0:2
ლა ფლეში–ლიმოჟი 1:2
ლა მოტე–ლა ტური 0:2
ლე პორტე–დიეპი 1:0
მარსელ ფელიქსი–უზე 0:1
რანე–ანჟერსი 1:2
ლარმორი–ლე ერბიე 0:2 დ.დ.
ტრეგუნი–არჯენტი 1:3
სარანი–ბრეტინი 3:2
ვილერსი–ლა შაპელი 2:0
ანესი–ლიონ ლა დუშერი 1:4
ოში–ბეიონი 0:1
გრაველინი–დევილი 3:0
ივრი–ბელიმუა 4:2
ტამპონეზი–ამნევილი 3:3 პენ. 4:2
ტეფანა–რედ სტარი 1:2
ევოლუკა–ავრანში 0:5
ოლნუა–შამბლი 1:1 პენ. 3:1
ბურჟე–კასტელნო 1:0 დ.დ.
კუნო–პერპინიანი 0:1
ლა გორგი–შანტილი 0:0 პენ. 1:2
ლე ლილა–ალფორტვილი 0:1 დ.დ.
მარსელ არჟივი–კალვი 0:0 პენ. 4:2

## კვიპროსი

X ტური

ანაგენისი–ანორთოსისი 0:2
აპოელ–ერმისი 2:0
აპოლონი–ალკი 5:1
აეკ–აელ 0:0
ნეა სალამისი–ენოსისი 1:1
ეთნიკოსი–ომონია 0:1
ოლიმპიაკოსი–არისი დღეს

## უელსი

XVII ტური

ებერისტვითი–ეირბასი 1:2
აფან ლიდო–ნიუ საინტსი 3:1
ბანგორი–კარმარტენი 4:0
პრესტატინი–პორტ ტელბოტი 2:1
ლანელი–ბალა 3:1
ნითი–ნიუთაუნი 5:0

## ჩრ. ირლანდია

XVII ტური

კერიკი–კოლრეინი 0:2
ბალიმენა–კლიფტონვილი 3:7
კრუზეიდერსი–ლისბურნი 1:1
დონეგალი–ლინფილდი 1:5
დუნგანონი–პორტდაუნი 0:3
გლენტორანი–გლენავონი 2:0

## დანია

XVI ტური

ჰორსენსი–ოდენსე 0:1
ბრონდბიუ–კოპენჰაგენი 2:1
ნორდსილანდი–სონდერიისკი 2:0
ლუნგბიუ–კიოგე 2:2
მიდტიულანდი–ოლბორგი 1:3
აგფ ორჰუსი–სილკებორგი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 16 | 11 | 2 | 3 | 29-15 | 35 |
| 2. ნორდსილანდ | 16 | 10 | 1 | 5 | 23-12 | 31 |
| 3. ოლბორგი | 16 | 7 | 5 | 4 | 25-19 | 26 |
| 4. მიდტიულანდ | 16 | 8 | 2 | 6 | 24-24 | 26 |
| 5. აგფ ორჰუსი | 15 | 6 | 7 | 2 | 22-14 | 25 |
| 6. ჰორსენსი | 16 | 6 | 5 | 5 | 27-21 | 23 |
| 7. ოდენსე | 16 | 6 | 4 | 6 | 26-27 | 22 |
| 8. სილკებორგი | 15 | 5 | 5 | 5 | 21-21 | 20 |
| 9. სონდერიისკი | 16 | 4 | 6 | 6 | 18-23 | 18 |
| 10. ბრონდბიუ | 16 | 4 | 5 | 7 | 19-21 | 17 |
| 11. ლუნგბიუ | 16 | 3 | 3 | 10 | 15-28 | 12 |
| 12. კიოგე | 16 | 1 | 3 | 12 | 14-38 | 6 |

## საბერძნეთი

X ტური

აეკ–ასტერასი 2:0
კერკირა–ერგოტელისი 2:1
ოლიმპიაკოსი–პანათინაიკოსი 1:1
ატრომიტოსი–ლევადია 1:1
დოქსა–პანიონიოსი 0:0
ოფი–არისი 0:1
იანინა–ქსანტი 0:2
პაოკ–პანაიტოლიკოსი 3:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოს | 8 | 6 | 2 | 0 | 20-8 | 20 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 8 | 5 | 3 | 0 | 17-10 | 18 |
| 3. ატრომიტოსი | 9 | 4 | 5 | 0 | 11-7 | 17 |
| 4. აეკ | 9 | 5 | 1 | 3 | 15-13 | 16 |
| 5. პაოკ | 10 | 4 | 2 | 4 | 13-10 | 14 |
| 6. ოფი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-9 | 12 |
| 7. პანაიტოლიკოს | 8 | 3 | 2 | 3 | 9-10 | 11 |
| 8. ქსანტი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-14 | 11 |
| 9. პანიონიოსი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-13 | 9 |
| 10. ერგოტელისი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-15 | 9 |
| 11. იანინა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 12. არისი | 8 | 1 | 4 | 3 | 5-9 | 7 |
| 13. ასტერასი | 8 | 1 | 3 | 4 | 3-9 | 6 |
| 14. კერკირა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-14 | 5 |
| 15. ლევადია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 16. დოქსა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |

### II დივიზიონი

III ტური

ვიცასი-ეთნიკოსი (ა) 0:2; პანსერაიკოსი-ანაგენსი (ე) 3:1; ირაკლისი (პ)-ანაგენისი (ი) 1:2; პანთრაკიკოსი-კალითეა 3:0; პიერიკოსი-პანაჰაიკი 2:0; კალონი-აგროტიკოსი 0:0; დიაგორასი-ფოკიკოსი 2:2; პლატანიასი-ტრასივულოსი 2:0; ვერიალარისა 0:3.

## ნორვეგია

XXIX ტური

ბრანი–ლილესტრიომი 2:0
ფრედრიკსტადი–ოლესუნდი 3:1
მიოლდე–სარპსბორგი 3:1
ოდ გრენლანდი–სიოგნდალი 1:0
სტაბეკი–ჰაუგესუნდი 1:2
სტრიომსგოდსეტი–ვოლერენგა 2:1
ტრომსიო–რუსენბორგი 3:1
ვიკინგი–სტარტი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიოლდე | 29 | 17 | 7 | 5 | 53-36 | 58 |
| 2. ტრომსიო | 29 | 14 | 8 | 7 | 50-33 | 50 |
| 3. ბრანი | 29 | 14 | 6 | 9 | 50-46 | 48 |
| 4. ოდ გრენლანდ | 29 | 14 | 6 | 9 | 42-41 | 48 |
| 5. რუსენბორგი | 29 | 13 | 7 | 9 | 66-42 | 46 |
| 6. სტრიომსგოდ | 29 | 12 | 9 | 8 | 43-38 | 45 |
| 7. ჰაუგესუნდი | 29 | 13 | 5 | 11 | 50-42 | 44 |
| 8. ვოლერენგა | 29 | 13 | 5 | 11 | 40-33 | 44 |
| 9. ოლესუნდი | 29 | 11 | 7 | 11 | 33-37 | 40 |
| 10. სტაბეკი | 29 | 11 | 6 | 12 | 44-48 | 39 |
| 11. ვიკინგი | 29 | 9 | 10 | 10 | 31-37 | 37 |
| 12. ფრედრიკსტ | 29 | 10 | 5 | 14 | 38-41 | 35 |
| 13. ლილესტრიომ | 29 | 9 | 6 | 14 | 46-52 | 33 |
| 14. სიოგნდალი | 29 | 7 | 10 | 12 | 22-30 | 31 |
| 15. სტარტი | 29 | 7 | 5 | 17 | 38-55 | 26 |
| 16. სარპსბორგი | 29 | 4 | 6 | 19 | 28-63 | 18 |

## შვეიცარია

XVI ტური

ბაზელი–იანგ ბოიზი 1:0
თუნი–სერვეტი 3:0
ლუცერნი–გრასჰოპერსი 2:1
სიონი–ქსამაქსი 2:0
ციურიხი–ლოზანა 4:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 16 | 10 | 4 | 2 | 36-16 | 34 |
| 2. ლუცერნი | 16 | 9 | 4 | 3 | 24-12 | 31 |
| 3. სიონი | 16 | 9 | 2 | 5 | 24-15 | 29 |
| 4. იანგ ბოიზი | 16 | 7 | 4 | 5 | 24-15 | 25 |
| 5. თუნი | 16 | 6 | 4 | 6 | 20-19 | 22 |
| 6. ქსამაქსი | 16 | 6 | 4 | 6 | 18-20 | 22 |
| 7. სერვეტი | 16 | 6 | 3 | 7 | 23-27 | 21 |
| 8. ციურიხი | 16 | 5 | 2 | 9 | 24-25 | 17 |
| 9. გრასჰოპერსი | 16 | 5 | 1 | 10 | 17-34 | 16 |
| 10. ლოზანა | 16 | 2 | 2 | 12 | 13-40 | 8 |

### ჩელენჯლიგა

XIII ტური

ბრიული-ბილი 1:4; ეტუალ კარუჟივოლენი 1:3; ბელინცონა-ვადუცი 2:1; კიასო-ლუგანო 1:1; ვინტერტური-დელემონი 0:0; ნიონე-კრინსი 3:0; ვილი-ლოკარნო 1:2; არაუ-სტ. გალენი დღეს.

## ავსტრალია

VII ტური

ველინგტონი–ადელაიდა 1:1
ნიუკასლი–ბრისბენი 1:2
სიდნეი–სენტრალ კოუსტი 2:3
მელბურნ ჰ–პერტი 2:2

## თურქეთი

### II დივიზიონი

XI ტური

გირესუნი–კონია 0:0
გაზიანთეფი ბბ–ერჩიესი 1:3
საქარია–ქარსიაკა 1:1
ახისარი–თავსანლი 1:0
ბოლუ–ბუკა 0:0
გიონგურენი–ქართალი 0:0
ადანა–ქასიმფაშა 0:0
რიზე–დენიზლი 3:1
გიოზთეფე–ელაზიგი დღეს

## ბელარუსი

XVI ტური

ბატე–დნეპრი 1:2
ბელშინა–შახტიორი 0:2
მინსკი–დინამო (ბრ) 1:1
ვიტებსკი–ნემანი 2:3
გომელი–დინამო (მნ) 2:1
ტორპედო–ნაფტანი 3:1

## ბოსნია

XIII ტური

სელიკი–გაბელა 2:0
ველეჟი–სლობოდა 3:0
რუდარი–ტრავნიკი 4:0
სლავია–ბორაცი 0:2
სარაევო–ზვიეზდა 3:2
კოზარა–ჟელეზნიჩარი 0:2
ლეოტარი–ოლიმპიკი 0:1
შიროკი ბრიეგი–ზრინსკი 1:1

## ბულგარეთი

XII ტური

ბოტევი–ბეროე 1:1
ჩერნო მორე–სვეტკავიცა 1:0
მონტანა–სლავია 1:2
ლუდოგორეცი–კალიაკრა 2:0
ლევსკი–ვიდიმა 2:1
ლოკომოტივი (ს)–ჩერნომორეცი 0:4
მინიორი–ლოკომოტივი (პ) 0:0
ლიტექსი–ცსკა 0:2

## ხორვატია

XV ტური

ზაგრები–ციბალია 1:1
სპლიტი–დინამო 0:3
შიბენიკი–ლუჩკო 1:1
ისტრა–სლავენი 2:1
ზადარი–ოსიეკი 2:1
ვარაჟდინი–ინტერი 3:2
ლოკომოტივა–ჰაიდუკი 1:0
რიეკა–კარლოვაცი გადაიდო

## ჩეხეთი

XIV ტური

იაბლონეცი–სიგმა 2:0
დუკლა–ტეპლიცე 0:0
სლოვაცკო–ლიბერეცი 1:2
პლზენი–ბოლესლავი 3:2
ბუდეიოვიცე–ვიქტორია 1:0
ჰრადეცი–სლავია 1:1
ბანიკი–პრშიბრამი 0:2
ბოჰემიანსი 1905–სპარტა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 13 | 11 | 0 | 2 | 25-10 | 33 |
| 2. ლიბერეცი | 14 | 9 | 3 | 2 | 33-16 | 30 |
| 3. პლზენი | 14 | 8 | 3 | 3 | 33-19 | 27 |
| 4. იაბლონეცი | 14 | 8 | 2 | 4 | 34-12 | 26 |
| 5. ბოლესლავი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-15 | 25 |
| 6. პრშიბრამი | 14 | 7 | 0 | 7 | 24-26 | 21 |
| 7. ტეპლიცე | 14 | 6 | 3 | 5 | 14-16 | 21 |
| 8. დუკლა | 14 | 5 | 4 | 5 | 18-17 | 19 |
| 9. სლავია | 14 | 5 | 4 | 5 | 14-17 | 19 |
| 10. ბოჰემიანსი | 13 | 5 | 4 | 4 | 11-17 | 19 |
| 11. სლოვაცკო | 14 | 5 | 2 | 7 | 14-18 | 17 |
| 12. ჰრადეცი | 14 | 3 | 4 | 7 | 8-18 | 13 |
| 13. ბუდეიოვიცე | 14 | 2 | 4 | 8 | 13-27 | 10 |
| 14. ბანიკი | 14 | 2 | 2 | 10 | 12-27 | 8 |
| 15. ვიქტორია | 14 | 2 | 1 | 11 | 9-28 | 7 |
| 16. სიგმა | 14 | 3 | 6 | 5 | 15-18 | 6 |

### II დივიზიონი

XVI ტური

იჰლავა-სეზიმოვო 4:0; სოკოლოვი-ჩასლავი 3:1; სპარტა II-უსტი 0:1; კარვინა-ბოჰემიანსი 2:0; ოპავა-ბრნო 1:4; ზლინი-ვლაშიმი 2:1; მოსტი-ზნოიმო 0:0; სლოვანი-ტრშინეცი 1:0.

## უნგრეთი

XVI ტური

ლომბარდ პაპა–უიპეშტი 0:1
ფეჰერვარი–შიოფოკი 7:0
ჰალადაში–პეჩი 0:0
კეჩკემეტი–პაკში 0:1
ზალაეგერსეგი–დიოშდიორი 1:1
დიორი–ჰონვედი 1:3
ვაშაში–დებრეცენი 0:0
ფერენცვაროში–კაპოშვარი 0:0

## ისრაელი

XI ტური

ბნეი იეჰუდა–ირონი (ქ–შ) 0:1
ჰაპოელი (ა)–მაკაბი (თ–ა) 3:0
ჰაპოელი (ბ–შ)–მაკაბი (ფ–თ) 0:0
ჰაპოელი (ჰ)–ბნეი სახნინი 1:2
ჰაპოელი (ფ–თ)–აშდოდი 0:1
მაკაბი (ნ)–ირონი (რ–ლ) 6:2
ჰაპოელი (თ–ა)–ირონი (რ–ჰ) 0:0

## ესტონეთი

### პლეი ოფი

კურესაარე–ინფონეტი 4:1

## მოლდოვა

XV ტური

კოსტულენი–ოლიმპია 0:0
ცსკა–ნისტრუ 0:0
სფინტული–დაჩია 0:6
ისკრა–შერიფი 1:2
ზიმბრუ–მილსამი 2:0
ტირასპოლი–აკადემია 0:0

## პოლონეთი

XIV ტური

ზაგლებე–პოლონია 1:0
იაგელონია–შლიონსკი 0:2
ბელხატოვი–ლკს 3:0
რუხი–კრაკოვია 2:0
ლეგია–ლეხია 3:0
ვიძევი–კორონა 0:0
ვისლა–გურნიკი 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შლიონსკი | 14 | 10 | 1 | 3 | 27-11 | 31 |
| 2. ლეგია | 13 | 8 | 2 | 3 | 22-9 | 26 |
| 3. რუხი | 14 | 8 | 1 | 5 | 21-15 | 25 |
| 4. პოლონია | 14 | 6 | 4 | 4 | 13-13 | 22 |
| 5. ლეხი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-9 | 21 |
| 6. ვისლა | 14 | 6 | 3 | 5 | 14-12 | 21 |
| 7. კორონა | 14 | 5 | 6 | 3 | 16-15 | 21 |
| 8. ვიძევი | 14 | 4 | 7 | 3 | 11-11 | 19 |
| 9. იაგელონია | 14 | 5 | 3 | 6 | 18-24 | 18 |
| 10. გურნიკი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-16 | 17 |
| 11. პოდბესკიძე | 13 | 4 | 4 | 5 | 11-17 | 16 |
| 12. ბელხატოვი | 14 | 4 | 3 | 7 | 18-16 | 15 |
| 13. ლეხია | 14 | 3 | 5 | 6 | 6-11 | 14 |
| 14. ლკს | 14 | 4 | 2 | 8 | 10-27 | 14 |
| 15. ზაგლებე | 13 | 3 | 4 | 6 | 12-18 | 13 |
| 16. კრაკოვია | 14 | 2 | 3 | 9 | 7-18 | 9 |

## რუმინეთი

XIV ტური

პეტროლული–ტარგუ 0:1
ოცელული–სპორტული 1:0
ბრაშოვი–მიოვენი 4:0
დინამო–ვოინტა 1:0
კლუჟი–უნივერსიტატეა 3:1
ვასლუი–პანდური 3:2
ჩახლაული–სტიაუა 1:0
რაპიდი–გაზ მეთანი დღეს
კონკორდია–ასტრა დღეს

## რუსეთი

XXXI ტური

### საჩემპიონო ზონა

ზენიტი–ანჟი 0:0
ცსკა–რუბინი 1:2
დინამო–ყუბანი 2:1
სპარტაკი–ლოკომოტივი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 31 | 17 | 11 | 3 | 59-25 | 62 |
| 2. ცსკა | 31 | 16 | 11 | 4 | 59-31 | 59 |
| 3. დინამო | 31 | 17 | 7 | 7 | 53-31 | 58 |
| 4. სპარტაკი | 31 | 16 | 8 | 7 | 50-33 | 56 |
| 5. ლოკომოტივი | 31 | 15 | 8 | 8 | 49-32 | 53 |
| 6. რუბინი | 31 | 14 | 10 | 7 | 42-28 | 52 |
| 7. ყუბანი | 31 | 14 | 7 | 10 | 39-29 | 49 |
| 8. ანჟი | 31 | 13 | 10 | 8 | 38-32 | 49 |

### გასავარდნი ზონა

ვოლგა–ამკარი 1:2
ტერეკი–კრილია 0:0
კრასნოდარი–ნალჩიკი 3:2
როსტოვი–ტომი 3:1

## სერბეთი

XII ტური

სევოინო–მეტალაკი 4:1
სპარტაკი–იავორი 1:0
იაგოდინა–ცრვენა ზვეზდა 1:3
ოფკ–რადნიჩკი 1:3
პარტიზანი–ბორაცი 5:1
ვოივოდინა–სმედერევო 2:0
ჰაიდუკი–ბასკ 1:0
რადი–ბორჩა 1:1

## სლოვენია

XVIII ტური

ტრიგლავი–გორიცა 0:2
დომჟალე–ოლიმპია 0:1
მარიბორი–კოპერი 2:1
რუდარი–ნაფტა 2:4
მურა–სელიე 4:0

## უკრაინა

XVII ტური

ილიჩევეცი–არსენალი 0:0
ტავრია–ვოლინი 1:0
შახტარი–მეტალურგი 2:0
დნიპრო–კრივბასი 0:2
ჩერნომორეცი–კარპატი 2:2
ვორსკლა–ობოლონი 0:1
ზორია–მეტალისტი 1:5
დინამო–ოლექსანდრია 4:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 17 | 13 | 4 | 0 | 38-8 | 43 |
| 2. შახტარი | 17 | 13 | 3 | 1 | 40-12 | 42 |
| 3. მეტალისტი | 17 | 11 | 5 | 1 | 30-14 | 38 |
| 4. არსენალი | 17 | 7 | 6 | 4 | 21-11 | 27 |
| 5. დნიპრო | 17 | 8 | 3 | 6 | 26-21 | 27 |
| 6. კრივბასი | 17 | 7 | 4 | 6 | 14-14 | 25 |
| 7. ტავრია | 17 | 6 | 6 | 5 | 22-20 | 24 |
| 8. ვორსკლა | 17 | 6 | 5 | 6 | 21-20 | 23 |
| 9. მეტალურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 16-18 | 23 |
| 10. ვოლინი | 17 | 5 | 4 | 8 | 16-25 | 19 |
| 11. ჩერნომორეცი | 17 | 4 | 6 | 7 | 15-22 | 18 |
| 12. ილიჩევეცი | 17 | 4 | 5 | 8 | 16-26 | 17 |
| 13. კარპატი | 17 | 3 | 6 | 8 | 16-23 | 15 |
| 14. ზორია | 17 | 3 | 3 | 11 | 14-34 | 12 |
| 15. ოლექსანდრია | 17 | 2 | 5 | 10 | 14-32 | 11 |
| 16. ობოლონი | 17 | 1 | 5 | 11 | 7-26 | 8 |

XIII ტური

აზალ–კეფაზი 2:0
სიმურღი–სუმგაიტი 1:0
ხაზარი–რავანი 1:1
ქაბალა–ნეფთჩი 1:0
ბაქუ–თურანი 5:0
ინტერი–ყარაბახი 0:0

## არგენტინა

XV ტური

ნიუელსი–ტიგრე 0:1
სან მარტინი–ოლ ბოისი 0:0
არგ. ხუნიორსი–გოდოი 1:0
ინდეპენდიენტე–ოლიმპო 3:0
ბელგრანო–ველესი 1:3
სან ლორენსო–უნიონი 0:1
ბოკა–რასინგი გვ. დასრულდა
კოლონი–ატლ. რაფაელ გვ. დასრულდა
ესტუდიანტესი–ბანფილდ გვ. დასრულდა

## ბრაზილია

XXXVI ტური

გრემიო–სეარა 1:3
სან პაულუ–ამერიკა 3:1
ვასკო–ავაი 2:0
ატ. გოიანენსე–ფლამენგო 0:0
ბოტაფოგო–ინტერნასიონალი 1:2
კორინთიანსი–ატ. მინეირო 2:1
კრუზეირო–ატ. პარანაენსე 1:1
ბაია–პალმეირასი გვ. დასრულდა
კორიტიბა–სანტოსი გვ. დასრულდა
ფიგეირენსე–ფლუმინენსე გვ. დასრულდა

## ჩილე

XVI ტური

უაჩიპატო–პალესტინო 0:1
დეპორტესი–კოლო კოლო 1:1
ს. მორნინგი–უნ. კონსეპსიონი 0:3
ს. უონდერერსი–ო'ჰიგინსი 1:0
ლა სერენა–კობრელოა 2:1
სან ფელიპე–კობრესალი 1:1
უნ. ესპანიოლა–აუდაქსი 5:2
უნ. დე ჩილე–უნ. კატოლიკა 0:0

## კოლუმბია

XV ტური

იტაგუი–დეპ. პერეირა 1:0
ონსე კალდასი–კუკუტა 5:0
მილიონარიოსი–ამერიკა დე კალი 2:0
ინდეპენდიენტე–ატ. უილა 3:2
რეალ კარტახენა–ლა ეკვიდადი 2:1
დეპ. კალი–სანტა ფე გვ. დასრულდა
ტოლიმა–ენვიგადო გვ. დასრულდა
ჩიკო–ატ. ხუნიორი გვ. დასრულდა
დ. კინდიო–ა. ნასიონალ გვ. დასრულდა

## ეკვადორი

XVIII ტური

ლიგა დე ლოხა–ინდეპენდიენტე 1:2
ელ ნასიონალი–იმბაბურა 5:1
დეპ. კუენკა–ოლმედო 1:1
ბარსელონა–ემელეკი 2:0
მანტა–ლდუ დე კიტო 0:0
ესპოლი–დეპ. კიტო 1:2

## პარაგვაი

XVI ტური

ინდეპენდიენტე–ნასიონალი 3:1
რუბიო ნუ–ლიბერტადი 0:2
სერო პორტენიო–ოლიმპია 0:0
ლუკენიო–ტაკუარი 2:2
სოლ დე ამერიკა–გუარანი 2:1
ხენერალი–3 დე ფებრერო 3:7

## პერუ

XXVIII ტური

სენსიანო–კოლეგიო 1:2
დეპორტივო–უნ. პერუ 1:1
ალ. ლიმა–სპორტი 0:2
კომერსიო–სესარ ვალიეხო 5:2
ინტი გასი–ხუან აურიჩი 0:0
კრისტალი–სან მარტინი გვ. დასრულდა
სპორტ ბოისი–მელგარი გვ. დასრულდა
ალ. ატლეტიკო–ლეონი დღეს

## ურუგვაი

XII ტური

დანუბიო–სერო 1:0
დეფენსორი–ბელა ვისტა 2:1
ელ ტანკე–რივერ პლეიტი 1:1
მონტევიდეო–სერიტო 3:1
რასინგი–სერო ლარგო 1:3
ფენიქსი–ლივერპული 1:2
ნასიონალი–პენიაროლი 2:1
რამპლა–რენტისტასი 4:0

## მექსიკა

### პლეი ოფი

კერეტარო–გვადალახარა 2:1
მორელია–კრუს ასული 2:1

## იაპონია

XXXII ტური

ნიიგატა–გამბა 2:2
ივატა–კოფუ 2:1
ჰიროშიმა–კავასაკი 2:3
ურავა–ვეგალტა 0:0
იოკოჰამა–ნაგოია 1:2
ომია–კაშიმა 1:1
იამაგატა–ფუკუოკა 0:5
შიმიცუ–კაშივა 1:2
სერეზო–კობე 0:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ამსტერდამის დიდი პრიზი

# სულ ეს ვართ...

## დიდი პრიზის შედეგები კვლავ დიდი დაფიქრებისკენ გვიბიძგებს




ამსტერდამში შაბათი ჩვენთვის ძირითადად მაინც წარმატებული გამოდგა - **ამირან პაპინაშვილმა** (60) ვერცხლი მოიპოვა, დებიუტანტმა **ლაშა შავდათუაშვილმა** (66) ერთი შეხვედრა მოიგო და, გარდა იმისა, რომ სალიცენზიო რეიტინგში პირადი ანგარიში გახსნა, ამ „აქილევსის ქუსლად" ქცეულ წონაში საკმაო იმედები გაგვიჩინა, ხოლო **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) მეოთხედფინალში გავიდა, ანუ მეხუთე ადგილი და 40 სალიცენზიო ქულა მოიპოვა, რითაც რეიტინგში მდგომარეობა ცოტათი გაიუმჯობესა და სალიცენზიო 22-კაციან ზონას კიდევ უფრო მიუახლოვდა. თუმცა ამ მშრალი ფაქტების მიღმა ძალიან კარგი ჭიდაობა და ძლიერ მეტოქეებთან ძლევამოსილი მოგებები იმალება - პაპინაშვილმა წლეულს უკვე მესამედ დაამარცხა ფინელი **ვალტერ იოკინენი**, მეორედ - ფრანგი ევროპის ჩემპიონი **სოფიენ მილუ** და ძლიერი მონღოლი **ბოლდბაატარ ჩიმედ-იონდონი**, ტატალაშვილმა რუს **მურად კოძოკოვსა** და გერმანელ **კრისტოფერ ვიოლეკს** აულო რევანში...

პაპინაშვილი ამ ეტაპისთვის ძალიან კარგ ფორმაშია - ფიზიკურადაც, ტექნიკურადაც, ტატამზეც აზრიანად ირჯება... მან ამსტერდამში ფინალამდე ოთხივე შეხვედრა იპონით მოიგო. თან ისეთ მეტოქეებთან, სტატისტიკა რომ არა, პირველივე წრეში დომინიკელ **ვანდერ მატეოსთან** წმინდა გამარჯვება სახსენებელიც არაა. ჩვენებურს დიდი წინააღმდეგობა ვერც იოკინენმა გაუწია, ფრანგი და მონღოლი კი მის ფონზე კიდევ უფრო უსუსურები გამოჩნდნენ. მილუს პაპინაშვილმა ევროპის ჩემპიონატზეც მოუგო, ახლა კი ორი ვაზარი და შუალედში იუკო აულო. თან სამივე შემთხვევაში ილეთი იმდენად იოლად შეასრულა, თითქოს ეზოში ბავშვებთან ღლაბუცობდა, ხოლო მონღოლი (ამას მაისში ბაქოს „დიდი პრიზის" ფინალში აჯობა) ქრესტომათიულ ბრუნზე გაისროლა. მისასალმებელია, ასე თავისუფლად რომ აკეთებს ქულებს, თუმცა ამსტერდამში მაინც მონღოლურ ბარიერთან წაიფორხილა - ფინალში **ტუმურკულეგ დავაადორჯთან** წააგო. არადა, იქაც ვაზარ-იუკოთი დაწინაურდა, მაგრამ ამან სიფრთხილეც მოუდუნა, ალბათ, შეტევის აზარტმაც გაიტაცა და ანგარიშის შენარჩუნების ნაცვლად ბოლო წუთზე ვაზარ-იპონი გაუშვა. ამ ვერცხლისთვის ჩვენებურმა 120 ქულა მიიღო. ამის გათვალისწინებით უკვე 788 ქულა გაუხდა, რითაც მსოფლიოს რეიტინგში რუს **ბესლან მუდრანოვს** გაუსწრო (ის მესამეზე გავიდა) და მეშვიდედან მეექვსეზე გადავიდა, ხოლო სალიცენზიო ჩათვლაში მეხუთეა - წინ მდგომთაგან რუსეთს და იაპონიას 2-2 კაცი ჰყავთ.

ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი შავდათუაშვილი პირველად ჭიდაობდა ამ რანგის შეჯიბრებაზე და უკრაინელ **სერგეი დრებოტს** იუკო-გაფრთხილებებით მოუგო. იგი პოლონელ **პაველ ზაგროდნიკთან** დამარცხდა, თუმცა სალიცენზიო რეიტინგში პირად ანგარიშს მაინც გახსნის - 24 ქულა დაერიცხება.

ტატალაშვილი ვოელკთან წლეულს დამარცხდა აბუ დაბის „დიდ პრიზზე", კოძოკოვთან - შარშან წააგო ტუნისში იმავე რანგის შეჯიბრებაზე, ახლა კი ორივეს ერთად გაუსწორა ანგარიში. გერმანელს გაფრთხილებებით მოუგო, რუსი კი ჩინებული მოგვერდით დააიპონა. თუმცა იქამდე ბეწვის ხიდზე იარა - ლამის მთელი შეხვედრა ორი გაფრთხილებით აგებდა, მაგრამ მსაჯმა ბოლო წუთზე რუსიც გააფრთხილა მეორედ და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა როგორც მერე გაირკვა, ეს არც ყოფილა მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენებურმა დამთავრებამდე 11 წამით ადრე მიითვალა იპონი. პირველ შეხვედრაში მან მონღოლი **ოლდბაიარ განბაატარი** დაჯაბნა, კოძოკოვთან მოგების შემდეგ კი ფრანგ ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორ **უგო ლეგრანთან** იუკოთი წააგო. მთლიანობაში საკმაოდ შემართებით იჭიდავა და ყველა შეხვედრაში წმინდა გდება თუ ვერ გააკეთა, მეტოქეების მიღებული გაფრთხილებები მის აქტიურობაზე ნამდვილად მეტყველებს.

შაბათს „ქართული ანსამბლიდან" ამოვარდნილი მხოლოდ **თენგიზ პაპოშვილი** (73) აღმოჩნდა - პირველ წრეში ქვედა წონიდან ამონაცვლებულ სერბ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **მილოშ მიიალკოვიჩს** გაფრთხილებებით მოუგო, მაგრამ მომდევნო შეხვედრა პოლონელ ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორ **კშიშტოფ ვილკომირსკისთან** ვაზარით დათმო.

ასპარეზობის ბოლო დღემ ჩვენი ძიუდოისტების ყულაბამ, ფაქტობრივად, დიდი ვერაფერი შემატა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ **ვარლამ ლიპარტელიანის** V ადგილსა და 40 სალიცენზიო ქულას.

გუშინ 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლიპარტელიანმა სტარტზე ყაზახ ალექსანდრ კოსაჩევს ვაზარით მოუგო, შემდეგ გერმანელი კრისტოფერ ლამბერტი 3 წუთში დაჯაბნა. მეოთხედფინალში კი რუს კირილ ვოპროსოვთან 4 წუთსა და 13 წამში იპონით დამარცხდა, არადა, შეხვედრას იუკოთი იგებდა.

**ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81 კგ) პირველ ორთაბრძოლაში სერბ მიროლიუბ ივეზიჩის ვაზარითა და იუკოთი აჯობა, ხოლო იტალიელ ფრანჩესკო ბრუერს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია - 3 წუთსა და 57 წამში დანებდა მეტოქეს.

100 კილოში საქართველოს ნაკრებს ორი მონაწილე ჰყავდა: ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ირაკლი ცირეკიძემ** ლატვიელი ვიქტორ რესკო მე-3 წუთზე კი ჩამოიცილა გზიდან, თუმცა თავად მასპინძელ ჰენკ ხროლს ვერ გასცდა - 3 წუთსა და 38 წამში იპონით წააგო. **ლევან ჟორჟოლიანი** პირველსავე წრეში დაემშვიდობა დიდი პრიზის გათამაშებას - ჰოლანდიელმა ბერენდ რუურდამ იუკოთი აჯობა.

მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ლაშა გუჯეჯიანი** პირველ წრეში თავისუფალი იყვნენ, მეორე კი ვერც ერთმა ვერ გადალახა - ხანჯალიაშვილი 57-ე წამზე დამარცხდა რუს ანდრეი ვოლკოვთან, ხოლო გუჯეჯიანმა პოლონელ იანუშ ვოინაროვიჩთან გონგამდე 45 წამით ადრე დათმო პაექრობა.

**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა დანელია**

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**60 კგ.** 1. ტუმურკულეგ დავაადორჯი (მონღოლეთი), **2. ამირან პაპინაშვილი (საქართველო)**, 3. ბოლდბაატარ ჩიმედ-იონდონი (მონღოლეთი), ბესლან მუდრანოვი (რუსეთი).

**66 კგ.** 1. როკ დრაკშიჩი (სლოვენია), 2. მიარაგშაა სანჯაასურენი, 3. ცაგანბაატარ ხაშბაატარი (ორივე - მონღოლეთი), ჯუნპეი მორიშიტა (იაპონია).

**73 კგ.** 1. დექს ელმონტი (ჰოლანდია), 2. მანსურ ისაევი (რუსეთი), 3. უგო ლეგრანი (საფრანგეთი), კიოში უემაცუ (ესპანეთი), **5. ნუგზარ ტატალაშვილი (საქართველო).**

**81 კგ.** 1. ალამ შმიტი (საფრანგეთი), 2. ალჯაზ სედეჯი (სლოვენია), 3.საფუან ატაფი (მაროკო), ივან ნიფონტოვი (რუსეთი).

**90 კგ.** 1. ტიაგო კამილო (ბრაზილია), 2. კირილ ვოპროსოვი (რუსეთი), 3. დავიდ ალარზა (ესპანეთი), მარკუს ნიმანი (შვედეთი)... **5. ვარლამ ლიპარტელიანი ( საქართველო).**

**100 კგ.** 1. ჰენკ ხროლი (ჰოლანდია), 2. მაქსიმ რაკოვი (ყაზახეთი), 3. რამადან დარვიში (ეგვიპტე), ორ სასონი (ისრაელი).

**მძიმე წონა.** 1. ანდრეას ტოლცერი (გერმანია), 2. მარიუს პასკევიჩიუსი (ლიტვა), 3. კაზუჰიკო ტაკანაში (იაპონია), ბარნა ბორი (უნგრეთი).

ჭადრაკი

# არაბიძის სამიდან სამი

ბრაზილიაში დაიწყო 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს მხოლოდ ორი წარმომადგენელი მონაწილეობს. თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა **მერი არაბიძემ** 18-წლიანებში ზედიზედ სამი პარტია მოიგო - ჯერ ემილი ტაგო (აშშ) და ირინა პეტროვა (უკრაინა) დაამარცხა, გუშინ მე-3 ტურში შავი ფიგურებით არგენტინელ აილენ მარტინეცს სძლია. გაიმარჯვა ტურნირის რეიტინგფავორიტმა ალინა კაშლინსკაიამაც - ვიეტნამელ თი კიმ ჰუნგ ვოს მოუგო. ფლავია კანკიო-ბელო (კუბა) - ნარმინ კაზიმოვა (აზერბაიჯანი) 0:1, მიტრა ნეჯაზიფური (ირანი) - ანია შულცი (გერმანია) 1:0, ლენა მილადინოვიჩი (სერბეთი) - ხაიალა აბდულა (აზერბაიჯანი) 0:1, აკშაია (ინდოეთი, - ალთანულზი ენხთუული (მონგოლეთი) 0:1.

ექვს მოჭადრაკეს 3-3 ქულა აქვს. მე-4 ტურში არაბიძე ნეჯაზიფურს შეხვდება, აბდულა - კაშლინსკაიას, კაზიმოვა - ენხტუულს.

**14-წლიანებში** ორჯერ იზეიმა გამარჯვება **ნინო ხომერიკმა.** სტარტზე მან მასპინძელ ობა ანა კლაუდია დე ოლივეირას გააჩერებინა საათი, მეორე ტურში კი მონგოლ საიხანჟაია განბაათარს აჯობა. გუშინ მესამე ტურში ირანელ საერთაშორისო ოსტატ სარასადათ ხადემალშარიეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დამარცხდა. მე-4 ტურში იგი შავებით პოლონელ ალექსანდრა დადელოს დაუპირისპირდება. ჩვენებურს თითო ქულით შვიდი თანატოლი უსწრებს.

## წუთშესვენება რუბიკონზე

**ხორვატიაში** სენიორ მოჭადრაკეთა 21-ე მსოფლიოს ჩემპიონატზე შაბათს მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა** სვეტლანა მედნიკოვა (რუსეთი) დაამარცხა და 4 ქულა მოაგროვა, თუმცა მე-2 ადგილს მაინც ვერ ასცდა, რადგან ლუდმილა საუნინამ (რუსეთი) სეით ტიფსეის (ინდოეთი) სძლია და 4,5 ქულას მოუყარა თავი. გაფრინდაშვილთან ქულებით გათანაბრება შეეძლოთ **ნინო მელაშვილს** ან **თამარ ხმიადაშვილს**, მაგრამ მათი დაპირისპირება მშვიდობიანად დამთავრდა. ასევე, დაზავდნენ ვალენტინა კოზლოვსკაია - ელენა ფატალიბეკოვა, რიმა ბილუნოვა-გალინა სტრუტინსკაია (ყველა - რუსეთი), ვალერია დოთანი (ისრაელი) - ნატალია ტიტორენკო (რუსეთი). ხოლო რუსმა ტატიანა ბოგუმილმა თანამემამულე ნატალია ჩირეიკინა დაამარცხა.

მამაკაცებში ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით პირველ-მეექვსე ადგილებს ნუხიმ რაჩკოვსკი (რუსეთი), დავორინ კომლიენოვიჩი, კრუნოსლავ ჰულაკი (ორივე - ხორვატია), ანატოლი ვაისერი (საფრანგეთი), ვლასტიმილ იანსა (ჩეხეთი) და იოზეფ რუკავინა (ხორვატია) ინაწილებენ.

მოჭადრაკეები გუშინ ისვენებდნენ. დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ:

#### ქალები

გაფრინდაშვილი - საუნინა, ფატალიბეკოვა - მედნიკოვა, ხმიადაშვილი - კოზლოვსკია, სტრუტინსკაია - ბოგუმილი, ტიფსეი - მელაშვილი.

#### კაცები

რუკავინა - ვაისერი, რაჩკოვსკი - ჰულაკი, იანსა - კომლიენოვიჩი, ჟელანინი - ტიმოშენკო, კოვაჩევიჩი - ვანი, პუშკოვი - შუბა, ჩერნოვი - ცებალო, კუინჯი - კლუნდტი.

**ვაჟა დანელია**

სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი



# 24-დან 4 გამარჯვება

კიუშუს ბაშომ ეკვატორი გადალახა და... ქართველების საშველი არაა - 4 გამარჯვება რვა დღის განმავლობაში ერთი სუმოისტისთვისაც არაა კარგი შედეგი, მით უფრო, ერთბაშად სამისთვის (24 შესაძლებლიდან მხოლოდ 4 მოგება!). შაბათს **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ნავსი გატეხა და პირველ მაეგაშირა **გოეიდოს** სძლია, თუმცა გუშინ გამარჯვებას მარცხი მიაყოლა. **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** და **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** კი უქმეებზე წააგეს. ბაშოს დაუმარცხებლად ორი რიკიში ლიდერობს, მონღოლი **ჰაკუჰო** და **კოტოშოგიკუ**.

#### VII დღე

ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), კოტოოშუ-**გაგამარუ** (უვატენაგე), კოტოშოგიკუ-არანი (იორიკირი), ბარუტო-კიოკუტენჰო (შიტატენაგე), ტოჩინოვაკა-ჰარუმაფუჯი (აბისეტაოში), კისენოსატო-ოკინოუმი (იორიკირი), კაკურიუ-ჰომაშო (ჰატაკიკომი), **ტოჩინოშინი**-გოეიდო (ჰიკიოტოში), ტაკეკაძე-ტოჩიოძანი (იორიკირი), მიაბიამა-კიტატაიკი (ჰატაკიკომი), ტოკიტენკუ-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), ამინიშიკი-ტაკაიასუ (უვატენაგე), ვაკაკოიუ-ტოიოჰიბიკი (ჰიკიოტოში), მიოგირიუ-**კოკაი** (იორიკირი), დაიდო-ფუჯიაზუმა (ცუკიოტოში), შოჰოზანი-საგაცუკასა (ოკურიდაში), ტამავაში-აოიამა (კოტენაგე), ასასეკირიუ-სადანოფუჯი (ჰიკიოტოში), კაისეიკიმურაიამა (ოშიდაში), ტაკარუფი-ცურუგიდაკე (იორიკირი).

#### VIII დღე

ჰაკუჰო-**გაგამარუ** (სუკუინაგე), კოტოშოგიკუ-კაკურიუ (უვატენაგე), ბარუტოარანი (ცურიდაში), ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), კისენოსატო-კოტოოშუ (ცუკიოტოში), ჰომაშო-გოეიდო (იორიტაოში), ოკინოუმი-ტოიონოშიმა (უვატენაგე), კიოკუტენჰო-ტოჩინოვაკა (იორიკირი), ტაკაიასუ-ტოჩიოზანი (ცუკიოტოში), ვაკაკოიუ-იოშიკაძე (იორიკირი), კიტატაიკი-**კოკაი** (უვატენაგე), მიაბიამა-ფუჯიაზუმა (ჰატაკიკომი), ტაკეკაძე-ამინიშიკი (ოშიდაში), ტოიოჰიბიკი-ტოკიტენკუ (იორიკირი), მიოგირიუ-ასასეკირიუ (ოშიდაში), სადანოფუჯი-საგაცუკასა (ცუკიდაში), შოჰოზანი-დაიდო (ოშიტაოში), ტამავაში-კიმურაიამა (ჰიკიოტოში), აოიამა-ტაკარაფუჯი (იორიკირი), კაისეი-ცურუგიდაკე (იორიკირი).

#### სატურნირო მდგომარეობა

**8-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოშოგიკუ (ოძეკი).

**7-1:** კისენოსატო (სეკივაკე), ტაკეკაძე (მაეგაშირა 7), ვაკაკოიუ (მ 9)... **2-6:** გაგამარუ (მ 3)... **1-7:** ტოჩინოშინი (მ 2), კოკაი (მ 10).

#### IX დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტოჩინოვაკა, ბარუტო-კაკურიუ, ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, კოტოოშუ-ტოჩიოძანი, კოტოშოგიკუ-კიტატაიკი, გოეიდო-ტოიონოშიმა, ჰომაშო-ოკინოუმი, **ტოჩინოშინი**-კიოკუტენჰო, **გაგამარუ**-არანი, იოშიკაძე-ტაკაიასუ, **კოკაი**-მიაბიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალში გააჩერეს

გასულ კვირაში ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელი თამაშობდა - **სოფიო შაფათავა** (280) პირველ ნომრად იყო განთესილი ეკერდრევილის (საფრანგეთი, 10 ათასი დოლარი) ტურნირში, მაგრამ ფავორიტობა ვერ გაამართლა. სოფიომ მეოთხედფინალში ფრანგ **ჟოზეფა ადამს** (915) კი მოუგო - 6:2, 3:6, 7:6 (2), მაგრამ ნახევარფინალში მე-4 ნომრად განთესილ უკრაინელ **მარინა ზანევსკასთან** (436) წააგო - 2:6, 6:2, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### საქართველოს XXI ჩემპიონატი. VI ტური



# 42!

**ლევან ფაცაცია** - 42, **ვასილ ბერუაშვილი** - 37, **ლარი ბლერი** - 29, **კეიონ კარტერი** - 27, **ნიკიცა სლიუკა** - 27. ესაა სუპერლიგის მეექვსე ტურის ყველაზე სასარგებლო კალათბურთელთა ხუთეული. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით სოხუმელი ფაცაცია 42-იან ნიშნულამდე ავიდა. ასეთი მაჩვენებელი მიმდინარე სუპერლიგაში პირველად დაფიქსირდა. ასე რომ, ფაცაცია ორგზის რეკოდსმენია - მის ანგარიშზეა ყველაზე მეტი ქულა (40, მეხუთე ტურში, ბათუმში მიითვალა) და ყველაზე მაღალი მქკ (42).

ამიტომ ჟურნალისტებს დიდი ბჭობა არ დაგვჭირვებია ტურის საუკეთესო კალათბურთელის გამოსავლენად. მით უმეტეს, რომ ფაცაციას „სოხუმმა“ ერთი შეხედვით თანაბარი ძალის თსუ-ს 21 ქულის სხვაობით სძლია - 102:81.

ტურის მოულოდნელობა შეიძლება დავარქვათ შსს-ს ქუთაისში გამარჯვებას (რაზეც პარასკევს მოგითხრეთ), თუმცა ჩემპიონატის შსს-ელი დებიუტანტები ბლერი და **სმიტი**, იმდენად მაღალი კლასისანი გამოდგნენ, რომ ძალოვნები წრის მეორე ადგილზე დასრულების („არმიას“ შემდეგ) ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად იქცნენ.

| ოლიმპი-სტუ | 101:85 |
|---|---|

28:17, 27:20, 25:29, 21:19

**ოლიმპი:** სლიუკა (25ქ), გულისაბედაშვილი (18ქ), სიგუა (1ქ); მ. ბერიშვილი (18ქ, 10მ), მილუტინოვიჩი (11ქ), ლ. მინაშვილი, ნანიტაშვილი (2ქ), თავართქილაძე (7ქ), მუმლაძე (8ქ), ჰოგერი (11ქ, 10მ), სულაბერიძე.

**სტუ:** ვ. ბერუაშვილი (30ქ), ძიძიგური (6ქ), ხანიაშვილი (11ქ), ჩაჩიბაია (17ქ), კობიძე (8ქ), ტეტელაშვილი (4ქ), თევზაძე, ჭოხონელიძე, მაჩალაძე (2ქ), ჯავახიშვილი, დეკანოიძე, ანთაძე (7ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი, მ. ანდღულაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე.

**ლაშა გამყრელიძის** არყოფნის მიუხედავად (ერთი მატჩით იყო დისკვალიფიცირებული) „ოლიმპს“ სტუ-სთან უპირატესობა მაინც ჰქონდა - გამოცდილება და სიმაღლე. მწვრთნელმა **გია კაზანჯიანმა** ორივე კარგად გამოიყენა. მისმა გუნდმა მოხსნებში 50:37 იმარჯვა, ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატებში გამოცდილმა ნიკიცა სლიუკამ კი 25 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელთა 101:85 გამარჯვება განაპირობა. ნიკიცას ანგარიშზე 8-დან 6 სამქულიანია.

სწორედ მისი დამსახურებაა, რომ შორეული ტყორცნების მიხედვით სტუ-მ „ოლიმპს“ ვერ აჯობა: 12:13. ტექნიკოსებში ამ კომპონენტში **ვასილ ბერუაშვილი** გამოირჩა, რომელმაც 11-დან 7 სამქულიანი ტყორცნა გამოიყენა. თუმცა ვასილი მხოლოდ შორეული სროლების რეალიზებით როდი იყო დაკავებული. მის ანგარიშზე 30 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი, 6 ჩაჭრა, 3 დაფარებაა.

მოკლედ, **ზურაბ ტომარაძის** ახალგაზრდულმა სტუ-მ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა.

| არმია-სამედიცინო | 99:85 |
|---|---|

31:25, 16:23, 28:14, 24:23

**არმია:** გეინსი (16ქ), დიასი (19ქ), ბაბიაშვილი (8ქ), რიჩარდსონი (20ქ), ტომასი (13ქ, 12მ), ბოისა (5ქ), კვიმსაძე (2ქ), შელბომი (11ქ), საყვარელიძე (5ქ).

**სამედიცინო:** სამოილოვიჩი (11ქ), ტომარაძე (9ქ), ჭოჭუა (18ქ), პირველაშვილი (12ქ), ბექაური (8ქ, 10მ), ჩიკვილაძე (12ქ), ყველაშვილი (6ქ), აბაიშვილი, შვანგირაძე (9ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე, ს. საინერისი

**კომისარი:** მ. რატიშვილი

სტუ-ზე ნათქვამს აღარ გავიმეორებთ „სამედიცინოსთან“ მიმართებაში, რომლის მწვრთნელმა **ნუგზარ კანდელაკმა** ახალგაზრდული გუნდი მოედანზე იმდენად მოტივირებული შეუშვა, რომ „არმიას“ მაღალი დონის ლეგიონერებს „მეხუთე სიჩქარის“ ჩართვა დასჭირდათ „მედიკოსთა“ დასამარცხებლად.

როცა მოედანზე **უილიამ ტომასი** იყო სტუდენტები ფარქვეშ შესვლას ერიდებოდნენ და სამქულიანებში ეძებდნენ ხეირს. საბოლოოდ არმიელებზე ორით მეტი შორეული ტყორცნა გამოიყენეს (12), თუმცა ვერც ეს მაჩვენებელი გახდა გადამწყვეტი...

მატჩის ბომბარდირი **ჯერემი რიჩარდსონი** გახდა - 20 ქულა ჩააგდო, ორმაგი დუბლი მიითვალა **უილიამ ტომასმა** (13 ქულა, 12 მოხსნა), **გილერმო დიასი** კი **სანდიატა გეინსის** არყოფნაში გამთამაშებლობას კისრულობდა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რაოდენ კარგად ეხერხება სლალომი, ხოლო კატაპულიტდან ნასროლივით მაღალი ტრაექტორიის ტყორცნების უმეტესობამ მიზანს მიაღწია - 19 ქულა მოაგროვა.

ნამატჩევს „არმიას“ მწვრთნელმა **კოტე ტულუშმა** აღნიშნა:

*- როგორც ყოველთვის, საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი არ ვარ, თუმცა მატჩი საინტერესო სანახავი გამოვიდა. მეტოქემ ბოლომდე იბრძოლა განსხვავებით წინა მატჩის მოწინააღმდეგისგან. ასე რომ, ევროჩელენჯზე ჰოლანდიურ „ლეიდენთან“ შეხვედრისთვის კარგი სპარინგი გამოგვივიდა.*



| დინამო-რუსთავი | 101:84 |
|---|---|

28:27, 20:15, 21:24, 32:18

**დინამო:** ბაქრაძე (17ქ), მარხვაშვილი (21ქ), სანაძე (17ქ), კარტერი (18ქ, 18მ), სუხიშვილი (4ქ), ს. ლეჟავა (9ქ), კეიდია (7ქ, 9მ), ალხანაიძე (3ქ), როდუმტა (5ქ).

**რუსთავი:** არწივიძე (7ქ, 10პ), მაჭავარიანი (13ქ), თვარაძე (3ქ), ხმელიძე (21ქ, 8მ), გუგავა (2ქ), გ. არაბული (2ქ), გ. ბერუაშვილი, ბააკაშვილი (3ქ), ჩაჩანიძე (15ქ), ჯ. არაბული (3ქ), კოპალიანი (15ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა, ი. ბერიშვილი

**კომისარი:** რ. ხომერიკი

მეხუთე ტურში „დინამომ“ შსს-ს სძლია და აუტსაიდერის სტატუსი საბოლოოდ ჩამოიცილა. შესაბამისად, „რუსთავთან“ თბილისურ მატჩში ფავორიტი სწორედ „დინამო“ იყო. ეს საბოლოო ანგარიშმაც დაადასტურა - 101:84 **დავით თორთლაძის** გუნდის სასარგებლოდ.

თუმცა ანგარიშმა არ მოგატყუოთ - თბილისელებს ნამდვილად გაუჭირდათ. მათ მეოთხე პერიოდში მოიპოვეს სოლიდური უპირატესობა (32:18), მანამდე კი ანგარიშში სხვაობა 10 ქულამდეც იშვიათად ადიოდა.

დილმელებს გამთამაშებელი **გიორგი მარხვაშვილი** გაუძლვათ, რომელმაც 21 ქულას მოუყარა თავი. მოხსნებში „დინამომ“ „რუსთავს“ 45:32 რომ აჯობა, უმთავრესად ახალწვეული **კეიონ კარტერის** დამსახურებაა, რომელმაც 18-18 ქულა-მოხსნა მიითვალა. საოცარია, მაგრამ კეიონმა ზედიზედ მეორე მატჩში მიითვალა 10 შეტევითი მოხსნა...

| თსუ-სოხუმი | 81:102 |
|---|---|

18:27, 13:27, 8:19, 42:29

**თსუ:** დ. ბერიშვილი (9ქ), ფანჩულიძე (6ქ), კოხრეიძე (6ქ, 8მ), მარკოიშვილი (2ქ), შერმადინი (7ქ), კორკოტაძე, ნინიაშვილი (21ქ, 8მ), ჩიტაშვილი (8ქ, 7პ), ხიზანიშვილი (4ქ), ზ. მაისურაძე (9ქ), ჩქარეული (9ქ).

**სოხუმი:** გაფრინდაშვილი (4ქ, 8პ), ფარლალავა (33ქ), ფაცაცია (29ქ, 17მ), კანკია, ათუაშვილი (4ქ), ბულიავა, როგავა (3ქ), ჩლაიძე (7ქ), სორდია (6ქ), ქადარია (10ქ), ჯანაშია (6ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე, მ. ანდღულაძე

**კომისარი:** რ. ხომერიკი

ტურის ბოლო შეხვედრაზე შესავალში მოგახსენეთ. ისიც გითხარით, რომ „სოხუმმა“ თსუ 102:81 დაამარცხა, რაც წინასწარ ძნელი სავარაუდო იყო. თუნდაც იმიტომ, რომ სტუდენტებმა წინა ტურში „არმიას“ ფიცხელი ბრძოლა გაუჩალეს და გახმაურებულ მატჩში 71:73 დამარცხდნენ.

იმის მიუხედავად, რომ სოხუმელთა რიგებში შუა სეზონში ძირეული ცვლილებები განხორციელდა, გუნდი „აკრეფილ სიჩქარეს არ უკლებს“ და თამაშს თამაშზე იგებს. **ვაჟა კვარაცხელიას** შეგირდთაგან თსუ-ს დამარცხებაში ყველამ თავისი წვლილი შეიტანა, მაგრამ ორი კალათბურთელი მაინც გამოირჩა: **ლაშა ფარლალავა** (33 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა) და ლევან ფაცაცია (29 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა). ლევანმა 9-დან 5 ორქულიანი და 10-დან 6 სამიანი გამოიყენა, რასაც ერთი საჯარიმო ნაუმატა.

მომდევნო ტურის ცენტრალურ მატჩში „სოხუმი“ „ქუთაისს“ უმასპინძლებს.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 6 | 5 | 1 | 546/440 | 11 |
| 2. არმია | 5 | 5 | 0 | 451/320 | 10 |
| 3. ქუთაისი | 6 | 4 | 2 | 495/455 | 10 |
| 4. ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 404/376 | 9 |
| 5. შსს | 6 | 3 | 3 | 514/515 | 9 |
| 6. სამედიცინო | 6 | 3 | 3 | 517/530 | 9 |
| 7. სტუ | 5 | 3 | 2 | 443/431 | 8 |
| 8. დინამო | 6 | 2 | 4 | 493/557 | 8 |
| 9. თსუ | 5 | 1 | 4 | 369/401 | 6 |
| 10. ბათუმი | 5 | 0 | 5 | 355/431 | 5 |
| 11. რუსთავი | 5 | 0 | 5 | 362/493 | 5 |

### ლეგიონერები



# შარლერუა ოოსტენდეს დაამარცხა, შენგელიას ცხრა-ცხრა

ბელგიის ჩემპიონატში წარმატებულ სვლას განაგრძობს „შარლერუა“. შაბათს **თორნიკე შენგელიას** თანაგუნდელებს მნიშვნელოვანი საშინაო მატჩი ჰქონდათ მეორეადგილოსან „ოოსტენდესთან“.

თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ „შარლერუამ“ იძალა და მეოთხე პერიოდის წინ 66:53 დაწინაურდა. ეს გამარჯვებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო, თუმცა ოოსტენდელები არ დანებდნენ, თამაშის შემოტრიალება სცადეს, მაგრამ საფინალო სირენამ „შარლერუას“ ხუთქულიანი გამარჯვება დააფიქსირა - 80:75.

თორნიკე შენგელიამ 25 წუთი ითამაშა და 9-9 ქულა-მოხსნა გაიფორმა, რასაც 2 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა. მატჩის ბომბარდირი მასპინძელი **დემონდ მალეტი** გახდა - 24 ქულა.

პირველადგილოსან „შარლერუას“ 7 მატჩში 6 მოგება აქვს. მეორე პოზიციაზე „ოოსტენდეა“ - 5 გამარჯვება.



# რომა სარდინიაში დაეცა

## მეტრეველის შვიდი

იტალიის ჩემპიონატში შაბათს ერთი მატჩი გაიმართა - **ნიკა მეტრეველის** „დინამო სასარიმ“ დედაქალაქელებს უმასპინძლა. ბევრისთვის მოულოდნელად სარდინიელებმა „რომას“ პირველივე პერიოდში 14-ქულიანი სხვაობით აჯობეს, დარჩენილი 30 წუთი ანგარიშის შენარჩუნებას მოანდომეს და საბოლოოდ 80:68 იმარჯვეს.

ქართველი ფორვარდი მატჩში **სტივენ ჰანტერის** ნაცვლად მოედანზე მე-7 წუთზე შევიდა, ჯერ ორქულიანი გამოიყენა, შემდეგ **ქუინტონ ჰოსლის** პასით ეფექტურად ჩატენა და „დინამოს“ 11-ქულიანი უპირატესობა დაუბევა (26:15).

მეტრეველმა მორიგი ორქულიანი რომ გამოიყენა (ზედ ერთი საჯარიმოც მიაყოლა), მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: 27-ე წუთზე სხვაობას სოლიდური სახე მისცა - 58:39.

ნიკამ 10 წუთი ითამაშა, 7 ქულა, 2 მოხსნა და ამდენივე დაფარება მოაგროვა. მის ანგარიშზე 5-დან 3 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმოა.

გამარჯვებაში ყველაზე დიდი, 17-ქულიანი წვლილი შეიტანა საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა - ქუინტონ ჰოსლიმ, რომელმაც 17 ქულა მოინაგრა.

მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **რომეო საკეტიმ** წინახაზელები შეაქო:

- სტივენ ჰანტერმა წინა ხაზში არსებული ვაკუუმი კარგად შეავსო. ნიკა მეტრეველი კი მნიშვნელოვანი ორქულიანებით დაგვეხმარა.

რომაელთა ძლევის შემდეგ „დინამო სასარის“ მოგება-წაგებათა რაოდენობა გაუთანაბრდა - 3-3.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

# გამაზული საჯარიმოების ფოიერვერკი

**ყოჩები-ლელო 9:5**

ყოჩები: (15-9) გარუჩავა, მახარაშვილი, მაისურაძე, ინაშვილი, გეგენავა, გაბუნია, ბეგაძე. (1-8) ესაკია (გოგეშვილი 43), მამუკაშვილი, ხოსიტაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, გრძელიშვილი (ცხვედიანი 41), მალალურაძე, ნიკოლეიშვილი.
ლ: ესაკია
სინბინი: გაბუნია
ლელო: (15-9) ყიასაშვილი, კოპაძე, თოდუა, ხუციშვილი, გუგავა, ხმალაძე (მჭედლიშვილი 74), კაჭარავა. (1-8) სანიკიძე, კვერნაძე, პატარაია, ჭეიშვილი, დ.დაუშვილი, სურგულაძე, კოლელიშვილი, ქოიავა.
ვს: ყიასაშვილი
მსაჯი: გ. ამირხანაშვილი

საქართველოს თასის გათამაშება დასასრულს მიუახლოვდა. „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე ნახევარფინალის განმეორებით შეხვედრაში თასის ამჟამინდელმა მფლობელმა „ლელომ“ 9:5 მოუგო „ყოჩებს“, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ფინალში გასასვლელად, რადგან პირველი მატჩი ხუთი ქულის სხვაობით 26:21 ჰქონდა წაგებული.

„ლელოსთვის“, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე ახალი მორაგბე გამოჩნდა, თამაში ცუდად დაიწყო. წინა მატჩისგან განსხვავებით, რომელიც ძლიერი ქარის თანხლებით წარიმართა, ამჯერად შესანიშნავი ამინდი იყო და წესით გუნდებს კარგად, ხარისხიანად უნდა ებურთავათ. „ყოჩებმა“ პირველივე წუთებზე შეუტიეს და მე-7 წუთზე ანგარიშიც გახსნეს.

ლელოელები მოედნის ცენტრში დაჯარიმდნენ. „ყოჩების“ მგეზავმა **გიგი გაბუნიამ** ბურთი აუტში გადაიტანა. მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში დერეფანი სუფთად მოიგეს, მოლი შეკრეს, მიაწვნენ და მიმართულების რამდენჯერმე ცვლილების შემდეგ ბურთი ჩათვლის მოედანში საფრანგეთიდან მობრუნებულმა, გამოცდილმა შერკინების ბურჯმა **სანდრო ესაკიამ** შეიტანა. გარემარბმა **შავლეგ მახარაშვილმა** ვერ გარდასახა - 5:0.

ამის შემდეგ, „ყოჩებმა“ მთელი მატჩის განმავლობაში მონაგარს ველარაფერი შემატა, არადა, რამდენჯერმე უალრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანეს საჯარიმოები. „ლელოს“ კარის დალაშქვრა ჯერ მახარაშვილმა სცადა, ის კიდევ ერთმა გარემარბმა **ირაკლი გეგენავამ** შეცვალა, ამასაც რომ არაფერი გამოუვიდა, ბედის ცდა გიგი გაბუნიამ გადაწყვიტა.

ეს კიდევ არაფერი, ანალოგიურად გაისარჯა „ლელოს“ დამრტყმელი **ირაკლი ყიასაშვილი**, რომელმაც ოთხი საჯარიმო ვერ გაიტანა. ყველივე ეს კი იმდენად კომიკური გახდა, რომ მაყურებლებმა ფსონების დადებაც კი დაიწყეს. არადა, თითქმის ყველა ხელსაყრელი პოზიციიდან ურტყამდა.


ბურთით რატი ხუციშვილი
ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო

ბოლოს „გამაზული“ საჯარიმოების ფოიერვერკი „ლელოს“ დაშავებული მგეზავის, **ლაშა ხმალაძის** ნაცვლად შესულმა **უჩა მჭედლიშვილმა** დააგვირგვინა. თამაშის დასრულებას ორი წუთიღა აკლდა, ლელოელები ყიასაშვილის მიერ გატანილი სამი საჯარიმოს წყალობით 9:5 იგებდნენ. „ყოჩები“ საკუთარი ლელოდან 35 მეტრში, კარის პირდაპირ დაჯარიმდნენ. საჯარიმოს დარტყმა, რომელიც ორი მატჩის ჯამში მოგებად ფასობდა, მჭედლიშვილმა ითავა. მაგრამ „ლელოს“ ქომაგთა სამწუხაროდ, მანაც ვერ გაიტანა.

ოთხქულიანი სხვაობით გამარჯვება კი, როგორც უკვე ვთქვით, საკმარისი არ იყო ფინალში გასასვლელად. „ყოჩებმა“ ნალდ ბრძოლაში დამსახურებულად მოიპოვეს საქართველოს თასის ფინალში თამაშის უფლება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ გუნდის მიერ ეროვნულ ჩემპიონატში დაკავებული ბოლო ადგილი არაკანონზომიერი იყო.

# არმია დუბლის მიჯნაზე

**არმია-აია 17:10**

არმია: (15-9) კობახიძე, ტუჩაშვილი, გაბროშვილი (გაგოშვილი 57), მჭედლიძე, შკინინი, ელიზბარაშვილი, სამხარაძე. (1-8) ქორიძე (კაკოვინი 59), მეკოკიშვილი, დონაძე (ნავროზაშვილი 54), ბიწაძე, ბუჯიაშვილი (ულენტი 47), თხილაიშვილი, კალმახელიძე, თავართქილაძე.
ლ,4ს: კობახიძე
სინბინი: თხილაიშვილი
აია: (15-9) ხამაშურიძე, გოგლიჩიძე (ბარაბაძე 53), ძნელაძე, ზვიადაძე, გოშაძე (ჩხიკვაძე 27), სინაურიძე, შარვაშიძე. (1-8) ჟვანია, მატკავა, ლომიძე (გურეშიძე 30), შალამბერიძე, ძაგნიძე (ჩიტეიშვილი 56), რევიშვილი, დგებუაძე (ცირეკიძე 60), თხელიძე.
ლ: შალამბერიძე. ს,გ: სინაურიძე
სინბინი: ხამაშურიძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტების დაპირისპირება თასის გათამაშების ნახევარფინალშიც გაგრძელდა და ამჯერადაც ორი მატჩის ჯამში გამარჯვება „არმიას“ დარჩა. სტუმრად ექვსი ქულით 18:12 გამარჯვების შემდეგ, განმეორებით შეხვედრაშიც შესანიშნავად ითამაშეს და ქუთაისის „აია“ 17:10 დაამარცხეს.

განმეორებით მატჩი „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე ქუთათურთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-5 წუთზე სტუმრებმა ლელო გაიტანეს. შერკინებიდან, რომელიც „არმიას“ ჩათვლის მოედნიდან 20 მეტრში დაინიშნა, ბურთი „აიას“ რვა ნომერმა **ლევან თხელიძემ** გამოიტანა, ის იქვე შებოჭეს. ქუთაისელთა მორკინალებმა რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს და მეტოქის ლელოს მიუახლოვდნენ, თუმცა მასპინძლებმა რაკში თამაშისას წესი დაარღვიეს.

„აიამ“ საჯარიმო სწრაფად შეასრულა და ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე ჩაათამაშა. იქ, კარის პირდაპირ ორ მეტრში წარმოქმნილი რაკიდან, ბურთი მეორეხაზელმა **გელა შალამბერიძემ** აიტაცა და ლელო ზედ კარის ძელთან გაიტანა, **გაგა სინაურიძემ** გარდასახა - 7:0.

ამან არმიელები საგრძნობლად გამოაცოცხლა და მათი საპასუხო იერიში შედეგიანი გამოდგა. მე-7 წუთზე „არმიამ“ საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვა და ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** თავის გუნდს სამი ქულა შესძინა - 3:7.

ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება კობახიძემ ორ წუთში ისევ საჯარიმოდან სცადა, თუმცა ძალზედ შორიდან, 58 მეტრიდან დარტყმული მიზანს ასცდა. „არმია“ ზეწოლას განაგრძობდა. განსაკუთრებით მეორეხაზელი **ხვიჩა ბუჯიაშვილი**, მესამეხაზელი **გიორგი თხილაიშვილი** და გარემარბები, **ალექსანდრე ტუჩაშვილი** და **გიორგი შკინინი** აქტიურობდნენ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ არმიელები მეტოქეს, გუნდური, უფრო მეტად დალაგებული თამაშით სჯობდნენ.

კობახიძემ მე-15 წუთზე მაინც შეძლო კიდევ ერთი საჯარიმოს გატანა და ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება - 6:7. ოთხ წუთში კი ბურთი ძელს გაარტყა. „აიამ“ ამის შემდეგ თამაშის გათანაბრება შეძლო. რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტია, მაგრამ იერიშებისას ან ჯარიმდებოდა, ანაც ბურთს კარგავდა.

მომდევნო 15 წუთში გუნდებმა თითო-თითო საჯარიმო გაცვალეს 10:9, ასე იგებდა „აია“ და თითქოს ტაიმიც ასევე უნდა დასრულებულიყო. მაგრამ ასე არ ფიქრობდა „არმიას“ გარემარბი გიორგი შკინინი.

ქუთაისელები მარცხენა ფრთაზე თავისი 22-მეტრიანი ზონის ხაზთან ახლოს დაჯარიმდნენ. შკინინმა საჯარიმო სწრაფად გაათამაშა და თვითონვე შეუტია. არმიელთა გარემარბმა თხუთმეტი მეტრი ირბინა და მერე ბურთი იქვე მიმყოლ ბახვა კობახიძეს გაატანა, რომელიც, მართალია, შეაჩერეს, მაგრამ წაქცეულმა ბურთის ლელოში გადადება მაინც მოახერხა. გარდასახვა ბახვამ თვითონვე დაარტყა, მაგრამ ვერ გაიტანა - 14:10, ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ, „აიამ“ მონაგარს ველარაფერი შესძინა. 52-ე წუთზე სინაურიძემ გაუშვა ხელიდან საჯარიმო დარტყმით ანგარიშის შემცირების შანსი. მერე „აიამ“ დერეფნიდან აგორებული მოლით და მორკინალების მძლავრი დარტყმებით სცადეს მოწინაალმდეგის ლელოში შეღწევა. „არმია“ თავს მედგრად იცავდა და 62-ე წუთზე კობახიძემ კიდევ ერთხელ დალაშქრა საჯარიმოდან მეტოქის კარი - 17:10.

„აია“ ბევრს ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ვერას გახდა.

„არმია“, რომელიც ქვეყნის ჩემპიონია, ფინალში ჩემპიონატის ბოლოადგილოსან „ყოჩებს“ დაუპირისპირდება.


გიორგი შკინინის შეტევა
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ჭაბუკთა A ლიგა

# აქ აია პირველია

ჭაბუკთა A ლიგის გათამაშება, რომლის ფინალური მატჩი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის გამო 20 ნოემბრისთვის გადაიდო, ქუთაისის „აიას“ გამარჯვებით დასრულდა. ქუთათურებმა მთელი სეზონი ისე განვლეს, რომ მხოლოდ ერთი მარცხი იწვნიეს ნახევარფინალის პირველ მატჩში.

ფინალში კი, რომელიც „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე გაიმართა, ქუთათურებმა თბილისის „აკადემია“ დაამარცხეს 15:3. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი „თიბისიმ“ თბილისის „ჯიქებს“ მოუგო 16:10.

ბარბაროსები

# ჰენრიმ გუნდი შეკრიბა

მომავალ უქმეებზე, - 26 ნოემბერს ლონდონში „თვიქნემზე“ ავსტრალიის ნაკრები „ბარბაროსებს“ დაუპირისპირდება. ეს მატჩი წლევანდელი საერთაშორისო სანაკრებო რაგბის ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა იქნება, რომელიც მართლაც საინტერესო სარაგბო სეზონს დაასრულებს. „ბარბაროსებს“ მსოფლიოს თასის მფლობელის - ახალი ზელანდიის ან უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი **გრემ ჰენრი** უთავკაცებს. მან საავსტრალიოდ შემდეგი მოთამაშეები შეარჩია.

**ბარბაროსები**

**შერკინება:** კევინ მეალამუ, ჟერომ კაინო, ადამ თომსონი (სამივე-ახალი ზელანდია), ადრიან სტრაუსი, ვიქტორ მეტფილდი (ორივე-სამხრეთ აფრიკა), სალვატორე პერუჯინი, მაურო ბერგამასკო, მარკო ბორტოლამი (იტალია), სილვენ მარკონე (საფრანგეთი), ეუსებიო გინაზუ (არგენტინა), საიმონ შოუ (ინგლისი), ჯეისონ უაითი (შოტლანდია).

**უკანა ხაზი:** პიტერ სტრინგერი (ირლანდია), ნემია კინატალე (ფიჯი), სტივენ ჯოუნზი (უელსი), დენი სიპრიანი (ინგლისი), სტირლინ მორთლოქი (ავსტრალია), ბრაიან ჰაბანა (სამხრეთ აფრიკა), რობი ფრანი, სონი ბილ ვილიამსი, ისაია ტოეავა (სამივე-ახალი ზელანდია).

ტესტები

# სკოტების ტესტები

ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების ყოფილი მეტოქის, შოტლანდიის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებმა მომავალ წელს გასამართი ტესტების განრიგი გააცხადეს.

ივნისის ტესტებზე „ნარშავები“ სამხრეთ ნახევარსფეროს ეწვევიან და ავტრალიის ნაკრებს გაეჯიბრებიან. მანამდე კი „სკოტები“ ფიჯისა და სამოას ნაკრებებს დაუპირისპირდებიან.

გაცილებით ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ შოტლანდიელებს ნოემბერში. ისინი ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკისა და ტონგას ნაკრებებს უმასპინძლებენ.

# ნათან შარფი ავსტრალიაში რჩება

„ვოლაბების“ მეორეხაზელმა **ნათან შარფმა**, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში მე-100 კეპი მსოფლიოს თასზე მესამე ადგილისთვის მატჩში მოიპოვა, კარიერის ავსტრალიაში დასრულება გადაწყვიტა. შარფმა ახლახან გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი ზე რაგბის გუნდ „ფორსთან“.

„ჩემი მეგობრების, მეთ გიტოსა და ლუკ ბარჯესისაგან განსხვავებით, გადავწყვიტე სანაკრებო კარიერა უცხოეთში არ განვაგრძო. მინდა აუცილებლად აქ, ავსტრალიაში ვითამაშო და კარიერაც აქ დავასრულო. თუმცა ეს როდის მოხდება, არ ვიცი. ვნახოთ, როგორ წარიმართება მომავალი სეზონი და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებ“მ - თქვა მან.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### სათხილამურო რბოლა



მარიტ ბიორგენი

# სეზონი ნორვეგიაში იხსნება

გასულ უქმეებზე სტარტი აიღო მსოფლიოს თასის გათამაშებამ სათხილამურო რბოლაში. პირველ ეტაპს ნორვეგიის კურორტმა შუშენმა უმასპინძლა.

სეზონი ტრადიციულად ქალებს შორის 10-კილომეტრიანი რბოლით (თავისუფალი სტილით) გაიხსნა და ის ნორვეგიელთა სრული ტრიუმფით დასრულდა. დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია **მარიტ ბიორგენმა**, ხოლო პირველ ათეულში სულ შვიდი ნორვეგიელი მოხვდა.

ნორვეგიის ქალთა ნაკრებს საშინაო ეტაპზე სპეციალური ეროვნული კვოტა ჰქონდა, ამ ქვეყანაში კი რეზერვი ძალიან ძლიერია. გარდა ამისა, ნორვეგიელებს ტრადიციად აქვთ საწყის ეტაპებზე ბიატლონისტების მიწვევა. ამჯერადაც ტრასაზე ვიხილეთ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ბიატლონისტი **ტორა ბერგერი**, რომელმაც ბევრ აღიარებულ მოთხილამურეს გაუსწრო და მეოთხე ადგილზე გავიდა.

ნორვეგიის ნაკრებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შვედმა **შარლოტე კალამ** შეძლო, მაგრამ მან ვერაფერი მოუხერხა ცოცხალ ლეგენდას, მარიტ ბიორგენს და მეორე ადგილით დაკმაყოფილებამ მოუწია.

სეზონის სტარტის მთავარ იმედგაცრუებად უნდა ჩავთვალოთ მსოფლიოს თასის მოქმედი ჩემპიონი **იუსტინა კოვალჩუკი**. პოლონელი საკმაოდ მძიმედ გამოიყურებოდა ტრასაზე და მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

იმავე დღეს მამაკაცებმა სეზონი 15-კილომეტრიანი რბოლით გახსნეს, თუმცა აქ არ ყოფილა ნორვეგიელთა დომინირება.

აქაც რამდენიმე ძლიერი ადგილობრივი ბიატლონისტი ვიხილეთ ტრასაზე. სტარტზე გავიდნენ **ემილ ჰეგლე სვენდსენი, ტერიე ბოე** და **ლარს ბერგერი**. ბერგერის შემთხვევაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, სვენდსენი და ბოე კი იშვიათად მიმართავენ ამგვარ ექსპერიმენტებს. ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ ამ სამეულიდან საუკეთესო შედეგი ბერგერს ჰქონდა, რომელიც მერვე მივიდა ფინიშთან.

მთავარ ფავორიტებად ადგილობრივი **პეტერ ნორტუგი** და შვეიცარიელი **დარიო კოლონია** მიიჩნეოდნენ, მაგრამ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა შვედმა **იოჰან ოლსონმა**. ეს მისი მეორე ტრიუმფია კარიერაში. ტრავმების შემდეგ მომჯობინებულმა ოლსონმა შესანიშნავი ტემპი აკრიფა და ნახევარი წუთი მოუგო ნორტუგს, რაც ფანტასტიკური შედეგია.

ვერ ვიტყვით, რომ ნორტუგმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საშუალო დონის რბოლაში ნორვეგიელმა ფანტასტიკური საფინიშო სპურტის წყალობით შეძლო სამეულში შესვლა. მოულოდნელი იყო პოდიუმზე იტალიელი **როლანდ კლარას** ხილვა. რაც შეეხება დარიო კოლონიას, მან მეშვიდე შედეგით დაასრულა სეზონის პირველი რბოლა.

**ქალები. 10 კმ.**

1. **მარიტ ბიორგენი** (ნორ) - 24:22.3; 2. **შარლოტე კალა** (შვედ) - +27.1; 3. **ვიბეკე სკოფტერუდი** (ნორ) - +29.0; 4. **ტორა ბერგერი** (ნორ) - +43.0; 5. **კრისტინ სტეირა** (ნორ) - +43.6; 6. **მარტე კრისტოფერსენი** (ნორ) - +50.0; 7. **ტერეზ იოჰაუგი** (ნორ) - +58.1; 8. **კიკენ რენდალი** (აშშ) - +58.2; 9. **ინგვილდ ოსტბერგი** (ნორ) - +1:11.1; 10. **იუსტინა კოვალჩიკი** (პოლ) - +1:12.3...

**კაცები. 15 კმ.**

1. **იოჰან ოლსონი** (შვედ) - 32:40.9; 2. **პეტერ ნორტუგი** (ნორ) - +31.2; 3. **როლანდ კლარა** (იტა) - +31.4; 4. **კალე ჰალფვარსონი** (შვედ) - +38.6; 5. **ალექს ჰარვი** (კან) - +40.6; 6. **რემო ფიშერი** (შვეიც) - +41.2; 7. **დარიო კოლონია** (შვეიც) - +41.7; 8. **ლარს ბერგერი** (ნორ) - +43.7; 9. **მარკუს ჰელნერი** (შვედ) - +43.9; 10. **ალექსეი პოლტორანინი** (ყაზ) - +49.3...

### ამბები

**ველოსპორტი**

## შლეკები ტურს გამოტოვებენ

პროფესიული ტურის წამყვანმა ველომრბოლებმა - ლუქსემბურგელმა ძმებმა **ფრანკ** და **ენდი შლეკებმა** უარი თქვეს 2012 წელს ჯირო დ'იტალიაში მონაწილეობაზე. ფრანკ შლეკის თქმით, ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზია სეზონის მთავარი სტარტისთვის - ტურ დე ფრანსისთვის უკეთ მომზადება.

*„ჩვენ არ გავემგზავრებით ჯიროზე,* - ამბობს RadioShack-Nissan-ის წევრი. - *მომდევნო სეზონში მთავარი მიზანია ტურ დე ფრანსის მოგება. ძალიან გვიყვარს ეს რბოლა. უკვე არაერთხელ ვაჩვენეთ საფრანგეთში მაღალი შედეგი, მაგრამ საერთო ჩათვლაში გამარჯვებაზე ვოცნებობთ. ეს არის მთავარი მიზეზი“.*

**ჩოგბურთი**

## რიო - ოფიციალური კურორტია

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ და ქალაქმა რიო-დე-ჟანეირომ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმების შესახებ განაცხადეს. ეს ქალაქი მამაკაცთა ტურის მონაწილეების დასვენების ოფიციალურ ადგილად გამოცხადდა.

*„რიო-დე-ჟანეირო ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია მსოფლიოში და აქ ძალიან უყვართ ჩოგბურთი. მოხარულები ვართ, რომ მათ პარტნიორობისთვის ATP-ის ტური აირჩიეს. ჩვენ 32 ქვეყანაში 62 ტურნირს ვატარებთ, ასე რომ, იმედი გვაქვს, რიო-დე-ჟანეირო არ ინანებს ჩვენთან პარტნიორობას“,* - ამბობს ATP-ის პრეზიდენტი **ადამ ჰელფანტი**.

■ ■ ■

ამასობაში, უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონი **რიხარდ კრაიჩეკი** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტის პოსტზე აპირებს კენჭისყრას.

*„შემიძლია დავადასტურო, რომ მონაწილეობას მივიღებ არჩევნებში“,* - ამბობს კრაიჩეკი გაზეთ De Telegraaf-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

### კალათბურთი

# მორიგი შეხვედრა იგეგმება

საინტერესო ინფორმაციები ვრცელდება ოკეანის გაღმიდან ლოკაუტთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბების მფლობელები ითხოვენ ამ კვირას მოთამაშეთა პროფკავშირთან შეხვედრას. თუმცა კალათბურთელებს ჯერ არ მიუღიათ მორიგი მოლაპარაკებების შესახებ წინადადება.

ინკოგნიტო წყაროს ცნობით, ლიგას ჯერ კიდევ აქვს შობისთვის (25 დეკემბერი) რეგულარული ჩემპიონატის დაწყების იმედი.

კლუბების მფლობელთა მონდომება იმით არის გამოწვეული, რომ მათ არ აწყობთ 50-მატჩიანი რეგულარული ჩემპიონატის ჩატარება. ასე რომ, ახლა საკითხი ასე დგას - ან ლოკაუტი წელს დასრულდება ან 2011-12 წლების სეზონი საბოლოოდ გაუქმდება.

■ ■ ■




სანამ NBA-ის ვარსკვლავები უსაქმოდ არიან, წინასაარჩევნო კამპანიაში მათ გამოყენებას აპირებს აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა**. მას კალათბურთელების დახმარებით აქვს დაგეგმილი საკუთარი საარჩევნო კამპანიისთვის თანხების მოზიდვა.

**კარმელო ენტონი, კრის პოლი, კევინ დურანტი, დუაიტ ჰოვარდი, კრის ბოში** და სხვა ვარსკვლავები 12 დეკემბერს, ვაშინგტონში საჩვენებელ შეხვედრაში მიიღებენ მონაწილეობას, საიდანაც მიღებული თანხა ობამას საარჩევნო კამპანიის ფონდში გადაირიცხება. ბილეთების ფასი 100-დან 5 ათას დოლარამდე იქნება.

მიღებულ თანხას აგრეთვე გამოიყენებენ სხვა დემოკრატების ფინანსური მხარდაჭერისთვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მთელ ქვეყანაში 2012 წლის არჩევნებში.

ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ამ შეხვედრამ უნდა შეცვალოს ყოველწლიური „ყველა ვარსკვლავის მატჩი“. ზემოთ ჩამოთვლილი კალათბურთელების გარდა, მატჩში მონაწილეობას მიიღებენ **რეი ალენი, ვინს კარტერი, რეჯი მილერი, ალონზო მოურნინგი** და **დიკემბე მუტომბო**...

# ნოვიცკის რეალი ელოდება, დენგს ბეშიქთაში



დირკ ნოვიცკი

რათქმა უნდა, ვრცელდება ბევრი ინფორმაცია მოსალოდნელ ტრანსფერებზე. გასული ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშემ, „დალას მავერიქსის“ ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** დაასრულა შვებულება და სერიოზულად განიხილავს კარიერის გაგრძელების ვარიანტებს.

*„რამდენიმე კვირა მჭირდება სათამაშო ფორმის აღსადგენად. ჩემთვის არ შეიძლება სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩენა“,* - ამბობს გერმანელი ვარსკვლავი.

ნოვიცკისთვის ერთ-ერთ ევროპულ ვარიანტად მადრიდის „რეალს“ ასახელებენ.

*„ეს არის დიდი კლუბი მდიდარი ტრადიციებით. არ ვიცი, მართალია თუ არა რასაც ამბობენ, მაგრამ თუ პრესის ინფორმაცია სიმართლეა, ღირს ამ ვარიანტის კარგად განხილვა. დღემდე არ მჯერა, რომ NBA-ში სეზონი შეიძლება არ დაიწყოს. ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი თამაშის გარეშე. ამიტომაც, თუ ლოკაუტი გაგრძელდება, მომიწევს გადაწყვეტილების მიღება“,* - განაცხადა ნოვიცკიმ.

ასევე იტყობინებიან, რომ დირკმა შეიცვალა შეხედულება გერმანიაში კარიერის გაგრძელებაზე. ადრე დალასელი ამბობდა, რომ არ სურს სამშობლოში არც ერთი კლუბის განაწყენება, ამიტომაც სხვა ქვეყანაში ურჩევნია კარიერის გაგრძელება, მაგრამ ახლა ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნოვიცკიმ, შესაძლოა, ევროლიგაში მოთამაშე „ბამბერგთან“ გააფორმოს ერთწლიანი კონტრაქტი.

■ ■ ■

სერიოზული მიზნები აქვს თურქეთის „ბეშიქთაშს“. ეს კლუბი არ კმაყოფილდება იმით, რომ მის რიგებში თამაშობს NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო გამათამაშებელი **დერონ უილიამსი** და ახლა, სხვა ვარსკვლავებს უმიზნებს.

ერთ-ერთია „ჩიკაგოსა“ და ბრიტანეთის ნაკრების 26 წლის ფორვარდი **ლუოლ დენგი**. მოთამაშის დაზღვევა დაახლოებით 50 ათასი დოლარი ეღირება, სავარაუდო ხელფასი კი თვეში 150 ათასი დოლარი იქნება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ „ბეშიქთაში“ მოლაპარაკებებს აწარმოებს NBA-ის გასული სეზონის საუკეთესო მომხსნელთან, „მინესოტას“ მძიმე ფორვარდ **კევინ ლავთან**.

■ ■ ■

ახალგაზრდა თურქმა ცენტრმა **ენეს კანტერმა** ლოკაუტის პერიოდში, შესაძლოა, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში“ ითამაშოს. შეგახსენებთ, 19 წლის კალათბურთელი წლევანდელ დრაფტზე მესამე ნომრად აირჩია „იუტა ჯაზმა“.

„ოლიმპიაკოსს“ პრობლემები აქვს მაღალ კალათბურთელებთან დაკავშირებით: **მეტ ჰოვარდმა** ტრავმა მიიღო, **ლაზაროს პაპადოპულსი** კი ყოველთვის ვერ ართმევს თავს მწვრთნელის დავალებას.

კანტერმა კარგად წარმოაჩინა თავი წლევანდელ ევრობასკეტზე. ის თურქეთის ნაკრებში საშუალოდ 9,6 ქულასა და 3,6 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

ცნობილი გახდა ერთი განხორციელებული ტრანსფერის შესახებ. ესპანეთის „კახა ლაბორალმა“ კონტრაქტი გააფორმა გამთამაშებელ **გორან დრაგიჩთან**. ხელშეკრულება ერთწლიანია.

გასულ სეზონში 25 წლის სლოვენიელი „ჰიუსტონ როკეტსში“ თამაშობდა და საშუალოდ მატჩში 6.8 ქულასა და 2.7 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

### მოტორბოლა

# სუძუკი რბოლებს ჩამოშორდა



იაპონურმა მოტოსაჯინიბო „სუზუკიმ“ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე დაწერა, რომ 2012 წელს მონაწილეობას არ მიიღებს მოტოგრანპრის მსოფლიოს ჩემპიონატში. „სუზუკი“ მიმდინარე სეზონის მსვლელობისას არ იყო დაკავებული ახალი მოტოციკლის შექმნით, ამიტომაც მისი გადაწყვეტილება სიურპრიზი არ ყოფილა.

იაპონელების ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ეკონომიკური სირთულეები, აგრეთვე მუდმივი ბუნებრივი კატაკლიზმები, რომელიც იაპონიამ გადაიტანა.

მიუხედავად ამისა, „სუზუკი“ მთლიანად არ შეწყვეტს თავის სარბოლო პროგრამას და იმედი აქვს, რომ მოტოგრანპრიში 2014 წელს კონკურენტუნარიანი მოტოციკლით დაბრუნდება.

მოტოგრანპრის ეტაპებზე ამ გუნდის ბოლო გამარჯვება 2007 წლით თარიღდება, უკანასკნელად კი „სუზუკის“ მოტოციკლით ჩემპიონი **კენი რობერტს-უმცროსი** გახდა. ეს შორეულ 2000 წელს მოხდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ცხრა გოლი ედმონტონისგან

პრაქტიკულად შეუჩერებელი ხდება „ბოსტონ ბრუინზი“. სტენლის თასის მოქმედმა მფლობელმა რვა მატჩამდე აიყვანა მოგებათა სერია. ამჯერად „დათვებმა“ უპრობლემოდ გაანადგურეს „ნიუ იორკ აილენდერსი“ (6:0) და პირველად მიმდინარე სეზონში პლეი ოფის ზონაში შეაღწიეს. საინტერესოა, რომ „კუნძულელებს“ ისევ დაეწყოთ მეკარესთან დაკავშირებული პრობლემები და გუშინ ყინულზე ვიხილეთ 21 წლის შვედი **ანდერს ნილსონი**. მან მატჩის მსვლელობისას **რიკ დიპიეტრო** შეცვალა, რომელმაც სამი შაიბა გაუშვა. დებიუტი მაინცდამაინც შთამბეჭდავი ვერ გამოვიდა, რადგან ნილსონმაც სამი გოლი მიიღო საკუთარ კარში.

„ვაშინგტონმა“ „ტორონტოსთან“ მატჩამდე ბოლო ათ შეხვედრაში ხუთჯერ წააგო, მაგრამ ეს არ ამართლებს დედაქალაქელებს 1:7 წაგების გამო. „მეიპლ ლივზმა“, რომელიც ასევე ვერ არის ფორმაში, „ვაშინგტონს“ შვიდი შაიბა 29 დარტყმაში გაუტანა, ყველაზე მეტად კი **ჯოფრი ლუპულმა** მოინდომა, რომელმაც გოლი და სამი შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში. მორიგი თამაში ჩააგდო „ვაშინგტონის“ ლიდერმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა**, რომლის „მშრალი“ სერია ოთხ მატჩამდე ავიდა.

„ტორონტოსთვის“ ეს დღე იმითაც იყო კარგი, რომ დივიზიონის ლიდერმა „ბაფალომ“ საკუთარ მოედანზე წააგო „ფინიქსთან“ - 2:4. ბაფალოელები ფლობდნენ უპირატესობას და 45 ზუსტი დარტყმა შეასრულეს, მაგრამ **მაიკ სმიტი** საიმედოდ იცავდა „ფინიქსის“ კარს, „კოიოტებმა“ საკუთარი შანსი რიცხობრივი უპირატესობებისას გამოიყენეს. თვით „პოლიციელმა“ **პოლ ბისონეტმაც** კი გამოიჩინა თავი, რომელმაც ბოლოს გოლი თებერვალში გაიტანა (ისევე, როგორც სკოტ გომესმა).

სტაბილურობით ვერ დაიკვეხნის „ტამპა ბეი“, რომელმაც შინ წააგო „ნიუ ჯერსისთან“. „ეშმაკები“ 3:0-ს იგებდნენ და „ლაითნინგმა“ შეძლო ორი შაიბის გაქვითვა, მაგრამ მეტი ვერ მოახერხა. ორივე გუნდი, ჯერჯერობით, პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფებოდა.

„ვაშინგტონის“ პრობლემებით ისარგებლა „ფლორიდამ“, რომელიც შინ იღებდა „პიტსბურგს“. დაძაბულ მატჩში „პანტერებმა“ 3:2 მოიგეს და დივიზიონის პირველ ადგილზე გადავიდნენ.

დასავლეთში კი ლიდერი შეიცვალა. კონფერენციის პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა „მინესოტამ“, რომელმაც „სენტ ლუისი“ ბულიტების სერიაში დაამარცხა - 3:2. წაგების მიუხედავად, **კენ ჰიჩკოკის** „ბლუზი“ პლეი ოფის ზონაში რჩება, ამასთან, ახალი მწვრთნელის მეთაურობით ჯერ ძირითად დროში არ წაუგია.

გვაკვირვებს „კოლამბუსი“. აუთსაიდერმა წინა მატჩში ქულა აილო „ბოსტონის“ წინააღმდეგ, ახლა კი ოვერტაიმში „ნეშვილს“ აჯობა. აღსანიშნავია „ფილადელფიის“ ყოფილი ლიდერის **ჯეფ კარტერის** პირველი გოლი სეზონში, თუმცა ფორვარდს სახეზე განსაკუთრებული სიხარული არ ეტყობოდა.

ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო „დალასმა“, რომელმაც 1:4 დათმო „სან ხოსესთან“. ამ მოგებამ „ზვიგენებს“ დივიზიონში პირველი ადგილი მოუტანა.

ყველაზე უხვგოლიანი და გიჟური მატჩი ედმონტონში გაიმართა, სადაც „მენავთობეებმა“ 9:2 გაანადგურეს „ჩიკაგო“. ამით მათ შეწყვიტეს ოთხმატჩიანი წაგებათა სერია. ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავი წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსმა**. მის ანგარიშზე ხუთი შედეგიანი პასი მოდის. სწორედ ის გახდა დღის პირველი ვარსკვლავი. ოთხ-ოთხი ქულა ჩაიწერეს აქტივში **ტომ გილბერტმა** (1+3) და **ჯორდან ებერლემ** (1+3), **ტეილორ ჰოლმა** კი ჰეთ-თრიკი გაიფორმა.

**19 ნოემბერი**

**კაროლინა-ბაფალო 0:1**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 პომინვილი-8 (ვანეკი-13, ბოიესი-6).

**კოლორადო-დალასი 3:0**

1:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კობესიუ-3 (რ. უილსონი-10, გალიარი-2), 2:0 პ. შჩასტნი-6 (ლანდესკოგი-4, ო'ბრაიენი-7), 3:0 დუშენი-8 (დ. ჯონსი-5, ქუინსი-11).

**კალგარი-ჩიკაგო 5:2**

1:1, 3:1, 1:0

**გოლები:** 1:0 სტემპნიაკი-4 (ტანგეი-10, ბროდი-1), 1:1 სტალბერგი-5 (ტეუვზი-8, ლედი-12), 2:1 რ. ბურკი-6 (გლენკროსი-5, ჰანანი-4), 3:1 ბირონი-2 (ჰორაკი-5), 3:2 მარიან ჰოსა-9 (კიტი-10, ტეუვზი-9), 4:2 გლენკროსი-6 (ბოუმისტერი-5, ო. იოკინენი-7), 5:2 გლენკროსი-7 (ო. იოკინენი-8).

**20 ნოემბერი**

**ვინიპეგი-ფილადელფია 6:4**

3:1, 2:1, 1:2

**გოლები:** 1:0 ლიტლი-3 (ველერი-8, ბაფლინი-9), 2:0 ლიტლი-4 (ველერი-9, ე. კეინი-6), 3:0 ლედი-6 (უელვუდი-8, ბაფლინი-10), 3:1 ჰარტნელი-7 (პრონგერი-10, კ. ჟირუ-13), 4:1 სლეიტერი-6, 5:1 ბაფლინი-4 (ლედი-4, უელვუდი-9), 5:2 ჰარტნელი-8 (ბრიერი-9, პრონგერი-11), 5:3 რიდი-7 (ჰარტნელი-9, კ. ჟირუ-14), 5:4 რიდი-8 (კ. ჟირუ-15, მ. კარლი-6), 6:4 ანტროპოვი-4.

**ლოს ანჯელესი-დეტროიტი 1:4**

1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 მ. რიჩარდსი-8, 1:1 დაციუკი-3 (ჰოლმსტრიომი-5, ლიდსტრიომი-8), 1:2 კრონვალი-6 (ჰოლმსტრიომი-6, ფრანცენი-8), 1:3 აბდელკადერი-2 (ბ. სმიტი-1, ჯ. ერიქსონი-2), 1:4 დაციუკი-4 (ფრანცენი-9).

**ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი 2:4**

0:0, 0:3, 2:1

**გოლები:** 0:1 ზუბრუსი-5 (რ. კარტერი-1), 0:2 ელიაში-8 (კლარკსონი-2, ა. ლარსონი-3), 0:3 კლარკსონი-7 (პარიზე-5, ენრიკე-7), 1:3 სან ლუი-5 (შენონი-4, კუბინა-3), 2:3 შენონი-1 (დაუნი-3, ბრიუერი-6), 2:4 რ. კარტერი-2.

**აილენდერსი-ბოსტონი 0:6**

0:3, 0:0, 0:3

**გოლები:** 0:1 პ. ბერჟერონი-4 (სეგუინი-10, მარშანი-8), 0:2 ჰორტონი-6, 0:3 კ. კელი-6, 0:4 ფერენსი-1 (კორვო-9, კ. კელი-6), 0:5 კ. კელი-7 (ლუჩიჩი-7, ჰორტონი-7), 0:6 ხარა-2 (მარშანი-9, გ. კემპბელი-4).

**მონრეალი-რეინჯერსი 4:0**

1:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ე. კოული-6 (ი. უებერი-4, პლეკანეცი-15), 2:0 ჯონტა-6 (გომესი-3, დიასი-4), 3:0 პლეკანეცი-5 (ე. კოული-6, პასიორეტი-8), 4:0 ჯონტა-7 (გომესი-4, კამალერი-6).

**ტორონტო-ვაშინგტონი 7:1**

2:1, 4:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ტიმ კონოლი-2 (ლუპული-12), 1:1 ლეიჩი-3 (ჩიმერა-5, ჯ. კარლსონი-6), 2:1 ფრატენი-1 (კოლბორნი-1, ფრენსონი-2), 3:1 ბოჟაკი-2 (ლუპული-13, ფანოფი-11), 4:1 კესელი-14 (ბოჟაკი-9, ლუპული-14), 5:1 ლუპული-10 (ფანოფი-12, კესელი-13), 6:1 ფრენსონი-1 (ტიმ კონოლი-4), 7:1 შტეკელი-4 (კულემინი-6).

**ბაფალო-ფინიქსი 2:4**

1:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 დოუნი-6 (იენდლი-9, დ. მორისი-3), 1:1 ადამი-6 (ლეოპოლდი-3, გერბე-8), 2:1 კალეტა-2 (გოსტადი-5, ლეოპოლდი-4), 2:2 ვრბატა-7 (კლესლა-5, შლემკო-6), 2:3 ბისონეტი-1 (ჩიპჩურა-3, ა. ოკუანი-3), 2:4 ვრბატა-8 (იენდლი-10, დ. მორისი-4).

**ფლორიდა-პიტსბურგი 3:2**

1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 კუნიტცი-7 (დუპუი-9), 1:1 ბ. კემპბელი-2 (ვერსტიგი-12, უეისი-10), 2:1 ფლიშმანი-8 (უეისი-11, კულიკოვი-13), 2:2 ჯ. სტაალი-10 (დუპუი-10, ნისკანენი-4), 3:2 უეისი-7 (ვერსტიგი-13, ფლიშმანი-11).

**დალასი-სან ხოსე 1:4**

0:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ბერნსი-4 (ჯ. ტორნტონი-11, მარლო-9), 0:2 კუტური-7 (ჯ. ტორნტონი-12, მარლო-10), 0:3 ვინჩესტერი-2 (დეჟარდენი-2), 0:4 მაკგინი-2 (ჰანძუში-3, ჰავლატი-8), 1:4 რიბეირო-2 (ლ. ერიქსონი-9).

**მინესოტა-სტ. ლუისი 3:2 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბექზი-7 (ოში-7, სტინი-5), 1:1 მ. კოივუ-2, 1:2 ოში-6 (სტინი-6, ბექზი-5), 2:2 მ. კოივუ-3 (სპარჯონი-4, კლატერბეკი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** მ. კოივუ (მინესოტა), ოში (სტ. ლუისი), კულენი (მინესოტა).

**ნეშვილი-კოლამბუსი 3:4 (ო)**

1:0, 1:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 კ. უილსონი-5 (ლეგუანდი-10, კ. სმიტი-8), 1:1 2. კარტერი-1 (ნეში-9), 2:1 ფიშერი-3 (შ. უებერი-10, რ. სატერი-8), 2:2 პროსპალი-6 (ნეში-10, ტიუტინი-6), 2:3 უმბერგერი-2 (იოჰანსენი-3, ვიშნიევსკი-6), 3:3 სპალინგი-2 (შ. უებერი-11, რ. სატერი-9), 3:4 ვიშნიევსკი-1 (ვერმეტი-7).

**ედმონტონი-ჩიკაგო 9:2**

5:1, 3:1, 1:0

**გოლები:** 1:0 პემსკი-1 (პეტრი-2), 1:1 შარპი-7 (მარიან ჰოსა-14, პ. კეინი-15), 2:1 რ. ჯონსი-5 (ჰორკოფი-7, გილბერტი-5), 3:1 რ. სმიტი-11 (ებერლე-10, პეტრი-3), 4:1 ტ. ჰოლი-4 (ჰორკოფი-8, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-8), 5:1 ებერლე-5 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-9, პეტრი-4), 6:1 გილბერტი-3 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-10, ებერლე-11), 7:1 ტ. ჰოლი-5 (გილბერტი-6, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-11), 7:2 ბოლანდი-6 (ლედი-13, მონტადორი-5), 8:2 ჰორკოფი-4 (ებერლე-12, გილბერტი-7), 9:2 ტ. ჰოლი-6 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-12).




ოვეჩკინმა მორიგი შეხვედრა ჩააგდო

კრივი

# ლეგენდის ვაჟმა ტიტული დაიცვა

მექსიკელმა **ხულიო სეზერ ჩავეს-უმცროსმა** წარმატებით ჩაატარა ტიტულის პირველი დაცვა WBC-ის ვერსიით საშუალო წონაში. მეხუთე რაუნდში მან ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი **პიტერ მანფრედო**.

მექსიკელთა კერპის **ხულიო სეზარ ჩავეს-უფროსის** ვაჟი მეორე ბრძოლას ატარებდა. მან ტიტული ამა წლის ივნისში მოიპოვა, როცა ქულებით დაამარცხა გერმანელი **სებასტიან ზბიკი**. თანაც, მაშინ ბევრმა ეს გამარჯვება საკამათოდ მიიჩნია.

რაც შეეხება მექსიკელის მეტოქეს, მანფრედოს აქამდე ექვსი ბრძოლა ჰქონდა წაგებული, აქედან ორი - ნოკაუტით. ამერიკელისთვის ეს იყო პირველი საჩემპიონო ჩხუბი კარიერაში.

სხვათა შორის, ბრძოლის წინ მანფრედომ განაცხადა, რომ წაგების შემთხვევაში წავიდოდა პროფესიული სპორტიდან. *„ეს ჩემი ბოლო ბრძოლაა, რომელშიც ტიტულის მოგება შემიძლია. თუ ვერ შევძლებ გამარჯვებას, შესაძლოა, რინგი დავტოვო,* - განაცხადა მან. - *დღეს მე ჩემი სამი შვილისა და ოჯახისთვის ვიბრძოლებ“*. მანფრედომ დაამატა, რომ გამარჯვების შემთხვევაში შეძლებს ახლახან შეძენილი სახლის ფულის გადახდას. აღსანიშნავია, რომ მანფრედოს მამაც ყოფილი მოკრივეა და ახლა თავის შვილს ავარჯიშებს.

ამერიკელის ბრძოლა ოჯახისთვის, სამწუხაროდ, დიდი ხანი არ გაგრძელებულა და ის მეხუთე რაუნდში დასრულდა. „ლეგენდის შვილისთვის“ ეს ბრძოლა ჯერჯერობით საუკეთესოა კარიერაში. მიუხედავად იმისა, რომ მანფრედო პირველ ოთხ რაუნდში ცუდად არ გამოიყურებოდა, მეხუთე რაუნდი მისთვის სავალალოდ დასრულდა. ჩავესმა მას ჯერ მარჯვნიდან მოარტყა, შემდეგ ბაგირებთან მიიმწყვდია და უმოწყალოდ ცემა დაუწყო. რეფერი იძულებული გახდა შეეჩერებინა ბრძოლა და მექსიკელის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება გამოეცხადებინა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შოლე-პავრი | 90:77 |
| გრაველინი-ტულონი | 106:57 |
| პო ორტეზი-ნანტი | 89:84 |
| პუატიე-სტრასბური | 78:79 |
| როანი-დიჟონი | 80:58 |
| ლე მანი-ნანსი | 80:78 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰაგენი-ტიუბინგენი | 104:111 |
| გიოტინგენი-არტლანდი | 49:65 |
| ტრირი-გისენი | 71:74 (ო) |
| ბაიროიტი-ბონი | 87:76 |
| ბაიერნი-სკაილაინერსი | 58:57 |
| ბრემერჰავენი-ულმი | 58:82 |
| ალბა-ლუდვიგსბურგი | 87:81 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| რეტიმო-ილისიაკოსი | 72:66 |
| არისი-ირაკოსი | 83:68 |
| პანიონიოსი-დრამასი | 92:63 |
| პერისტერი-კავალა | 78:67 |
| მარუსი-პაოკ | 69:71 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 74:70 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| სასარი-რომა | 80:68 |
| აველინო-მონფერატო | 82:91 |
| კანტუ-კაზერტა | 86:75 |
| მონტეგრანარო-ბოლონია | 74:80 |
| მონტეპასკი-ვარეზე | 79:74 |
| სკავოლინი-ბენეტონი | 83:73 |
| ტერამო-ვანოლი | 72:74 |
| ბიელა-ვენეცია | 87:91 (ო) |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| კრ. კრილია-ცსკა | 73:88 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ფუენლაბრადა-გ. კანარია | 69:65 |
| ბილბაო-სევილია | 67:75 |
| ალიკანტე-უნიკახა | 77:97 |
| ბარსელონა-ვალიადოლიდი | 77:67 |
| მანრესა-სარაგოსა | 74:81 |
| მურსია-ვალენსია | 83:86 (ო) |
| რეალი-ლაგუნ არო | 82:74 |
| ხუვენტუდი-ობრადოირო | 73:67 |
| ესტუდიანტესი-კ. ლაბორალი | 54:74 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| პინარი-ფენერბაჰჩე | 75:77 |
| ტრაბზონი-ბანვითი | 72:78 |
| ანთალია-ოლინი | 73:78 |
| ტურკ ტელეკომი-მერსინი | 88:82 |
| ბეშიქთაში-ერდემი | 84:88 |
| თოფასი-გალათასარაი | 75:95 |
| ბანდირმა-ალიაგა | 88:89 (ო) |
| ეფესი-ჰაჩეთეფე | 98:64 |

**ფრენბურთი**

**მსოფლიოს თასი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| სერბეთი-არგენტინა | 0:3 |
| ჩინეთი-აშშ | 0:3 |
| პოლონეთი-კუბა | 3:0 |
| იტალია-რუსეთი | 1:3 |
| ირანი-იაპონია | 3:1 |
| ეგვიპტე-ბრაზილია | 0:3 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბოსნა-ბარსელონა | 17:43 |
| ვისლა-ჰამბურგი | 26:30 |
| მეტალურგი-კონსტანტა | 25:18 |
| ჟეგედი-მონპელიე | 38:35 |
| ლეონი-კოპენჰაგენი | 28:26 |
| შამბერი-ზაგრები | 26:28 |
| სილკებორგი-ჩეხ. მედვედი | 25:35 |
| კილი-პარტიზანი | 36:28 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ტორპედო-ს. იულიაევი | 1:0 |
| დინამო (მ)-ნეფტიხიმიკი | 1:2 |
| ავანგარდი-ამური | 3:2 |
| ავტომობილისტი-დინამო (მნ) | 4:2 |
| ბარისი-ლევ პოპრადი | 2:1 (ო) |
| მეტალურგი (მ)-მეტალურგი (ნ) | 2:1 |
| ტრაქტორი-ცსკა | 2:1 |
| იუგრა-სიბირი | 4:1 |
| ვიტიაზი-სევერსტალი | 1:3 |
| დინამო (რ)-სპარტაკი | 4:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-ვილახი | 2:1 |
| გრაცი-ზაგრები | 5:3 |
| ზნოიმო-ალბა | 4:3 |
| ლინცერი-კლაგენფიურტი | 5:2 |
| ოლიმპია-აკრონი | 5:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-კრეფელდი | 10:2 |
| ჰამბურგი-მიუნხენი | 1:0 |
| მანჰაიმი-იზერლონი | 1:2 (ო) |
| ნიურნბერგი-აისბარენი | 2:4 |
| აუგსბურგი-შტრაუბინგი | 1:2 (ბ) |
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 4:1 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 2:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ჰერნინგი | 2:0 |
| ჰერლევი-როდოვრე | 3:1 |
| ოლბორგი-ფრედრიკშავნი | 3:5 |
| ოდენსე-სონდერიისკი | 7:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 8:2 |
| სპარტა-რუსენბორგი | 1:2 (ო) |
| ლილეჰამერი-მანგლერუდი | 10:4 |
| ვოლერენგა-სტიერნენი | 5:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-მარტინი | 2:3 |
| კოშიცე-ჟილინა | 2:1 |
| ნიტრა-სკალიცა | 0:3 |
| პოპრადი-ტრენჩინი | 5:0 |
| სლოვანი-ბისტრიცა | 3:4 (ბ) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კალპა-ბლუზი | 2:1 |
| ესეტი-ტაპარა | 2:4 |
| კერპეტი-იოკერიტი | 3:0 |
| ჰპკ-იუვიასკიულა | 4:1 |
| ჰიფკ-ტპს | 3:4 |
| საიპა-ილვესი | 5:6 (ო) |
| პელიკანსი-ლუკო | 3:2 (ბ) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე-ბრნო | 2:1 |
| ულინი-კარლოვი ვარი | 1:0 |
| ტრშინეცი-სპარტა | 1:5 |
| კლადნო-პარდუბიცე | 4:2 |
| ლიტვინოვი-პლზენი | 8:2 |
| ბოლესლავი-ვიტკოვიცე | 4:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ლანგნაუ | 1:2 (ბ) |
| ბერნი-ფრიბურგი | 4:1 |
| დავოსი-რაპერსვილი | 3:4 |
| სერვეტი-ბილი | 0:3 |
| ციურიხი-კლოტენი | 3:2 |
| კლოტენი-დავოსი | 5:2 |
| ლანგნაუ-ლუგანო | 1:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-მოდო | 2:4 |
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 1:4 |
| ლულეა-ჰვ71 | 1:2 (ო) |

**ჩოგბურთი**

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| ფედერერი-ცონგა | 6:2, 2:6, 6:4 |

TV პროგრამა

**21 ნოემბერი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ნაპოლი-ლაციო.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. პარმა-უდინეზე.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. ჰერაკლესი-ტვენტე.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. XV ტური. ბოკა ხუნიორსი-რასინგი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
22:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტური. მონპელიე-მარსელი.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. ტოტენჰემი-ასტონ ვილა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-ავაი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ლეიკერსი.
14:45 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ნანსი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. კარდიფი-ლონდონ აირიში.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლეჩე.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
22:30 საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
23:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
10:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ლონდონი. ინგლისი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სარაგოსა.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 სპორტული ტანვარჯიში. ქალები. შტუტგარტი. გერმანია.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ინგლისი.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ენდი მიურეი-დავიდ ფერერი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გალათასარაი-ბარსელონა.
22:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. არლეკინსი-კონახტი.
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ტომაშ ბერდიხი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-მალაგა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

05:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. პეტრიოტსი-კანზასი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ენდი მიურეი-დავიდ ფერერი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ტომაშ ბერდიხი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# უილიამსი ერთ კვირაში გადაწყვეტს


კიმი რაიკონენი

გერმანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ბრიტანული საჯინიბოს - „უილიამსის" აქციონერმა **ტოტო თოლფმა** განაცხადა, რომ მისი გუნდის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ ბრაზილიის გრანპრიმდე გახდება ცნობილი.

*„ვიცით, რომ საბოლოო გადაწყვეტილება უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში უნდა მივიღოთ, თუმცა არჩევანის გაკეთება რთული იქნება. სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ იცოდეს ძალთა თანაფარდობის შესახებ"*, - ამბობს ვულფი.

ფორმალურად, 2012 წელს **პასტორ მალდონადოს** პარტნიორობაზე პრეტენზიას ოთხი პილოტი აცხადებს - **რუბენს ბარიკელო, კიმი რაიკონენი, ადრიან სუტილი** და **ვალტერი ბოტასი**. გადაწყვეტილების მიღებაზე ბევრმა ფაქტორმა შეიძლება იმოქმედოს.

მთავარი ფაქტორი კი პოტენციურ კატარელ სპონსორებთან მოლაპარაკებები იქნება. თუ გუნდი მათთან კონტრაქტის გაფორმებას მოახერხებს, მაშინ „უილიამსის" ბოლიდის საჭესთან მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს კიმი რაიკონენს ვიხილავთ, თუ არა - მაშინ იმ კანდიდატს გაუმართლებს, რომელიც გუნდს ყველაზე უკეთეს ფინანსურ პირობებს შესთავაზებს. ჭორების მიხედვით, რუბენს ბარიკელო მოლაპარაკებებს აწარმოებს სპონსორებთან, რომლებმაც მისი გამოსვლა უნდა დააფინანსონ 2012 - 2013 წლების სეზონში.

■ ■ ■

ამასობაში, ბრიტანულ F1Racing-ს ინტერვიუ მისცა კიმი რაიკონენმა.

*„სანამ ყველა დოკუმენტი არ გაფორმდება, ასი პროცენტით დარწმუნებული ვერ ვიქნები იმაში, რომ ფორმულა 1-ში დავბრუნდები. ასე რომ, ახლა ამ საკითხის განხილვა უაზრობაა. ჭორები ყოველთვის არსებობდა - ეს ჩვენი სამყაროს ნაწილია. ჟურნალისტები წერენ იმას, რასაც თავად თვლიან საჭიროდ, მაგრამ მე ეს არ მაღელვებს, რადგან მაინც არაფრის შეცვლა შემიძლია. თუ მაინც ეცდები რაიმეს შეცვლას და იტყვი: „არა, სინამდვილეში ასე არ არის", კიდევ უფრო არევ სიტუაციას და ახალი ჭორების საფუძველს მისცემ მათ. ფორმულა 1-ში შეიძლება თქვა ერთი და ჟურნალისტებმა დაწერონ მეორე.*

*ვარიანტი მართლაც ბევრია, ასე რომ, ჭორები - სავსებით ნორმალური მოვლენაა, თუმცა უმეტეს მათგანს ჩემთან არანაირი კავშირი არ აქვს. მე შემიძლია გითხრათ, რომ ვაპირებ ნასკარის სერიაში გამოსვლას, თქვენ ამის შესახებ საზოგადოებას ამცნობთ, მაგრამ თუ მსგავსი არაფერი მოხდება, მაშინ ინფორმაცია მცდარი ყოფილა. სანამ რაიმე ცნობა დასაბუთებული არ იქნება, აზრი არ აქვს მის კომენტირებას.*

*ყოველთვის მომწონდა ახალი გამოწვევის მიღება. ბევრი გეგმა მაქვს, მაგრამ არ მსურს ჯერ მასზე ლაპარაკი, რადგან არ ვიცი - ახდება თუ არა ის"*, - ჩვეულ სტილში ლაპარაკობს ფინელი პილოტი.

# ამერიკა 2013 წლისთვის გადაიდება

აშშ-ის გრანპრის ორგანიზატორები, რომლებსაც 2012 წელს ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინში ჰქონდათ ფორმულა 1-ის ეტაპის გამართვა დაგეგმილი, მზად არიან სადებიუტო რბოლა 2013 წლისთვის გადაიტანონ. მათ პირველად აღიარეს საჯაროდ, რომ ამერიკის ეტაპი 2012 წელს, შესაძლოა, არ გაიმართოს.

ჩვენ უკვე გაცნობეთ იმის შესახებ, რომ გასულ კვირას მომავალი ტრასის მშენებლობა შეჩერდა, რადგან Circuit of the Americas-ის მეპატრონეებმა დღემდე არ გააფორმეს კონტრაქტი რბოლის ჩატარების თაობაზე. მას შემდეგ, რაც ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ ამერიკული ეტაპი, შესაძლოა, ამოიღონ მომავალი სეზონის კალენდრიდან, ტეხასელი ორგანიზატორები საკუთარი კომენტარებით გამოვიდნენ.

ავტოდრომის პრეზიდენტის **სტივ სექსტონის** განცხადებით, თუ სადებიუტო რბოლას ერთი წლით გადადებენ, ეს ორგანიზატორებს საკუთარი პრობლემების მოგვარების საშუალებას მისცემს: *„ახლა გვესმის, რომ ექლსტოუნი დაინტერესებულია რბოლის 2013 წელს გადატანით. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკული ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია ფორმულა 1-ის გუნდებისთვისა და მათი სპონსორებისთვის და 2013 წელს Circuit of the Americas აუცილებლად იქნება მზად"*.

რბოლის პრომოუტერმა **ტავო ჰელმუნდა** აღიარა, რომ ტრასის მეპატრონეებმა დაარღვიეს ექლსტოუნთან კონტრაქტი, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ სიტუაცია, შესაძლოა, გამოსწორდეს.

*„დამწუხრებული ვარ, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, - ამბობს ჰელმუნდი. - პროექტმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები ფორმულა 1-ის წინაშე. იმედია, კიდევ შევძლებთ სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლას. რამდენჯერმე არ შევასრულეთ ფინანსური ვალდებულებები და ახლა უნდა გადავუხადოთ ექლსტოუნს"*.

თუ რბოლას გადაიტანენ, 2013 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში თეორიულად შეიძლება სამი რბოლა გაიმართოს: კანადური ეტაპი და ორი გრანპრი აშშ-ში: ნიუ ჯერსიში და ოსტინში.

ჩოგბურთი

# ნოლე და როჯერი საუკეთესოები არიან

ლონდონში, წლის შემაჯამებელი ტურნირის წინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) სხვადასხვა ნომინაციაში 2011 წლის ლაურეატები დაასახელა.

როგორც მოსალოდნელი იყო, წლის მოთამაშის ტიტული დაიმსახურა სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, რომელმაც მიმდინარე სეზონში „დიდი სლემის" სერიის სამი ტურნირი მოიგო და წელი პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა.

წლის წყვილად აღიარეს ამერიკელი ძმების - **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** დუეტი, რომლებმაც ასევე პირველ ადგილზე დაასრულეს 2011 წელი.

**სტეფან ედბერგის** სახელობის პრიზი მოიპოვა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. ამ ნომინაციაში ჩოგბურთელს პატიოსანი თამაშისთვის აჯილდოებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ლაურეატი თავად ჩოგბურთელებს შორის კენჭისყრით ირკვევა. ფედერერმა ეს პრიზი ბოლო რვა წელიწადში მეშვიდედ მიიღო.


ფედერერი და ჯოკოვიჩი

„წლის დაბრუნება" გახდა არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომელმაც ამ სეზონში მოიგო 48 თამაში, წააგო ექვსი და მთავარი პრიზი მოიპოვა ორ ტურნირზე - ეშტორილსა და დელრეი-ბიჩში. ამ სეზონში არგენტინელმა რეიტინგში 258-ე ადგილიდან მე-11 პოზიციაზე გადაინაცვლა.

„წლის ახალბედის" ნომინაციაში გაიმარჯვა კანადელმა ვუნდერკინდმა **მილოშ რაონიჩმა**. 20 წლის ჩოგბურთელი წლის განმავლობაში 156-დან 31-ე ადგილამდე ამაღლდა. რაონიჩი პირველი კანადელია ბოლო 16 წლის განმავლობაში, ვინც ATP-ის სერიის ტურნირის მოგება მოახერხა. თანაც, მილოშმა სან ხოსეში ისე მოიპოვა მთავარი პრიზი, რომ პარტია არ წაუგია. შემდეგ კვირას კი კანადელმა მემფისის ტურნირის ფინალს მიაღწია, მაგრამ იქ ამერიკელ **ენდი როდიკთან** წააგო.

„წლის პროგრესად" ჩოგბურთელებმა აღიარეს ამერიკელი **ალექს ბოგომოლოვის** გარღვევა. 28 წლის ჩოგბურთელმა წელს ექვსი ტურნირის მეოთხედფინალში გააღწია, თითქმის ყველა ინდივიდუალური რეკორდი გააუმჯობესა და საბოლოოდ, რეიტინგში 166-ე პოზიციიდან 33-ზე გადაინაცვლა.

„არტურ ეშის პრიზი" (აქტიური მონაწილეობა საქველმოქმედო აქციებში) ესპანელ **რაფაელ ნადალს** გადაეცა. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ეს ჯილდო საკუთარი საქველმოქმედო ფონდის აქტიური მოღვაწეობის წყალობით მოიპოვა.

გულშემატკივრების ვერსიით წლის საუკეთესო ჩოგბურთელად ზედიზედ მეცხრედ (!) როჯერ ფედერერი აღიარეს. წყვილთა თანრიგში ანალოგიური პრიზი ძმებ **ბრაიანებს** ერგოთ.

*„ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ამ შესანიშნავ სპორტის სახეობას მივდევ - გულშემატკივრებია. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა მათ მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის. ეს მნიშვნელოვანი აღიარებაა და ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგებს კორტზე პატიოსანი თამაშისთვის. ეს პრიზი ჩემი ბავშვობის კერპის სტეფან ედბერგის სახელს ატარებს, ასე რომ, ეს აღიარება განსაკუთრებულია ჩემთვის"*, - განაცხადა პრიზების მიღების შემდეგ ფედერერმა, რომელსაც კარიერაში ATP-ის 22 სხვადასხვა პრემია დაუგროვდა.


იანიკ ნოა

# ნოამ სკანდალი ააგორა

ლეგენდარულმა ფრანგმა ჩოგბურთელმა, როლან გაროსის ყოფილმა ჩემპიონმა **იანიკ ნოამ** სკანდალური ინტერვიუ მისცა ჟურნალ „ლე მონდს", რომელშიც უცნაურად ახსნა ესპანეთის ბოლოდროინდელი პროგრესი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

*„როცა ჯერ კიდევ აქტიურ სპორტულ კარიერას მივდევდი, საფრანგეთის ჩამორჩენა ჩვენს ესპანელ მეგობრებთან არც ისე დიდი იყო, - განაცხადა ნოამ. - დღეს დიდი სხვაობა შეიმჩნევა საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნებზე, ტურ დე ფრანსის ეტაპებზე... ჩვენი სამხრეთელი მეზობლები უფრო სწრაფად დარბიან, უკეთ არიან მზად ფიზიკურად და ჩვენს სპორტსმენებს თითქმის არ უტოვებენ წარმატების შანსს. მათთან შედარებით, ჩვენ გნომებივით ვჩანვართ.*

*როგორ შეიძლება ერთი ერი ასე დომინირებდეს სპორტის ამდენ სახეობაში? იქნებ მათ რაიმე ნოვაციური ტექნიკური სიახლე შეიმუშავეს ან ისეთი საწვრთნელო ცენტრები შექმნეს, რომელიც სხვამ ვერ მოიფიქრა? მაგრამ მე სპეციალურად შევამოწმე და რევოლუციურ აღმოჩენების დამადასტურებელი დოკუმენტური დადასტურება ვერ ვიპოვე.*

*დღეს შეუძელებელია გამარჯვება, თუ მაგიური ელექსირი არ გაგაჩნია. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ბოლო წლებში დიდ დოზებს იღებენ, რადგან ყველგან დოპინგსკანდალებში ეხვევიან. უნდა მოისმინოთ, რას ლაპარაკობენ გულშემატკივრები სპორტულ ბარებში. ისინი ამბობენ, რომ იმარჯვებს ის, ვისაც შეუძლია მოატყუოს დოპინგოფიცრები და მიიღოს აკრძალული პრეპარატი, რომლის აღმოჩენა შეუძლებელია. გაიხსენეთ სპორტის ისტორიაში უმსხვილესი დოპინგსკანდალი - „დოქტორ ფუენტესის საქმე" (ესპანელი ექიმი დააპატიმრეს იმის გამო, რომ დოპინგით ამარაგებდა წამყვან ველომრბოლელებს და იყენებდა ე. წ. „სისხლის დოპინგს"). ესპანეთს ამ საქმესთან დაკავშირებით თითიც არ გაუნძრევია. შესაძლოა, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში სპორტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ „გმირებს" კარგად იცავენ.*

*ამ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი იქნება დოპინგის ლეგალიზაცია. მაშინ ეს ჯადოსნური ელექსირი ყველას ექნება".*

ნოას ინტერვიუმ მაშინვე დიდი რეზონანსი გამოიწვია ესპანელ ჩოგბურთელებს შორის და ყველაზე უწყინარი ეპითეტი, რომლითაც ის შემკეს, იყო სიტყვა - „სულელი".

დევისის თასზე ესპანეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა **ხორდი არესემ** უკმეხად უპასუხა ნოას მხრიდან წამოსულ ბრალდებებს: *„ეჭვი არ მეპარება, რომ სპორტში დოპინგი ფართოდ გამოიყენება, თანაც ყველა ქვეყანაში. მაგრამ ესპანეთში მეტად არა, ვიდრე დანარჩენ სამყაროში. დოპინგი ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ არის იმათზე, ვინც ამ სენს ებრძვის. ნოა ძალიან სერიოზულ ბრალდებებს აყენებს. ის ადანაშაულებს არა კონკრეტულ სპორტსმენს, არამედ მთელ ქვეყანას. თუმცა ფრანგებს ყოველთვის შურდათ ჩვენი, როლან გაროსზე ხომ საერთოდ ლაპარაკი არ არის..."*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

